

რატომ ფედო?!

ირინა ლოლობერიძე, პარიზი, 1995 წელი

ჟორჟ ფედო თეატრალურ ასპარეზზე XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა, სწორედ იმ დროს, როცა პარიზელმა ქალბატონებმა კრინოლინებზე უარი განაცხადეს და თმის ვარცხნილობა ერთი-ორი სართულით დაიდაბლეს, როცა ბარონმა ოსმანმა (პარიზის მაშინდელი მერი) დიდი ბულვარებით დაძარღვა ბებერი პარიზის ქუჩები და ქალაქში ომნიბუსებიც შემოიღო, როცა შორსმჭვრეტელი ბარონის კიდევ ერთი სიახლე „მორისის კოლონები“ (პარიზში დღესაც ასე უწოდებენ სარეკლამო კოლონებს) „თეატრში სახარხაროდ“ ეპატიუებოდნენ გაწმენდილ ქუჩებში სიამოვნებით მოსეირნე პარიზელებს. ქალაქი მსუბუქ, ეიფორიულ განწყობას უქმნიდა უცხოელსა თუ პროვინციელს და გართობის სურვილს უღვიძებდა მათ. ახლად გაშენებულ ბულვარებზე ძველი თითქმის არაფერი შემორჩა... თეატრების გარდა, რომლებმაც მოპირკეთებული ფასადების მიღმა ძველი სულისკვეთება შეინარჩუნეს და ქუჩაში უქმად გამოფენილ ხალხს გასართობი რეპერტუარი შესთავაზეს. გამოჩნდა ახალი სახელები, ყველა, ვისაც კი დრამატურგობაზე პრეტენზია ჰქონდა, თავს ვალდებულად თვლიდა, ერთი ვოდევილი მაინც დაეწერა დიდ ბულვარებზე თითქმის „გვერდი-გვერდ ჩამწკრივებული რომელიმე თეატრისათვის. ვოდევილისტების ამ კოჰორტაში ვერავინ შეედრებოდა ჟორჟ ფედოს – „კაცს, რომელიც თეატრში არასოდეს იცინოდა“.

ჟორჟ ფედო 1862 წელს დაიბადა. იგი არტისტების გარემოცვაში გაიზარდა. მისი ძიძა ინგლისიდან საგანგებოდ იყო მოწვეული, ხოლო პირველი საწერ-კალამი მას მშობლების უახლოესმა მეგობარმა, ტეოფილ გოტიემ აჩუქა. არც არის გასაკვირი, რომ პირველი პიესა ჟორჟ ფედომ შვიდი წლის ასაკში დაწერა. მას შემდეგ კალამი ხელიდან არც გაუშვია, თუმცა წარმატება მოგვიანებით, 1886 წელს, იგემა ათი თუ თორმეტი ვოდევილის დადგმის შემდეგ, ნამდვილი ტრიუმფი კი – 1892 წელს –

ვოდვეილით „ბატონი შასი“. ამას მოჰყვა „თავისუფალი გაცვლის სასტუმრო“ (1894). „ინდაური“ (1896), „ქალბატონი მაქსიმიდან“ (1899). „ექვის ჭია“ (1907) და სხვა, წარმატებას წარმატება მოსდევდა, ენის სიმდიდრე და დიალოგის სიმსუბუქე *qui-pro-quo* და სიუჟეტური პერიპეტეების ჩახლართვის უნარი, თავბრუდამხვევი რიტმი და ზუსტად მოხაზული ხასიათები მაყურებლის (სწორედ მაყურებლის და არა მკითხველის!) ყურადღებას მაქსიმალურად ძაბავს და მის მომენტალურ რეაქციას იწვევს. ფედო შესანიშნავად იცნობს თეატრში გასართობად მისული მაყურებლის ფსიქოლოგიას და ზუსტად ზემოქმედებს მასზე.

1889 წელს, ქალების დიდმა მოტრფიალემ, ჟორჯ ფედომ ცოლად შეირთო ერთი მხატვრის ქალიშვილი, რომელმაც მას ოთხი შვილი გაუჩინა. სიყვარულით ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. ფედო ცოლს გაეყარა და სენ-ლაზარის სადგურთან მდებარე „ოტელ ტერმინუსში“ გადასახლდა. სწორედ ამ პერიოდში მან თავი დაანება ვოდვეილების წერას და ერთ აქტიანი პიესების შეთხზვას შეუდგა, სადაც მისთვის ჩვეული სიმსუბუქით აღწერდა საოჯახო სცენებს: „ქალბატონის დედის ციებ-ციხელება“, „ასე შიშველი ნუ დაეხეტები“, „ლეონინამ გაგვასწრო“, „გორტენზიამ თქვა, ფეხზე მკილიაო“ და სხვ. გაწბილებული სიყვარულის მიუხედავად ფედომ უდარდელი ცხოვრება გააგრძელა: მას უყვარს ლამაზი ქალები, კარგი ღვინო და ძვირფასი სიგარები, ღამის პარიზი და მხატვრობა, კაზინოში თამაში და მოღურ კაფეებში ხეტიალი. და მაინც... 1919 წელს ფსიქიკური დაავადების გამწვავების გამო ფედო სავადმყოფოში მოათავსეს, სადაც იგი 1921 წლის 5 ივნისს, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ფედომ ორმოცამდე ვოდვეილი და „გასართობი პიესა“ დაგვიტოვა. მისი მემკვიდრეობა დღესაც ცოცხალია და აღარავინ უსმენს იმ სკეპტიკოსებს რომლებიც ამტკიცებენ, რომ ფედოს დრამატურგია „მხოლოდ კარგად შეკერილი პიესაა და სხვა არაფერი“, რომ იგი მხოლოდ „ბურჟუას სიმპათიურ უხნობას აღწერს“ რომ ის „ზედმეტად ფრანგია“, და მის ადიულტერს „აშკარად ფრანგული სუნამოს სურნელი ასდის“ (თითქოს

ამერიკელი, ან თუნდაც, ჩვენი მამაკაცები არ სცოდავდნენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან!

ფედოს დრამატურგიას არასოდეს დაუკარგავს მისთვის განკუთვნილი ადგილი მსოფლიო სცენებზე. თეატრის პროფესიონალებს აშკარად მოსწონთ დრამატული სიტუაციის მისებრი აღქმა და ზუსტი ტექნიკური მითითებანი (ფედო თვითონ დგამდა თავის პიესებს და ტექსტში ზუსტად არის მითითებული მიზანსცენა, დეკორი, მოქმედ პირთა მოძრაობა). დღეს აღარავინ უარყოფს ენის ყველა დონის გამოყენების უნარს, ეგზეგეზიზმებისა თუ ანტითეზების სიმდიდრეს. მაქს ლინდერის, მაქს დევიდსონისა და ჩარლი ჩაპლინის მუნჯ ფილმებზე გაზრდილებს უკვე აღარ გვაფრთხობს ფედოს კომედიების ჯოჯოხეთური რიტმი და ტრიუკებითა, თუ ფათერაკებით გაჯერებული სიტუაციები. მსოფლიო თეატრი დღესაც ვერ ელევა და ვერც შეელება ჟორჯ ფედოს თუნდაც იმიტომ, რომ ალალი, იმპულსური და გემრიელი სიცილ-ხარხარი ყველას გვჭირდება.

და მაინც... რატომ ფედო? რატომ ქართულად და მაინცდამაინც დღეს? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ფედო არასოდეს თარგმნილა არც საქართველოში და არც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში. „ზედმეტად“ ფრანგის სიმსუბუქე და ბურჟუას ყოფის ესოდენ მხიარული, უკრიტიკო აღწერა არ ჯდება კომუნისტური იდეოლოგიით „ჩაბეტონებულ“ საბჭოთა თეატრის ესთეტიკაში. გარდა ამისა, წელს პარიზის „ვარიეტეს თეატრში“ ნანახი ფედოს „ექვის ჭია“, რომელშიც შანდებიზის და პოშის როლებს ჟან-პოლ ბელმონდო თამაშობდა, ჩემთვის ერთ-ერთ უდიდეს შთაბეჭდილებად იქცა. ელმონდო, თურმე, სტუდენტობიდან თამაშობს ფედოს: „ფედო ჩემთვის ერთგვარი სპრინტია“, განაცხადა მან ერთ-ერთ ინტერვიუში, “ფორმაში რომ ვიყო, ორ-სამ წელიწადში ერთხელ ფედოს რომელიმე გმირი უნდა ვითამაშო“. ვუყურებდი ბელმონდოს მისი საკუთარი „ვარიეტეს თეატრის“ სცენაზე, სადაც პირველად 1907 წლის 2 მარტს დადგა „ექვის ჭია“, ვტკბებოდი მისი ელეგანტურობით, მისი იუმორით, ტემპერამენტით და... ბატონი რამაზ ჩხიკვაძე მახსენდებოდა „ჭინჭრაქაში“, „ჩალის ქუდში“, „სამგროშიან

ოპერაში“, „კავკასიური ცარცის წრეში“. ეს ორი მსახიობი ხომ თითქმის თანატოლები არიან.

და ისევ... რატომ ფედო? ალბათ უფრო იმიტომ, რომ მსუბუქ კომედიას მონატრებული ქართველი მაყურებელი და, რაც მთავარია, მოუსვენარი ბუნების მქონე ქართველი მსახიობებიც მოიხიბლონ ფედოს სიცილით და ჩაერთონ მისი თეატრის თავბრუდამსვევ მარათონში.

ჟორჟ ფელო

ექვსის ჭია

ფრანგულიდან თარგმნა ირინა ლოლობერიძემ

პერსონაჟები:
ვიქტორ-ემანუელ შანდებიზი
პოში
კამილ შანდებიზი
რომან ტურნელი
ექიმი ფინაში
კარლოს ჰომენიდეს დე ისტანგუა
ოგიუსტენ ფერაიონი
ეტენი
რაგბი
ბატისტენი
რაიმონდა შანდებიზი
ლუსიენა ჰომენიდეს დე ისტანგუა
ოლიმპია ფერაიონი
ანტუანეტა
ჟენი

მონიშვნა №1, №2, №3, ან 1,2,3 და ა.შ. რომელსაც ტექსტში ზოგიერთი პერსონაჟის სახელის შემდეგ ვხვდებით, მიუთითებს ადგილს, სადაც ეს პერსონაჟი, ავანსცენასთან მიმართებაში, უნდა იდგას. ნაკლები ციფრი ავანსცენასთან მეტ სიახლოვეს ნიშნავს და პირიქით. მონიშვნები ტექსტში სხვადასხვა ფორმით არის გამოყენებული.

პიესის მოქმედება ივნისის თვეში ხდება. პირველი და მესამე მოქმედების ადგილი პარიზია, მესამესი—მონტრეტუ.

მოქმედება I

შანდებიზების სალონი. ინგლისური სტილი. დეკორაცია პანელებით არის გამართული. მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოჭრილი პანელით იქმნება ტიხარი, რომლის სიღრმეში შუშაბანდის კედელი მოჩანს. შუაში დიდი ორკარიანი შემოსასვლელი, რომელიც გარედან იკეტება. შუშის კედლის მარჯვნივ და მარცხნივ, სიმეტრიულად, ორი პატარა კარია მოთავსებული. მარცხნივ წინა პლანზე ფანჯარაა. მარჯვნივ, წითელი ხის პატარა კარი მოჩანს (გარედან კარს საკეტი არა აქვს, ოთახიდან იკეტება). მეორე პლანზე პანელით გადაჭრილ ტიხართან მაღალი ბუხარია. ბუხრის მოსართავ ხეში ოქროსფერი ქსოვილის პანოებია. შტორები ფანჯარაზე და შუშაბანდის დეკორაციაც იგივე ქსოვილითაა გამართული; ფანჯრის ქვედა ნაწილსაც იგივე ქსოვილის ფარდა ამშვენებს. ავეჯი წითელი ხისაა, ყველგან ინგლისური სტილია დაცული. სიღრმეში, იმ პანოსთან, რომელიც შუშაბანდსა და მარჯვენა კარს ერთმანეთისაგან გამოყოფს, ვიწრო და ძლიან მაღალი შიფონური დვას. შუშაბანდის მარცხნივ იგივე სტილის პატარა კარადა დვას. უფრო მარცხნივ ფანჯარასა და კედელს შორის სამუჯრიანი კომოლია, ფანჯრის წინ პატარა ნიშაში კი უზურგო მოვრძო სკამი. სკამის წინ, ინგლისური სტილისვე გადაჯვარებულ ცალ ფეხზე, მოზრდილი საქალაღე დვას. თავდახურული საქალაღე სახატავ მუყაოს წაგავს, გადახსნილი კი – საწერ-კალმითა და ფურცლებით აღჭურვილ მაგიდას. ფარდის ახდისას საქალაღე დახურულია. სცენის შუა გულიდან, ოდნავ მარცხნივ, მოვრძო სკამის მახლობლად, პატარა დივანი მოჩანს, წითელი ხისგან აჟურულად ნაკეთები საზურგით. დივანი მაყურებლისკენ ოდნავ ირიბადაა შებრუნებული. მის წინ, პატარა მოხდენილი მაგიდა და ორი სკამია მოთავსებული. სცენის მარჯვენა მხარეს, პერპენდიკულარულად დვას დიდი მაგიდა და სკამები ორივე მხრიდან. სარკე ბუხრის თავზეა დაკიდებული, ინგლისური გრაფიურები კი პანოებზე. აქა-იქ პატარ-პატარა სამშვენისები მოჩანს. გარე ჰოლში, შუშაბანდს მიღმა და შუა კარის პირდაპირ, მოვრძო უზურგო სკამი დვას. მის ზემოთ, კედელზე მიმაგრებული ტელეფონი მოჩანს. მთავარი კიბის შემოსასვლელი კარი, რომელსაც მაყურებელი ვერ ხედავს, ჰოლის მარცხენა მხარესაა ნავარაუდები. თითქმის იმ ტიხარის სიმაღლეზე, რომელიც სალონის მარცხენა კარს შუშაბანდის კარისაგან გამოყოფს.

სცენა I

კამილი, შემდეგ ანტუანეტა, ეტიენი და ფინაში.

ფარდის ზეოთ ასვლისას, კარადის მარცხენა კუთხეს მიყრდნობილი და შუშაბანდისკენ ზურგშექცეული კამილი გამოჩნდება, ის ფეხზე დგას და უჯრიდან ამოღებულ საქალაქდეს ჩაკირკიტებს. პაუზა. სიღრმეში მარცხენა კარი ნელა იღება და ანტუანეტას თავი გამოჩნდება. ყურადღებით ათვალიერებს ოთახს, ქალაქდებში ჩაფლულ კაბილს შეამჩნევს და ფეხაკრეფით მიეპარება, მოეხვევა და გემრიელად კოცნის. კამილი (გაოცებული ძლივს მოდის აზრზე, ბუზღუნით) რაშია საქმე? (უნდა გვესმოდეს ა-ია ა-ე)

ანტუანეტა რამ შეგაშინა? მითხარი ერთი, ბატონები წავიდნენ?

კამილი ხო, ჰო!

ანტუანეტა აბა, ჩქარა! ნისკარტი! სწრაფად, სწრაფად.

კამილი შეჰყურებს, თითქოს არ იცის როგორ მოიქცეს: გაიცინოს, თუ გაბრაზდეს, უეცრად გაეცინება და ანტუანეტას გემრიელად ჩაკოცნის. კარი მოულოდნელად იღება და სცენის სიღრმიდან ეტიენი და ფინაში გამოჩნდებიან.

ეტიენი (ჯერ კიდევ შემოსასვლელში) მობრძანდით, ბატონო ექიმო.

ანტუანეტა და კამილი (ერთად) ოჰ! (სწრაფად ცილდებიან ერთმანეთს. კამილი ჩუმად კურდღელივით იპარება და მარჯვენა კარში უჩინარდება. ანტუანეტა სწრაფად მარცხნისაკენ გადაინაცვლებს და ადგილზე შემდგება).

ფინაში მარჯვნივ გადავა. ეტიენი (№2) მიმართავს ანტუანეტას (№1) – შენ აქ რას აკეთებ?

ანტუანეტა (დაბნეული) მე? აქ, აქ... სადილისთვის განკარგულებას ველოდები.

ეტიენი განკარგულებას? თითქოს არ იცი, რომ ბატონები შინ არ არიან? მიდი! ქვაბებთან, ქურებთან! მზარეულის ადგილი სალონში კი არა სამზარეულოშია.

ანტუანეტა კი მაგრამ...

ეტიენი მოუსვი აქედან!

ანტუანეტა ბუზღუნით გადის მარცხენა კარიდან.

ფინაში (მაგიდის მარცხნივ სკამზე ზის) ოჰო! როგორი მკაცრი ქმარი ყოფილხართ.

ეტენი ქალებთან ასეა საჭირო! თუ მაგრა არ დაუდექი, თვითონ გამოგიჭერენ. მე ეს არ მაწყობს.

ფინაში ყოჩაღ!

ეტენი იცით ბატონო მკურნალო, ეს პატარა ქალბატონი ფინიასავით ერთგული და ვეფხვივით ეჭვიანია. მთელ სახლში დაეხეტება, აქაურობას ყნოსავს, გვითვალთვალებს. ვფიქრობ ერთხელ იეჭვიანა და ...

ფინაში (ირონიით, რომელსაც ეტენი ვერ ამჩნევს) იეჭვიანა?!

ეტენი თვითონ განსაჯეთ! მე და მოახლე...

ფინაში ნამდვილად, ნამდვილად (წამოდგება) კეთილი, რადგან ბატონი სახლში არ არის.

ეტენი (გულახდილი უბრალოებით წინსაფრის ზონარში ხელებჩაწყობილი) არაფერია, დრო ბევრი მაქვს. მე გაგართობთ, ბატონო.

ფინაში (ოდნავ დაბნეული) რაა? ჰო, რა თქმა უნდა ძალიან სასიამოვნო და... ძალიან მიმზიდველია თქვენთან... მაგრამ თავი რომ არ მოგაბეზროთ...

ეტენი რას ამბობთ... საქმე არაფერი მაქვს, არსად არ მეჩქარება...

ფინაში (ირონიულად, თავს ხრის) ძალიან კარგი! ისე, ხომ არ იცით ბატონი როდის დაბრუნდება?

ეტენი ასე ნახევარ საათში. უფრო ადრე, ალბათ, არ მოვა.

ფინაში ეშმაკმა დალახვროს (მაგიდიდან თავის ქუდს აიღებს, დაიხურავს, წამოდგება) ეჰ! რაკი, ასეა... რარიგ სასიამოვნო არ უნდა იყოს თქვენთან ბაასი, იბულებული ვარ დაგტოვოთ. ცხოვრება მარტო გართობა როდია. აქვე მახლობლად ავადმყოფი მყავს სანახავი. გადავდებ და მოვალ.

ეტენი (უკან იხევს შემფოთებული) ოჰ!

ფინაში რაო? (მიუხვდება) ავადმყოფს კი არა, კაცო!... ავადმყოფებს ძალიან ვუფროთხილდები. ეს ხომ ჩემი ბიზნესია! ვიზიტს გადავდებ, ვიზიტს და ორმოციოდე წუთში დავბრუნდები.

ეტენი (თავის დახრით) თავს უფლებას ვერ მივცემ დარჩენა გაიბულოთ.

ფინაში (დამნაშავის იერით) არც მთხოვო, ჩემო კარგო!

(ფინაში წასასვლელად ეშხადება. ეტენი მეორე პლანზე გადადის. მაგიდას აუვლის, ფინაში ბრუნდება). ო, მართლა! თქვენი ბატონი ჩემზე ადრე თუ დაბრუნდა (ჯიბიდან შეკვრას ამოიღებს) აი, ეს გადაეცით და უთხარით, რომ გულდასმით გავსინჯე მის მიერ გამოგზავნილი პაციენტი, ყველაფერი რიგზეა. ჯანმრთელობა საუცხოო აქვს... სრული სიმშვიდით დააზღვიოს.

ეტენი (გულგრილად) კი ბატონო.

ფინაში (დაჯერებით) თქვენთვის, ალბათ, სულერთია...

ეტენი (უზრუნველად) უფ!

ფინაში გასაგებია! მართალი ვითხრა ჩემთვისაც, მაგრამ. ეს ამბავი „ბოსტონ ლაიფ კომპანის“ პარიზისა და პროვინციის დირექტორს ძალიან აღელვებს.

ეტენი (უღარდელად) აბა, აბა, ჩემს პატრონს! ჩემს „ბოსს“ (ფინაში თანხმობის ნიშნად თავს დახრის) მაპატიეთ, ჩვენს შორის დარჩეს.

ფინაში ასე იყოს! რადგან ასე გსურთ, თქვენს „ბოსს“ გადაეცით, რომ მისი იდალგო პირველ კლასს მიეკუთვნება... მოიცა ერთი... რა ჰქვია? დონ კარლოს ჰომენიდეს დე ისტანგუა.

ეტენი მართლაც! ისტანგუა! დიახ, დიახ, ვიცნობ! ზუსტად მისი ცოლია აქ, ქალბატონს ელოდება სალონში.

ფინაში რას ამბობთ! რა პატარაა სამყარო! ქმარი ამ დილით გავსინჯე და ცოლი ახლა აქ, მეზობელ ოთახშია.

ეტენი ივანშემეს კიდევ გუშინ წინ.

ფინაში აი, ხომ ხედავთ!

ეტენი (მაგიდის მარჯვენა მხრიდან სკამზე, როგორც საკუთარ სახლში ისე მოიკალათებას, ფინაში მეორე მხარეს ფეხზე დგას) ერთი მითხარით, ექიმო, ვინაიდან მე თქვენ...

ფინაში თქვენი იცით რა მომწონს? სულაც არა ხართ ამპარტავანი.

ეტენი (ბუნებრივად და უბრალოდ) და რატომ უნდა ვიყო? არა, მე მსურდა თქვენთვის ერთი რამ მეკითხა მეკითხა... სწორედ ამ დილით ჩემს ქალბატონს ვესაუბრებოდი...

ფინაში ქალბატონ მანდებიზს?

ეტენი არა, ქალბატონს კი არა! ჩემს საკუთარ ქალბატონზე მოგახსენებთ.

ფინაში ანუ, თქვენს ცოლს!

ეტენი ჰმ, დიახ, ჩემს ქალბატონს. ცოლი რაღაც პატივისცემას მოკლებული სიტყვაა...

ფინაში (ირონიულად თავს ხრის) ბოდიშს გიხდით.

ეტენი (აგრძელებს) როცა აი აქ... ასე... კი მაგრამ რატომ არ დაბრძანდებით.

ფინაში (დაჯდება, ირონიულად) მაპატიეთ...

ეტენი (ფინაშის წინ სკამზე გადაწვება) აი, როცა აქ... მუცლის ორივე მხარეს რაღაც გჩხვლევს და გჩხვლევს გაუთავებლად? (ადგილის დასაზუსტებლად, მტკივან წერტილებს, მუცლის ორივე მხარეს, ხელით მსუბუქად ეხება).

ფინაში (მის წინ მიწოლილ ეტიენს მიმართავს) უმეტესწილად საკვერცხეების ბრალია ხოლმე...

ეტენი ხო! ესე იგი მე სწორედ ეს... მტკივა.
ფინაში (*ძლივს ინარჩუნებს სერიოზულობას*) ხო და, ჩემო მეგობარო,
უნდა ამოიჭრა.
ეტენი (*წამოდგება, წელში სწორდება*) რაო? ო, არა! მაქვს და არ
ჯობია დავიტოვო?
ფინაში (*წამოდგება*) ვინ გართმევს, ჩემო კარგო, ვინ გართმევს.
ეტენი (*მოვლით გადადის №1*) თქვენ რომ გეთხოვათ, შეიძლება მომეცა
კიდეც.

სცენა II

იგივენი და ლუსიენა

ლუსიენა (*გამოდის მარცხენა კარიდან, ეტენს*) ერთი მითხარით,
მეგობარო, (*შეაძინებს ფინაშს*) ო, უკაცრავად ბატონო! (*ისევ ეტენს*)
დარწმუნებული ხართ, რომ ქალბატონი შანდებიზი მალე დაბრუნდება?
ეტენი (№2) დიახ, მაღამ! ქალბატონმა დამიბარა კიდეც, თუ მაღამ...
თქვენი სახელი?
ლუსიენა (*წაეხმარება*) ჰომენიდეს დე ისტანგუა.
ეტენი (№2) ჰო, ასეა... მობრძანებას ინებებს.
ფინაში უყურე შენ, მობრძანებას ინებებსო...
ეტენი (*ფინაშს მიმართავს შეურაცყოფილი ღირსებით*) დიახაც!
(*ლუსიენას მიმართავს*) არსად გაუშვათო. უცილებლად უნდა ვნახო!
ლუსიენა მეც იგივე მომწერა. ამიტომაც ვარ გაოცებული. რა გაეწყობა,
ცოტას კიდეც დაველოდები.
ეტენი კეთილი, ქალბატონო (*ლუსიენა წამოდგება, ოთახში დააპირებს
გასვლას, მაგრამ ეტენის რეპლიკა წამოეწევა*) აი, ბატონთან
ვბაასობდი...
ფინაში (*ირონიულად*) დიახ, ჩვენ ვბაასობდით.
ეტენი (*წარუდგენს*) ექიმი ფინაში (*მისალმებათა გაცვლა*) „ბოსტონ
კომპანის“ მთავარი ექიმი. ექიმმა მიაძბო, რომ ქალბატონის მეუღლე
სწორედ ამ დილით გასინჯა.
ლუსიენა რას ამბობთ.

ფინაში (*ლუსიენას მიუახლოვდება, ფინაში №3 დგას*) სწორედ ასეა ქალბატონო, მქონდა პატივი გამესინჯა ბატონი დე ისტანგუა.

ლუსიენა როგორ! ჩემმა ქმარმა თავი გაგასინჯათ?! რა უცნაური აზირებაა.

ფინაში სადაზღვევო კომპანიების აუცილებელი პირობაა. უნდა მოგილოცოთ, მაღამ, თქვენ რომ მეუღლე გყავთ!!! რა ჯანმრთელობა! რა ტემპერემენტი!

ლუსიენა (*ფარული ოხვრით დაეშვება სკამზე, რომელიც პატარა დივანის წინ, სცენის მარცხენა მხარესაა მოთავსებული*) ო, ჩემო ბატონო ამას ვის უმტკიცებთ!

ფინაში ვფიქრობ ძალიან სასიამოვნოც უნდა იყოს.

ლუსიენა ნამდვილად, მაგრამ რომ იცოდეთ, რა დამქანცველია.

ფინაში უშრომლად არაფერი მოიპოვება, მაღამ!

ეტიენი (*ამოიოხრავს*) ამაზე არ ოცნებობს ქ-ნი პლუშო?!

ლუსიენა ვინ არის ქ-ნი პლუშო?

ეტიენი ჩემი მეუღლე, სულ მსაყვედურობს... მას სწორედ ისეთი ქმარი სჭირდება, როგორიც ქალბატონსა ჰყავს.

ფინაში ღმერთო ჩემო, ქალბატონის ნებართვით და ბატონის თანხმობით, იქნებ მოიძებნოს ამ საქმის მოგვარების შესაძლებლობა.

ეტიენი რაო? არა, არა.

ლუსიენა (*წამოღვება და მხიარულად*) მეც უარზე ვარ.

ფინაში (*სიცილით*) მაპატიეთ მაღამ, იმ ეშმაკი ეტიენის გადამკიდე, სისულელეს ვროშავ. (*ქუდის ასაღებად სცენას გადაჭრის*) მორჩა, თუ ნახევარ საათში დაბრუნებას ვაპირებ, უნდა გავიქცე. მაღამ, სასიამოვნო იყო...

ლუსიენა ჩემთვისაც, ექიმო.

ეტიენი (*გააცდილებს*) ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ექიმო... როცა აი ასე, საკვერცხეებს ვაწვები...

ფინაში ერთი კარგი მასაქმებელი ზეთი მიიღეთ, ყველაფერი მოწესრიგდება.

გადიან.

სცენა III

ლუსიენა, შემდეგ კამილი

ლუსიენა (ექიმს თვალს გააყოლებს) კარგი ვინმეა! (საათს დააცქერდება) ორის შვიდი წუთია. როგორ მოუთმენლად მელოდება, თურმე, რაიმონდა! რა გაეწყობა. (სცენის მარცხენა მხარეს სკამზე გადაჯდება, ჟურნალს აიღებს და გულგრილად იწყებს თვალღებებს.)

კამილი (სიღრმიდან შემოდის, კარადას უახლოვდება რათა დოსიე, რომელიც წინა სცენიდან ხელში შერჩა, ჩაღოს. ამჩნევს ლუსიენას) ო, უკაცრავად, ქალბატონო! (სინამდვილეში, მთელი აქტის მანძილზე მან უნდა ილაპარაკოს გაურკვეველად, დახშული ხმით. გარკვევით მხოლოდ ხმოვნები უნდა წარმოთქვას, როგორც ხახვანკრეტილმა ენაბლუმ).

ლუსიენა (თავს აწევს და ესაღმება) ბატონო.

კამილი ქალბატონი, ალბათ, „ბოსტონ ლაიფ კომპანის“ დირექტორს ელოდება (ჩვენ მიახლოვებით ასე გვესმის: ა-ა-ო-ი, ა ა თ, ო ო, ა ი ი ე ო ე ო ე ა)

ლუსიენა (შემცბარი) უკაცრავად?

კამილი (ისევე გაურკვეველად იმეორებს) მე ვამბობ, ქალბატონი, ალბათ, „ბოსტონ ლაიფ კომპანის“ დირექტორს ელოდება-თქო.

ლუსიენა (შეწუხებული) მაპატიეთ, მაგრამ კარგად ვერ გავიგე რა ბრძანეთ.

კამილი (უფრო ნელა, მაგრამ ისევე გაურკვეველად) არა, მე გეკითხებით. ის, ვისაც ქალბატონი ელოდება ბატონ დირექტორს...

ლუსიენა (სიტყვას აწყვეტინებს და თითქოს ბოდიშს იხდის) არა, არა მე ფრანგი, ფრენჩ (წამოადგება)

კამილი (ისევე) კი, მაგრამ მეც!

ლუსიენა იქნებ მსახურს მიმართოთ. მე ოჯახის წევრი არა ვარ, ქალბატონ შანდებიზს ველოდები. პაემანი მაქვს მაქვს მასთან.

კამილი ო-ოჰ! მომიტევეთ. მხოლოდ იმიტომ შეგეკითხეთ, რომ თუ „ბოსტონ ლაიფ კომპანის“ დირექტორს ელოდებით...

ლუსიენა დიას, ბატონო, დიას.

კამილი (კარადამდე მიდის, საქალაქდეს უჯრაში დებს, უჯრას ხურავს და სცენიდან გასვლისას კვლავ მიმართავს ლუსიენას) მომიტევეთ, ქალბატონო.

ლუსიენა (თვალეგაფართოვებული შეჰყურებს მიმავალ კამილს) ვინ არის ეს იროკეზი? (ასევე ბუტბუტით მარჯვნივ გადაინაცვლებს)

სცენა IV

ლუსიენა, ეტიენი, შემდეგ რაიმონდა
ეტიენი (*სცენის სიღრმიდან შემოდის*) ქალბატონმა ძალიან ხომ არ მოიწყინა?

ლუსიენა ო, ჩემო კარგო, ერთი მითხარით – აქ ესლა ერთი კაცი შემოვიდა.

ეტიენი (*გაკვირვებული შეკრთება*) – კაციო?

ლუსიენა დიახ დიახ! მალრიბულად მელაპარაკა. ვერ გავიგე, რას მიყვებოდა (*ბაძვს კამილს*) ე ა უ ი ე რალაც ამდაგვარი.

ეტიენი (*სიცილით*) ეს ხომ ჩვენი კამილია.

ლუსიენა უცხოელი, არა?

ეტიენი უცხოელი კი არა, ბატონის ძმისწული, მისი ძმისშვილი... ალალი ძმისწული. გასაგებია, რომ ქალბატონმა ვერა გაუგო რა. გამოთქმის ხინჯი აქვს. თანხმოვნებს ვერ წარმოთქვამს.

ლუსიენა რას ამბობთ?

ეტიენი დიახ, ქალბატონო! თუ შეჩვეული არა ხართ, ძალიან შემაწუხებელიცაა. მე ცოტ-ცოტა უკვე მესმის.

ლუსიენა ალბათ, გაკვეთილები ჩაგიტარათ.

ეტიენი არა, მაგრამ ხომ იცით, როცა ისმენ, ყური ეჩვევა.

ლუსიენა ჰო, ასეა, ასე. (*ჯდება სკამზე მაგიდის მარცხენა მხარეს*).

ეტიენი ბატონმა მდივნად აიყვანა; ვერსად ვერ მოეწყო, მისი, მომიტევეთ და წყეული გამოთქმის გამო.

ლუსიენა ღმერთო! კაცი, რომელსაც მხოლოდ ხმოვნები შეუძლია შემოგთავაზოს.

ეტიენი აბა, აბა! განა ეს საკმარისია... ისე, წერის დროს თანხმოვნებსაც ხმარობს, მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ დაწერ სათქმელს (*მაგიდას შემოუვლის*) ძალიან სამწუხაროა. ასეთი ჭკვიანი და მოწესრიგებული ყმაწვილი... თუ დამიჯერებთ საყვარელიც კი არასოდეს ჰყოლია, ქალბატონო.

ლუსიენა რას ამბობთ?

ეტიენი (*გულუბრყვილოდ*) მე, ყოველ შემთხვევაში, ასე ვიცი.

ლუსიენა (*წამოდგება*) უხვად ყოფილა დაჯილდოვებული ეს თქვენი ყმაწვილი.

ეტიენი (*ამოიხრავს*) ვაი, ვაი, რომ ასეა (*შეამჩნევს რაიმონდას, რომელიც სცენის სიღრმიდან გამოჩნდება*) ქალბატონიც მოვიდა!

ლუსიენა როგორც იქნა!

რაიმონდა (ქარივით დაუვლის იქაურობას) ჩემო საწყალო! მაპატიე.
(მაგიდაზე ჩანთას დადებს და ეტიენს მიმართავს) დაგვტოვეთ, ეტიენ.
ეტიენი კეთილი, ქალბატონო (ლუსიენას) ქალბატონი მომიტევებს?
ლუსიენა რა თქმა უნდა. (ეტიენი გადის)
რაიმონდა (იხდის ქუდს და სიღრმეში კარის გვერდით ძვლად სკამზე
დებს) გალოდინე.
ლუსიენა (დაცინვით) არა, რას ამბობ?
რაიმონდა შორიდან მივრბივარ. ყველაფერს აგისხნი (სწრაფად
უახლოვდება ლუსიენას) ლუსიენ, მოსვლა იმიტომ გთხოვე, რომ რაღაც
ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. ქმარი მრალატობს.
ლუსიენა ვიქტორ-ემანუელი?!

რაიმონდა დიახაც, ვიქტორ-ემანუელი.
ლუსიენა როგორ?
რაიმონდა არარაობა! ოო! მე მას გამოვიჭერ! (გადის №1).
ლუსიენა რას ნიშნავს „გამოვიჭერ“? დამამტკიცებელი საბუთი არა
გაქვს?
რაიმონდა არა მაქვს, არა! არამზადა! არა მაქვს, მაგრამ მექნება!
ლუსიენა კი, მაგრამ როგორ?
რაიმონდა არ ვიცი! შენ ჩემთან ხარ. შენ მომიძებნი! (ჯდება დივანზე)
ლუსიენა (რაიმონდას გვერდით ფეხზე დგას) მე-ე?
რაიმონდა დიახ, დიახ. უარი არ მითხრა, ლუსიენ, მონასტერში ჩემი
საუკეთესო მეგობარი იყავი. აგერ ათი წელია ერთმანეთი არ გვინახავს,
მაგრამ რაღაც-რაღაცეები ხომ არ იკარგება?! მე შენ გიცნობდი, როგორც
ლუსიენ ვიკარს, ეხლა ლუსიენ ჰომენიდეს დე ისტანგუა გქვია. გვარი კი
დაგიგრძელდა, მაგრამ გული ხომ დაგრჩა იგივე. სრული უფლება მაქვს
საუკეთესო მეგობრად ჩავთვალო.
ლუსიენა რა თქმა უნდა, უყომანოდ.
რაიმონდა ჰო და დახმარება რომ დამჭირდება, ვის უნდა მივმართო?
შენ!! შენ!!
ლუსიენა (რაიმონდას პირდაპირ ჯდება, ცოტა ყოყმანით) რა კეთილი
ხარ.დიდი მადლობა ნდობისთვის.
რაიმონდა (გადასვლის გარეშე, შეუჩერებლივ) მაშ, მითხარი, რა ვქნა, რა
გავაკეთო?
ლუსიენა (დაბნეული) ჰმ? რისთვის?
რაიმონდა რისთვის და ჩემი ქმარი რომ გამოვიჭირო! ნუთუ არ გესმის?
ლუსიენა აბა რა ვიცი?! ამისთვის გამომიძახე?
რაიმონდა რა თქმა უნდა.

ლუსიენა მსგავსი რამეებისთვის მოახლე არა გყავს, თუ?! ერთი მითხარი, დარწმუნებული ხარ, რომ ქმარი გლალატობს? იქნებ, ცდები და, პირიქით, უერთგულესია?

რაიმონდა ი-ის?

ლუსიენა ღმერთო! საბუთი რომ არა გაქვს?

რაიმონდა რალაც-რალაცებში არ ვტყუვდები ხოლმე!

ლუსიენა იქნებ შენი ქმარიც ის რალაც-რალაცაა და არ გატყუებს!

რაიმონდა კარგი ერთი! ბავშვი ხომ არა ვარ, ზღაპრები ვიკმარო. აი შენ, შენ რას იტყვოდი. ერთ მშვენიერ დღეს, აი ასე, მოულოდნელად, შენი ქმარი რომ... აი მას აქეთ, რაც ნამდვილი ქმარი იყო... მოულოდნელად აღარ არის ქმარი. ჰოპ და აღარ არის! აი ასე... ერთ დღეში...

ლუსიენა (*სიამოვნებით*) მე ვიტყვოდი უუ-უფ! რა კარგია-ა!

რაიმონდა აბა კი! ასე იტყვოდი... უფ! ასე ვამბობთ ვიდრე... მეც ასე ვამბობდი... უსასრულო სიყვარული, მუდმივი გაზაფხული ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი მეჩვენებოდა. ჩემს თავს ვეუბნებოდი: ერთი პატარა ღრუბელი! რამე უთანხმოება! მცირე გასნსაცდელი! რამე, რამე მაინც! იქამდე მივედი, რომ საყვარლის გაჩენაც კი დავაპირე! მხოლოდ იმისთვის, რომ რალაც განცდა მაინც შემექმნა.

ლუსიენა საყვარლის? შე-ენ?

რაიმონდა აჰ, ღმერთო! იცი, არის მომენტები! არჩევანიც კი გავაკეთე. მაგალითად, რომან ტურნელი, გუმინწინ ჩემთან რომ ივანშმეთ, ვერ შეამჩნიე, როგორ მეარშიყებოდა? შენი გამკვირვებია! შენს ცხვირწინ მაინც არ მომხდარიყო ყველაფერი.

ლუსიენა ო. ო!

რაიმონდა როგორც იტყვიან, ქმრის უახლოვესი მეგობარი, ყველაფრითაა დაჯილდოვებული რომ... (*წამოდგება*) ოოჰ! მაგრამ ეხლა... საყვარელი გავიჩინო! ეხლა, როცა ქმარი მლალატობს?!

ლუსიენა (*წამოდგება და მარჯვნივ გადაინაცვლებს*) გინდა რალაც გითხრა?

რაიმონდა რა?

ლუსიენა რა და, შენ საბოლოო ჯამში, შენი ქმრისთვის გიჟდები.

რაიმონდა მე-ე? მე ვგიჟდები?

ლუსიენა აბა, მაშ, რა გაღელვებს?

რაიმონდა მაღელვებს კი არა, მაბრაზებს! მე კი მინდა მას ვუღალატო, მაგრამ იმან – მე-ე?! არა, გენაცვალე, ეს მეტისმეტია.

ლუსიენა (*მოსასხამს იხლის*) მშვენიერი მსჯელობაა.

რაიმონდა რა, არა ვარ მართალი?

ლუსიენა (*მოსასხამს მარჯვნივ მაგიდაზე დადებს*) ხარ, ხარ! მაგრამ არ მჯერა იმის, რასაც მიყვები და რა ვქნა.

რაიმონდა (*მაგიდას შემოუვლის*) როგორ თუ არ გჯერა! როცა ქმარი წლების მანძილზე დაუშრეტელი ჩანჩქერივით იყო და ყცებ ფშიკ... პლუფ... აღარაფერი! მშრალზე!...

ლუსიენა (*მაგიდის მარცხნივ ზის*) მერე?! ჩვენი მეგობარი მენცერენესიც ასეა!... თუმცა ვერ იტყვი, რომ საკუთარ ლოგინს პირი უბრუნა.

რაიმონდა ო-ოჰ!

ლუსიენა ასეთი ცოტა გინახავს? კაზინოში, მაგალითად, ყველას ანცვიფრებენ გამბედაობით, იგებენ, ბანკებს ხურავენ. ცოტა ხნის მერე კი ორი საცოდავი კაპიკით თამაშობენ.

რაიმონდა (*გაცეცხლებული, ხმამაღლა*) ორ კაპიკად მაინც თამაშობდეს! არა! არაფერი! იმათ უფრო ჰგავს, ბანქოს მაგიდას შორიდან რომ უტრიალებენ. (*მიდის მაგიდასთან, სადაც მისი ქუდი დევს*).

ლუსიენა მით უკეთესი. ეს გვიჩვენებს რომ სხვაგან არ იცლება. ეს გვიმტკიცებს რომ უკვე დაცლილია და მორჩა. ბასტა!

რაიმონდა (*უსმენს, დაბალ კარადაზე ხელაბშემოწყობილი*) აბა-ბა.. (*უახლოვდება მაგიდას, თავის ჩანთაში იქექება და ერთ წუვილ თავის ბრეტელს ამოიღებს*) აი, ამაზე რას იტყვი?

ლუსიენა ეს რაღაა?

რაიმონდა (*კატეგორიული ტონით*) აჭიმები!

ლუსიენა (*იგივე ტონით*) ასეც ვოფიქრე.

რაიმონდა თუ იცი ვის ეკუთვნის?.. ეს აჭიმები?

ლუსიენა ვვარაუდობ, რომ შენს ქმარს.

რაიმონდა აი, აი! შენც დაეჭვდი, არა?

ლუსიენა არაფერიც! უბრალოდ, ჩანთით თუ მამაკაცის აჭიმებს ატარებ, ეს აჭიმები შენი ქმრისა უნდა იყოს და არა უცხო კაცისა.

რაიმონდა (*აჭიმებს ჩანთაში ჩაღებს, ჩანთას მაგიდაზე შემოდებს და ლაპარაკით სცენის შუაგულისკენ გაემართება*) სწორია! ახლა კი, თუ შეძლებ, ამიხსენი, რატომ მიიღო ჩემმა ქმარმა საკუთარი აჭიმები ფოსტით?

ლუსიენა ფოსტითო?

რაიმონდა დიახ, ამანათით, რომელიც მე შემთხვევით გავხსენი, როცა მის ფოსტას ვამოწმებდი.

ლუსიენა კი მაგრამ, რატომ ამოწმებ მის ფოსტას?

რაიმონდა (*ბუნებრივი ტონით*) რომ გავიგო რა დევს შიგნით?

ლუსიენა (*ირონიული რევერანსით*) უტყუარი მიზეზია.

რაიმონდა რატომაც არა !

ლუსიენა აი თურმე რას უწოდებ ამანათის გახსნას... შემთხვევით.
რაიმონდა რა თქმა უნდა! შემთხვევით, ამ შემთხვევაში ნიშნავს... გახსნა
ის, რაც შენ არ გეკუთვნის.
ლუსიენა აჰა! მშვენიერია.
რაიმონდა ასეა, ასე! დამეთანხმე, გეთაყვა, თუ ჩემს ქმარს ფოსტით
აჭიმებს უგზავნიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მას სადღაც დარჩა.
ლუსიენა (*წამოდგება, მარცხნივ გადაინაცვლებს*) თავისთავად ცხადია.
რაიმონდა დიას!... ახლა გამოიცანი „სადღაც“ რას წარმოადგენს.
ლუსიენა (*შიშს გაითამაშებს*) ნუ მაშინებ!
რაიმონდა სასტუმროს „მოტრფიალე ფისუნია“, ჩემო კარგო.
ლუსიენა ეს რაღაა?
რაიმონდა სახელწოდებას თუ დაუფუჯერებთ, საოჯახო პანსიონატი არ
უნდა იყოს.
ლუსიენა (*თავის ქნევით*) სასტუმრო „მოტრფიალე ფისუნია“.
რაიმონდა (*მარცხენა კარიდან ხის ან ძუყაოს კოლოფს აიღებს და
ავანსცენისკენ ბრუნდება*) აი, სხვათა შორის, რაში იღო ამანათი!
წარწერაც ზედა აქვს და აი, ქვემოთ, ჩემი ქმრის სახელი და მისამართია:
„ბატონი შანდებიზი. 95, მალზერბის ბულვარი“
ლუსიენა (*კითხულობს*) სასტუმრო „მოტრფიალე ფისუნია“. ოჰო!
რაიმონდა რომელიც მდებარეობს მონტრეტუში, ჩემო ძვირფასო,
დასახელებაც რა მრავლისმთქმელია! საჩინო, ყველაფერი აჩინო,
ყველაფერი გამოაჩინო... არა, არა მე შენ გიმეორებ, ეს ყველაფერი
უკადრისი და სამარცხვინოა. (*კოლოფს მაგიდის მარჯვენა მხარეს დებს*).
ახლა ხომ მიხვდი, რომ არ ვცდები! ჩემი ვარაუდი სწორია! მე მას...
სწორია!
ლუსიენა ოჰ!
რაიმონდა ღმერთო ჩემო! ხშირად მიფიქრია, ჩემს ქმარს რომ ვამჩნევდი
ცოტა... ცოტა...
ლუსიენა (*სიტყვას წააშველებს*) მენცენერესობას?
რაიმონდა მადლობთ! ჰოდა ჩემს თავს ვარწმუნებდი: აბა, აბა! გეყოფა! რა
მოხდა მერე! მაგრამ ეს?! ე-ეს? ო, არა! ეჭვის ჭია გამიჩნდა, შემომეჩვია
და მღრღნის (*კოლოფი მიაქვს და კარადაში ინახავს*).
ლუსიენა მესმის! მესმის!
რაიმონდა (*ბრუნდება*) შენ რომ ის სასტუმრო გენახა, ძვირფასო!
საკონდიტროში ეხლახან გამომცხვარი ტორტივითაა!
ლუსიენა რომ გენახაო?! შენ რა, ნახე?
რაიმონდა რა თქმა უნდა! იქედან მოვდივარ!
ლუსიენა რაოო!

რაიმონდა ამიტომაც დავიგვიანე.

ლუსიენა ო-ო-ო!!

რაიმონდა მინდოდა დავრწმუნებულიყავი! ჩემს თავს ვუთხარი: გამოსავალი ერთია! სასტუმროს პატრონს უნდა დაელაპარაკო! ჰოდა... ოი, განა აღვიღია ასეთ... სასტუმროს პატრონთან ლაპარაკი... შეგეშინდება, ისე იცავენ ერთმანეთს უზნეობაში... არც მომისმინა!!

ლუსიენა აბა, რა გეგონა! ეს ხომ იმ ხელობის ანა-ბანაა.

რაიმონდა აი, საძაგლობა! იცი, რა მითხრა? მაღამ, ასე იოლად რომ ვასახელებდე ყველას, ვინც ჩემს სასტუმროს ეწვევა, თქვენ პირველი არ მოადგამდითო აქ ფეხსო. ხო, ხო! მე, მე მითხრა! სხვა ვერაფერი ამოვგლიჯე პირიდან. ნამდვილი ლოქო!

ლუსიენა (*უკმაყოფილო გრიძასით*) ზედმეტად აკეთილშობილება.

რაიმონდა ახლა დავრწმუნდი, რომ ჩვენ, ქალებს მხოლოდ ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს. კაცებმა თუ იციან გვერდში ამიდგომა, ჩვენ რა გვიშლის ხელს ... შენ ჩემზე მოხერხებული ხარ... ფაქტები იცი... მასწავლე რა ვიღონო.

ლუსიენა უკან დასახევი გზა არ დამიტოვე...

რაიმონდა გაინძერი, რამე მოიფიქრე.

ლუსიენა ოჰ! ვიცი, მადროვე (*ფიქრობს, გამოსავალს დაეძებს*) – შენს ქმარს რომ დაელაპარაკო ...

რაიმონდა აბა, რას ამბობ! მშვენივრად იცი, რომ მომატყუებს. კაცზე დიდი მატყუარა ვინმე გინახავს? ქალი არა მყავს მხედველობაში.

ლუსიენა აბა, სამყაროს ორი ქმნილება და ორივე ერთნაირად... მისმინე! მგონი, მოვიფიქრე. თეატრში ხშირად მინახავს...

რაიმონდა რა, ოჰ, რა?

ლუსიენა გენიალური არაფერია! კაცებთან შეიძლება გაგვივიდეს... ავიღოთ სუნამოთი გაჟღენთილი ქალაღლის ფურცელი და წერილი მივწეროთ შენს ქმარს, ვნებით სავსე წერილი, ვითომ სხვა ქალი წერს და... პაემანი დავუვიშნოთ!

რაიმონდა პაემანი?

ლუსიენა რომელზეც შენ თვითონ წახვალ. თუ ქმარი მოვა, ბასტა! ყველაფერი დამტკიცდება.

რაიმონდა ჰო, ჰო! შენ მართალი ხარ. იდეა გენიალური არ არის, მაგრამ კლასიკურია. ნაცადი ხერხია და შედეგიც შეიძლება უკეთესი გამოიღოს. (*მიემართება საწერი მოწყობილობის მოსატანად, რომელიც ფანჯარასთან დგას, მოიტანს და დივანის წინ გაშლის*) ახლავე მივწეროთ ვიქტორ-ემანუელს!

ლუსიენა (*თავისუფლად, მხიარულად*) მივწეროთ ვიქტორ-ემანუელს!

რაიმონდა (ზის დივანზე, საწერად ემზადება, უცებ გადაიფიქრებს) კი მაგრამ... ჩემს ხელწერას იცნობს.

ლუსიენა (ძალიან სერიოზულად) ერთხელ მაინც თუ მიგიწერია, უეჭველად იცნობს.

რაიმონდა (წამოიჭრება) მისმინე, შენსას ხომ ვერ იცნობს. შენ! შენ უნდა მიწერო (ლაპარაკის დროს ლუსიენას თავის ადგილას დასაჯდომად ექაჩება)

ლუსიენა (ეწინააღმდეგება) მე? ოჰ, არა! არა! ამას ვერ გავაკეთებ! არა, ძალიან საჩოთირო, ძალიან უხერხული საქმეა. ჩემი გრძნობები ამას...

რაიმონდა აი, სწორედ შენს გრძნობებს მოვუხმობ. (მკაცრად) ხარ თუ არა ჩემი საუკეთესო მეგობარი?

ლუსიენა (ნებდება) ოჰ, რა ხარ? ჯოჯოხეთში გამისტუმრებ.

რაიმონდა ჩემი ქმარიც იქ დაგხვდება.

ლუსიენა რა ბედნიერება მელის! (გადაწყვეტს საქალაქს მიუჯდეს) კარგი! მომეცი საწერი ქალაქი!

რაიმონდა (უჯრიდან საფოსტო ქალაქს ამოიღებს) აჰა, აიღე!

ლუსიენა შენი საფოსტო ქალაქი რად მინდა, გაგიჟდი, ხომ იცნობს!

რაიმონდა რა სულელი ვარ! სწორია! (მიემართება პატარა კარადისკენ, რომელიც ფანჯარასა და მარცხენა კარს შორისაა მოთავსებული). ოიცა, სხვა მაქვს. ვფიქრობ გამომადგება... ჩემი დისშვილებისთვის შევიძინე. (გამოაძრო სამი თუ ოთხი ფურცელი ირგვლივ მაქმანითა და წვრილი ყვავილებით)

ლუსიენა უიმე, ესა? იფიქრებს, რომ მზარეულთან აქვს საქმე და პაემანზე აღარ წავა.

რაიმონდა (თავის ქნევით) მართალი ხარ.

ლუსიენა არა გაქვს, თხელი, ნაზი გრძნობების გამაღვიძებელი ქალაქი?

რაიმონდა (მარცხენა კარადის უჯრიდან იღებს ქალაქის შეკვრას) ღმერთო ჩემო, აი, ეს იისფერი თუ გამოდგება! სოფლისთვის ვიყიდე... მგრძნობიარე სულაც არა არის.

ლუსიენა რა გაეწყობა! ისე ბლომად სუნამო რომ ვასხურო?

რაიმონდა ოჰ! მაქვს, მაქვს რამდენიც გინდა! ალისფერი სამყურა... ამას წინათ ვიყიდე, სუნი ვერ ავიტანე, დავაბრუნებ-მეთქი და გადავინახე. მოიცა (ლაპარაკ-ლაპარაკით ფანჯრის მარჯვენა მხარეს ელექტროლილაკს აჭერს თითს).

სცენა V

ივიენი, კამილი, შემდეგ ანტუანეტა

სწორედ ამ დროს მარჯვენა ოთახიდან გამოდის კამილი. იგივე საქალაქო ხელში. იგი ყურადღებით ათვალიერებს სალონს.

კამილი მაპატიეთ (ა-ა-ი-ე-თ).

რაიმონდა (სცენის მარცხნივ, პატარა კომოდთან, ფეხზე დგას). რა გნებავთ, კამილ?

კამილი (თავის გაუგებარ ენაზე) ნუ მაქცევთ ყურადღებას. ისე შემოვიხედე, ვიქტორ-ემანუელი ხომ არ დაბრუნებულა?

რაიმონდა (ძალიან უბრალოდ მარტივი საუბრის დონეზე) ჯერ არა! რაშია საქმე?

კამილი (ისევე) რამდენიმე წერილი მაქვს ხელმოსაწერი. ერთი კონტრაქტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მჭირდება... ცოტა დაბნეული ვარ და მინდოდა...

რაიმონდა ჰო, კარგი, კარგი. ვფიქრობ ძალიან არ დაიგვიანებს.

კამილი კითხილი, დაველოდები. ესღა დამრჩა გასაკეთებელი. რაც არ უნდა ვთქვა, ან გავაკეთო... თვითონ უნდა...

რაიმონდა ნამდვილად ასეა!

(მთელი საუბრის განმავლობაში ლუსიენა პირდაღებულია. ხან ერთს შეჰყურებს, ხან მეორეს, ბოლოს მისი აღფრთივანებული მზერა რაიმონდაზე შეჩერდება).

რაიმონდა ასე რატომ მოყურებ?

ლუსიენა (დაბნეული) რა?? არა არაფერი, არაფერი!

კამილი (მიმართავს ლუსიენას) ხომ ხედავთ ქალბატონო, ჩემი ბიძაშვილი, საბოლოო ჯამში, დაბრუნდა! ბევრი ხომ არ გალოდინათ?

ლუსიენა (მოულოდნელი მიმართვით ცოტა დაბნეული, სურს დააჯეროს, რომ ყველგვერი გაივო) რა თქმა უნდა, ჩემო ბატონო, მე გიცანით. ახლახან არ ვისაუბრეთ... აქ...

რაიმონდა (ემშაკურად) არა, არა, სულ სხვას ამბობდა. გეუბნება, რომ მე როგორც იქნა დავბრუნდი და იმედს გამოთქვამს, რომ დიდხანს არ გალოდინე.

კამილი (უდასტურებს) დიახ, დიახ!

ლუსიენა (დარცხვნილი ცდილობს თავაზიანობა გამოიჩინოს) ჰა? აჰ! დიახ, დიახ, რა საკვირველია.

რაიმონდა (წარუდგენს) ბატონი კამილ შანდებიზი, ჩემი ბიძაშვილი. ქალბატონი კარლოს ჰომენიდეს დე ისტანგუა!

კამილი თავის დაკვრით ესალმება. რაიმონდა მარცხენა მხარეს გადაინაცვლებს.

ლუსიენა (წამოდგება) მოხარული ვარ, ბატონო. მაპატიეთ თუ ახლახან ვერა გაგივით რა, ხანდახან, სმენა მლაღატობს..

კამილი (მხიარულად) ო, მადლობელი ვარ. ძალიან კეთილი ბრძანდებით. ქალბატონო! საქმე იმაშია, რომ ჩემი საერთოდ არავის ესმის. გამოთქმაში ხინჯი მაქვს...

ლუსიენა (უხერხულად იცინის, ისე იქცევა, თითქოს საერთოდ არაფერი ესმის) დიას, დიას, დიას. (რაიმონდას მიმართავს, თითქოს დახმარებას სთხოვს) რა მითხრა?

რაიმონდა (კომიკური სერიოზულობით) გეუბნება, რომ გამოთქმის ხინჯი მაქვსო.

ლუსიენა (გაკვირვებას თამაშობს) ბატონო, აჰ? მართლა? აჰ! დიას... შესაძლოა! რადგან თვითონ ბრძანეთ...

კამილი (სიცილით და თავის დაკვრით) ო-ო, რა კეთილი ბრძანდებით!

ანტუანეტა (სიღრმიდან შემოდის და №3 დგება) ქალბატონი მიხმობდა?

რაიმონდა (ლუსიენა დივანზე) დიას, მაგრამ თქვენ არა. ადელს დაუძახეთ. ორჯერ დავრეკე.

ანტუანეტა ადელი თავის ოთახშია. ამიტომ გეახელით.

რაიმონდა კარგი, არა უშავს. წადით ჩემს საძინებელში და სუნამო მომიტანეთ, იქვე მარჯვენა უჯრაში დევს.

ანტუანეტა კეთილი, ქალბატონო.

რაიმონდა ადვილად მიაგნებთ. კოლოფს ალისფერი სამყურა ახატია.

ანტუანეტა დიას, ქალბატონო.

სცენის მარჯვენა მხარეს, მაგიდის ირგვლივ, წრეზე შემოვლით ბრუნდება, კამილს (№4) ჩაუვლის, თვალებში დაჟინებით ჩააცქერდება აშკარად დაბნეულ ახალგაზრდა კაცს და კეკლუცად შემოუვლის. ამგვარად, ანტუანეტი №4 გადადის, ხოლო კამილი №3 რჩება. წრის დარტყმისას მაყურებლისკენ ზურგშექცეული ანტუანეტა მარცხენა ხელით მწარედ ჩქმეტს კამილს თეძოზე და უშფოთველი იერით გადის.

კამილი (ტკივილით შეტოკებული) ვა-აი!

რაიმონდა და ლუსიენა (შეკრთებიან) რა მოხდა?

კამილი (ანტუანეტას სცენიდა გასვლის მომენტში) არაფერი, არაფერი. აგერ თეძოზე, არა, თეძოში მწარე ტკივილი... ამიტომ შეეყვირე.

რაიმონდა რევმატიზმი იქნება.

კამილი (თეძოს ისრესს. მარჯვენა გასასვლელისკენ გაემართება გრეხვითა და რევერანსებით) რევმატიზმია, ნამდვილად, რევმატიზმია.

რაიმონდა ნამდვილად.

კამილი იქ განვაგრძობ ჩემს სამუშაოს, (ემშვიდობება) მაღამ...

ლუსიენა (მსუბუქიად თავის დახრით) ბატონო.

კამილი (კარს მიაღწევს) უერთგულესი პატივისცემა, მაღამ (გადის).

ქალები მიმავალ კამილს უყურებენ, როგორც კი ის თვალს მიეფარება, გულიანად აკისკისდებიან.

ლუსიენა არა... ოჰ. დავტკბი შენი ყურებით... როგორ იგებ თუნდაც ერთ სიტყვას.

რაიმონდა (ემშაკურად) ამიტომ შემომცქეროდი ასე დაჟინებით?

ლუსიენა ჰო, ჰო.

რაიმონდა რა გინდა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. არც შენ იყავი ნაკლები. როგორ უმტკიცებდი, არაფერია, ბატონო, ყველაფერი გასაგებიაო!

ლუსიენა მისი წყენა არ მინდოდა.

ანტუანეტა (მარცხენა მხრიდან შემოდის სცენაზე, ხელში ფლაკონი უჭირავს) ეს არის, ქალბატონო ?

რაიმონდა (ართმევს ფლაკონს) ესაა, მაღლობთ. (ჩამოჯდება დივანის წინ განლაგებულ ერთ-ერთ სავარძელზე ლუსიენის პირდაპირ. ანტუანეტა გადის) კარგი! გვეყოფა .მოდო წერილი დავწეროთ, ჩემი ქმრის მოსვლამდე.

ლუსიენა სწორია. (საწერად ემზადება) აბა... როგორ დავიწყოთ ჩვენი ბარათი?

რაიმონდა აუ-ფ!

ლუსიენა ჯერ ის დავაზუსტოთ, სად გადაირია ის უცნობი ქალი შენს ქმარზე? სად შევახვედროთ?

რაიმონდა ჰო! სად?

ლუსიენა თეატრში თუ იყავით ამ ბოლო დროს?

რაიმონდა გასულ ოთხშაბათს პალე-რუაიალში, ბატონ ტურნელთან ერთად.

ლუსიენა ბატონი ტურნელი?

რაიმონდა ლამის ჩემი საყვარელი რომ გახდა, ისაა.

ლუსიენა აჰ, ხო! უფ! კარგი, შეიძლება კიდევ გამოგვადგეს. ახლავე ნახავ (წერს) - „ბატონო, ერთ საღამოს პალე-რუაიალში დაგინახეთ”

რაიმონდა (გრიმასით) არაა ცუდი, მაგრამ ხომ არ გეჩვენება, რომ სიყვარულით ელდანაკრავისთვის ცოტა ცივად არის დაწერილი.

ლუსიენა ცივად?

რაიმონდა ჰო, თითქოს სასამართლოს აღმასრულებლის ანგარიშიაო. შეიძლება ვცდები, მაგრამ მე პირადად მოურიდებლად, უკმეხად დავწერდი... მაგალითად, ასე: „მე სწორედ ისა ვარ, ერთ საღამოს, პალე-რუაიალში თვალი რომ ვერ მოგაშორეთ”, მორჩა და გათავდა, ბატონო. შხვა არაფერი! ბრახ! აჰა, ესეც შენ!

ლუსიენა ერთი ამას დამიხედეთ! თურმე რა ნიჭიერი ყოფილხარ!

რაიმონდა (მორცხვად, თავმდაბალი) ღმერთო ჩემო, ისე ვთქვი რა ... როგორც, ალბათ, მე თვითონ დავწერდი.

ლუსიენა კარგი შევთანხმდით. (საქალაქედან უკვე დაწყებულ წერილს ამოიღებს, იქვე მაგიდაზე დადებს და წერას ახალ ფურცელზე განაგრძობს) „მე ვარ ის, ვინც ერთ საღამოს... პალე რუაიალში

რაიმონდა (კარნახობს) „თვალი ვერ მოგაშორათ“. ასე, ასე... ცხელა! ეს... პირდაპირია.

ლუსიენა დავწერე! (აგრძელებს) „ლოჟაში ბრძანდებოდით თქვენს მეუღლესა და ერთ ბატონთან ერთად“

რაიმონდა ბატონ ტურნელთან...

ლუსიენა (წერას აგრძელებს) ჰო, მაგრამ იმ ქალს რაში ენაღვლება სხვისი გვარები. (აგრძელებს წერას) „ვიღაცამ ჩემს გვერდით, თქვენი სახელი წარმოთქვა ხმამაღლა“

რაიმონდა „გვარი დაასახელა“.

ლუსიენა „ასე გავიგე თქვენი ვინაობა“

რაიმონდა რა მარტივია!

ლუსიენა (წერს) „მას აქეთ მხოლოდ თქვენზე ვოცნებობ!“

რაიმონდა ოჰ, ოჰ! ცოტა ხომ არ გადავაჭარბეთ?

ლუსიენა დიანაც და სწორედ ასეა საჭირო! ასეთი რამეები სხვებზე რომ გესმის ზედმეტი გეჩვენება, საკუთარ თავზე კი – პორიქით, გეცოტავება.

რაიმონდა აჰ! რადგან ასეა.. ასე იყოს. შენი ნებაა.

ლუსიენა (განაგრძობს წერას) „მზადა ვარ სიგიჟე ჩავიდინო! თუ გინდათ ჩემთან ერთად თავი მოიგიჟიანოთ, გელოდებით დღეს ხუთ საათზე სასტუმროში „მოტოფიალე ფისუნია“.

რაიმონდა ოჰ! ვოთომ ასე აჯობებს? იგივე სასტუმრო... არ დაეჭვდეს.

ლუსიენა პირიქით. ეს მას ... ააღვლავებს. (წერას განაგრძობს) მონტრეტუ, სენაზე. ოთახი ბატონი შანდებიზის სახელზე იქნება.

რაიმონდა (კარნახობს) „თქვენი იმედი მაქვს“

ლუსიენა (წერს, თავის დაკერით ეთანხმება) „თქვენი იმედი მაქვს“.. შენში ნამდვილად არის დიდი მონაცემები...

რაიმონდა კარგი შეგირდი ვარ.

ლუსიენა (წერას განაგრძობს) „ქალი, რომელსაც თქვენ უყვარხართ“.

ესეც ასე, ახლა სუნამო.

რაიმონდა (ვიდრე ლუსიენა წერდა, ფლაკონი გახსნა) აი! (ფლაკონს გაუწვდის. ლუსიენა სუნამოს თითებზე ისხამს და წერილს უხვად აფრქვევს).

რაიმონდა (ფეხზე წამოიჭრება, რადგან დაინახავს, რომ სუნამომ ძელანი ადგილ-ადგილ გახსნა და ლაქებად აქცია) ოჰ!

ლუსიენა ეშმაკმა დალახვროს!

რაიმონდა აჰ! შეხე, რა მოხდა.

ლუსიენა აბა!

რაიმონდა ხელახლა უნდა დავწეროთ.

ლუსიენა მოიცა! არა, პირიქით, ეს საქმეს წაადგება. (ჯდება და წერს) „პოსტ-სკრიპტუმი. ამ წერილს რომ გწერთ, ცრემლად ვიღვრები, ჩემო ბატონო. გთხოვთ, გაისარჯოთ და სასოწარკვეთის ცრემლი ბედნიერების ნამად გადამიქციოთ” (ლაპარაკობს) აჰა! ესეც შენი ალისფერი სამყურა! ბათქ! გასროლილია!

რაიმონდა სულ ერთია, მაინც იფიქრებს, რომ მარტოხელა ქალისთვის ცოტა ზედმეტია... ეს ტირილი, ცრემლი.

ლუსიენა რას ამბობ! ძალიან ბუნებრივი მოეჩვენება. ეხლა კი მისამართი (კონვერტს აწერს) ბატონ ვიქტორ-ემანუელ შანდებიზს 95, მალზერბის ბულვარი. პირადად. (დგება, №2 გადადის და კონვერტს აწებებს) გყავს ვინმე, რომ წერილი გაატანო?

რაიმონდა (საქალაქდეს ხურავს და თავის ადგილზე მიაქვს) ვინმე? აჰ, ღმერთო!.. რა თქმა უნდა... მყავს... შენ!

ლუსიენა (წამოიჭრება) მე? არა! უკაცრავად...

რაიმონდა ხო, ხო, აბა ვინ? გამიგე! მოახლეს ვერ გავაგზავნი, ფოსტალიონი ერთია. წერილს რომ მოიტანს, მოახლეს იცნობს და ყველაფერი ჩაიფუშება. ვერც მე წავალ! ჩემმა ქმარმა რომ გამოჰკითხოს, ფოსტალიონს წერილის მომტანი როგორ გამოიყურებოდაო, ფოსტაში მე ამწერენ და... ჩვენი ვარდის თაიგული დაჭკნება. შენ კი, შენ! მშვენიერია! შენ ამისთვის ხარ დღეს მოვლენილი!

ლუსიენა ყველაზე მძიმე ტვირთი!

რაიმონდა ბოლოსდაბოლოს, ხარ თუ არა ჩემი საუკეთესო მეგობარი?

ლუსიენა ვარ! მაგრამ ოჰ იცი, ცოტას აჭარბებ. (გარედან ზარის ხმა ისმის.)

რაიმონდა ზარია... ჩემი ქმარი იქნება. (მარცხნივ გადაინაცვლებს და მარცხენა კარზე მიუთითებს) სწრაფად! აქედან გაიპარე. მესამე კარი შეაღე და გასასვლელში მოხვდები.

ლუსიენა (სცენის შუაგულიდან მიდის მითითებულ კართან) კარგი! აბა დროებით!

რაიმონდა დროებით, ნახვამდის.

ლუსიენა გადის, რაიმონდა თავის ფლაკონს მარცხენა პატარა კარადაში ჩამალავს. ამ დროს შიდა შუა კარი იღება და გასასვლელში

შანდებიზი გამოჩნდება. თან ეტიენს ელაპარაკება. ტურნელი მის უკან დგას.

სცენა VI

რაიმონდა, შანდებიზი, ტურნელი, ეტიენი.

შანდებიზი (შლიაპით, ეტიენს ელაპარაკება) და ექიმმა ვითხრათ, რომ კიდევ შემოივლის.

ეტიენი დიას, ბატონო.

შანდებიზი კარგია! მშვენიერია! (მიმართავს ტურნელს, რომელსაც ქუდი ხელში უჭირავს) შემოდი, შე ძველო! (გაატარებს ტურნელი სალონში მარჯვნიდან შედის მარჯვენა მაგიდასთან). ერთი წუთი დაგაყოვნებ. საბუთებს ხელი უნდა მოვაწერო.

რაიმონდა (რომელიც შემოსულებმა ვერ შეამჩნიეს) აბა, აბა! კამილი როგორც მესიას, ისე გელოდება.

შანდებიზი (№2 მარჯვენა მაგიდის მარცხენა მხრიდან ოდნავ წინ წამოწეული) შეხე! შენ აქ ყოფილხარ!

ტურნელი (ადგილიდან) ოჰ! სალამი, ძვირფასო ქალბატონო.

რაიმონდა გამარჯობა, ტურნელ (ქმარს) დიას, მეც აქა ვარ.

შანდებიზი ტურნელი კიბეზე შემხვდა და ერთად ამოვედით.

რაიმონდა (გულგრილად) ჰმ!

ტურნელი (პორტფელიდან მოტანილ ქალაღებს ამოიღებს. პორტფელს მაგიდაზე დადებს) დიას, დასაზღვევი კლიენტების ახალი სია მოვიტანე.

შანდებიზი ძალიან კარგი. ეხლავე მომეცი (ელაპარაკისას შარვალს ისწორებს ისე, თითქოს აჭიმო აწუხებდეს).

რაიმონდა (შანდებიზის მოძრაობა არ გამოეპარა) რატომ ექაჩები შარვალს. აჭიმები ხომ არ გაწუხებს?

შანდებიზი ჰო, თითქოს.

რაიმონდა მე რომ გიყიდე ისინი ვიკეთია?

შანდებიზი რა? ხო, ხო!

რაიმონდა ადრე თითქოს არ გაწუხებდა.

შანდებიზი ზედმეტად დავჭიმე.

რაიმონდა (გაიწევს მისკენ) ეს არაფერია, მოდი, გაგისწორებ.

შანდებიზი (ინსტინქტურად უკან დაიხვეს) არა, არა! არ ღირს, მე თვითონ მოვუშვებ.

რაიმონდა (ცივად) ჰო?.. კარგი! როგორც გენებოს.

შანდებიზი (ტურნელს) მომიტევე. ერთ წამში შენს განკარგულებაში ვიქნები.

ტურნელი წადი! წადი, ბატონო!

შანდებიზი მარჯვენა ოთახის კარებს შეაღებს.

კამილის ხმა (ოთახში შემოსულ შანდებიზს ეხმიანება) ა-ა.

შანდებიზი (შეწუხებული ამ შედახილით, რომლის ტონი მიახლოვებით შემდეგ ნიშნავს: შენა ხარ! რა ღროზე მობრძანდი!) ხო კარგი, კარგი! რა მოხდა! შენც მაგარი ხარ. იცი, რამდენი საქმე მქონდა (შედის და კარს მოიხურავს).

ტურნელი (როგორც კი შანდებიზი გაუჩინარდება, რეიმონდას მიეჭრება. რეიმონდა სცენის სიღრმეშია ოდნავ მარცხნივ) ო! რაიმონდა, რაიმონდა მთელი ღამე თქვენზე ვოცნებობდი.

რაიმონდა (აღტაცებას შეაჩერებს) ო! არა, ჩემო მეგობარო, არა! გმადლობთ! ესლა, როცა ჩემი ქმარი მღალატობს, იგივეს გაკეთება არ შემიძლია.

ტურნელი რაო?

რაიმონდა ეს კარგია, თუ სხვა რამ არ მაღარდებს!

ტურნელი კი, მაგრამ, რაიმონდა, რაიმონდა! თქვენ ხომ მითხარით, თქვენ ხომ დამაიმედეთ!

რაიმონდა ჰო? უფ! შეიძლება ასეც იყო! მაგრამ მაშინ აჭიმების პრობლემა არ მაწუხებდა. ესლა კი, როცა აჭიმები გამოჩნდა... საღამო მშვიდობისა. (გადის მარცხნიდან)

ტურნელი (ერთ ხანს გაოგნებულია, შემდეგ) ერთი შეხედე! არა როგორია?! რა აჭიმები, რის აჭიმები? რა უნდოდა ეთქვა? აჭიმები?!

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით მარჯვენა მაგიდის ავლით, მარცხნისკენ მიემართება.

სცენა VII

ტურნელი, კამილი, შემდეგ ფინაში

კამილი (სიღრმეში მარჯვენა ღია კარში დგას და მხიარული ტონით) ბატონო ტურნელ! ჩემი ბიძაშვილი გიხმობთ.

ტურნელი (ღიმილით) რაო?

კამილი (უშედეგოდ ცდილობს კარგად გამოთქვას) ჩემი ბიძაშვილი გიხმობთ.

ტურნელი (კვლავ იცინის) არ მესმის, რას მეუნებით. როდის დაიწყებთ ნორმალურად ლაპარაკს?

კამილი ერთი წუთი! (ქურთუკის ჯიბიდან ბლოკნოტს ამოიღებს, გულის ჯიბიდან ფანქარს და წერას შეუდგება) ჩე-მი ბი-ძა-შვილი გი-ხმობთ.

ტურნელი (კითხულობს) ჩემი ბიძაშვილი გიხმობთ. ჰო?! კარგი ერთი! ასე ვერ მითხარი? (ბუზღუნით, ლანძღვით საბუთებს მოკრიბავს, პორტფელს იქვე დატოვებს და გადის).

კამილი (როგორც კი ტურნელი გავა) თავხედი! (წინ ავანსცენისკენ მოიწევს, თან ლაპარაკს აგრძელებს) კარგი ტიპია! შევწუხდი, მის დასაძახებლად მოვედი, ის კი მტუქსავს. (ამ დროს სიღრმეში კარი იღება, ეტიენი ფინაშს შემოუძღვება და მასთან დიალოგს წამოიწყებს)

ეტიენი ღიახ, ღიახ, ბატონი შინაა!

ფინაში ძალიან კარგი!

ეტიენი (გადის) წავალ, გავაფრთხილებ. (ამასობაში კამილი, რომელმაც მათი შემოსვლა ვერ გაიგო, წუწუნს (ჩივილს) განაგრძობს).

კამილი ესეც არის რა. მე მას თავაზიანად ვეუბნები: “ტურნელ, ჩემი ბიძაშვილი გიხმობს“ ის მამეორებინებს, მე ვუწერ კიდევ და მას თავხედობა ჰყოფნის მიპასუხოს, აქამდე ვრ მითხარიო!! მე თუ კიდევ შევიწუხო თავი ასეთი... ასეთი მაჩვ-ზღარბასთვის.

ფინაში (ერთხანს შეჰყურებს) რაშია საქმე, მეგობარო, უკვე მონოლოგებს ვკითხულობთ?

კამილი (შეკრთება) ოჰ! აა, ეს თქვენა ხართ, ექიმო? რა, ერთი ტიპის გამო, ვბუზღუნებდი რომელმაც...

ფინაში (რა თქმა უნდა, არაფერი ესმის) კარგი, კარგი ნუ წუხდები (ტონს იცვლის) აბა, პატარა ყალთაბანდო, რა არის ახალი? როგორ ვიქეიფეთ... მაშინ?

კამილი (სწრაფად უახლიოვდება ფინაშს და ძალიან ჩუმად) ე-ე, სუ! გაჩუმდით!

ფინაში სულ დამავიწყდა! აქ ხომ მკაცრი კამილის სახელით გიცნობენ. თქვენს რეპუტაციას უფრთხილდებით.

კამილი (აწრიალდება, როგორც ნაკვერჩხლებზე მდგომი) ძალიან გთხოვთ!

ფინაში სამწუხაროდ, პირადი ექიმისთვის ყოველთვის უნდა მოიძებნოს ერთი საათი, როცა... როცა პატარა წმინდანის გამიშვლებაც კი აუცილებელია, ყველაფერი მესმის და სიმართლე გითხრათ, კარგადაც ვერთობი თქვენებს რომ ვხედავ. რას ფიქრობენ თქვენზე...

კამილი (უხერხული სიცილით) აბა, აბა!

ფინაში ერთი მითხარით... ჩემი რჩევა თუ გამოგადგათ?

კამილი რომელი?

ფინაში აი, „მოტრფიალე ფისუნის“ თაობაზე.

კამილი (შეშინებული, ჩუმი ხმით) ო-ო! გაჩუმდით!

ფინაში რა მოხდა? მარტონი ვართ! იყავით?

კამილი (ყოყმანობს, ირვკლივ მიმოიხედავს და ძალიან ჩუმი ხმით) დიახ.

ფინაში როგორ მოგეწონათ?

კამილი (ექსტაზში, ცისკენ აღაპყრობს თვალებს) ო-ოჰ!

ფინაში ჰო, არა? ო-ო-ო! აბა, მე რას გეუბნებოდი? გუგუნება რომ მომინდება, მხოლოდ ამ სასტუმროს ვცნობ... კარგი, კარგი, ვხედავ რა ცეცხლიც გიკიდიათ. მიდი, გააფრთხილეთ თქვენი ბიძაშვილი.

კამილი (კმაყოფილი ასეთი გადასვლით) ასე ჯობია!

ფინაში ჰო, მართლა! სანამ არ დამავიწყდა, ერთი რაღაც უნდა გადმოგცეთ.

კამილი (ბრუნდება) რაღაც?

ფინაში (პატარა კოლოფს ამოიღებს ჯიბიდან) ის, რასაც დაგპირდით, ის რაც საშუალებას მოგცემთ ილაპარაკოთ, ისე როგორც სხვები ლაპარაკობენ.

კამილი ჰო, ჰო! იშოვეთ?

ფინაში აბა ვერ ვიშოვიდი? რამ გამოიწვია თქვენში ეს თავისებურება? თანდაყოლილმა ნაკლმა. სახის თალი ღროულად არ ჩამოყალიბდა და ბგერა იმის მაგიერ, რომ ბუნებრივ ტიხარს წააწყდნენ და უკან დაბრუნდნენ, იქვე, ხახაში, იკარგება.

კამილი ასეა, ასე!

ფინაში ჰო და სწორედ ეს ტიხარი მოგიტანეთ. ერთი შეხედვით რა ლამაზია, რა მშვენივრად არის გაკეთებული.

კამილი აბა, მაჩვენეთ!

ფინაში (კოლოფს ხსნის) ვერცხლის ხილია, ჩემო ძვირფასო, ვერცხლისა, როგორც ზღაპარშია ხოლმე.

კამილი (აღფრთოვანებით ხელებს მიიკრავს გულზე) ო-ო-ო!

ფინაში თანაც საკუთარ კოლოფში ჩემო... ყველასთვის ხელმისაწვდომი კი არ არის ვერცხლის ხიდი თავისი ჩასადებით.

კამილი და მე ვილაპარაკებ!

ფინაში რა?

კამილი მე ვილა... მოიცათ... (უნდა იქვე მოირგოს ხიდი)

ფინაში (ხელით შეაჩერებს) არა, არა ასე არ ივარგებს. ჯერ ბორის ხსნარში ჩადევით, ვინ იცის რა ხელში გაიარა.

კამილი მართალი ბრძანდებით. იცით, რას ვამბობდი? (ცდილობს კარგად გამოთქვას) მე ლაპარაკს შევძლებ?

ფინაში (მიუხვდა სათქმელს) დიახ, ლაპარაკს შეძლებთ და თანაც როგორ! ნიჭი თუ აღმოგაჩნდება, კომედი-ფრანსეზის თეატრშიც ითამაშებთ.

კამილი (გაბრწყინებული სახით) ა-ჰ! ეხლავე ჩვედებ წყალში (წასვლას დააპირებს).

შანდებიზის ხმა კამილ!

ფინაში თქვენ გეძახიან!

კამილი უთხარით, რომ ეხლავე მივალ (გაუჩინარდება სცენის სიღრმეში).

სცენა VIII

ფინაში, შანდებიზი

შანდებიზი (შემოდის სიღრმიდან, პირდაპირ) კამილ!

ფინაში (მისკენ გაემართება) ეხლავე თქვენთან გაჩნდება, პატარა საქმე ჰქონდა (ხელს გაუწოდებს) როგორ ბრძანდებით?

შანდებიზი ა, გამარჯობა, ფინაში, მოხარული ვარ! ზუსტად რომ თქვენი ნახვა მინდოდა, სალაპარაკო მაქვს.

ფინაში ცოტა ხნის წინ შემოვიარე. ეტიენმა არ გითხრათ?

შანდებიზი დიახ, დიახ, ისტანგუას დაზღვევის თაობაზე, თითქოს ჯანმრთელია, არა?

ფინაში ჯანმრთელიო?! აი, თავად ნახეთ (ჯიბიდან დოსიეს ამოიღებს და შანდებიზს აწვდის).

შანდებიზი (დოსიეს ართმევს) გმადლობთ.

ფინაში (მაგიდას მარცხენა მხრიდან მიუჯდება) აბა, რამ შეგაწუხათ, რაზე უნდა მელაპარაკო/?

შანდებიზი ჰოო! ესე იგი... პატარა რჩევა უნდა გკითხოთ. ერთი საჩოთირო საკითხის თაობაზე. წარმოიდგინეთ და ამ ბოლო დროს ერთი საკმაოდ უცნაური რამ დამჩემდა.

ფინაში რაშია საქმე?

შანდებიზი არც კი ვიცი, როგორ აგისხნათ. ხომ იცით, მე შესანიშნავი მეუღლე მყავს.

ფინაში გეთანხმებით.

შანდებიზი კეთილი და პატიოსანი. მეორეს მხრივ, თქვენ ისიც იცით, რომ ჩემზე დიდი მთარშიყე ძნელად თუ მოიძებნება.

ფინაში ჰმ?!

შანდებიზი (*ცოტა დათრგუნული*) რა „ჰმ“, რატომ ამბობთ „ჰმ“. ჰმ კი არა ასეა, ასე.

ფინაში აბა, მე არა ვიცი, ჩემო კარგო!

შანდებიზი თუ არ იცით, მე გეტყვით, რომ ასეა. არც იმის თქმით გაგაკვირვებთ, რომ ჩემი ცოლი ჩემთვის ყველაფერია: მეუღლე... საყვარელი. ისიც უნდა ითქვას, რომ... მარტონი ვართ და ცოტას წავიტრაბახებ, მეც ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე ვიყავი როგორც ქმარი და მამაკაცი.

ფინაში ჰმ?

შანდებიზი რა „ჰმ“, რატომ „ჰმ“, ჰმ კი არა ასეა, ასე.

ფინაში აბა, მე რა ვიცი, ჩემო კარგო.

შანდებიზი არ იცით და მე გეუბნებით, რომ ასეა, სიმაღლეზე და... უფრო მეტიც.

ფინაში ძალიან კარგი! მაგრამ რაღაც ვერ ვხვდები, ეს შესავალი რისთვის...

შანდებიზი (*წამოღდება, შემდეგ მაგიდის მარჯვენა კუთხეზე ჩამოჯდება*) ჰოდა, საქმეც ესაა! თუ გინახავთ „ცნობის ფურცელში“ რომ თამაშია რა გაქვთ წარსადგენი

ფინაში რაო?

შანდებიზი გეკითხებით, თუ გინახავთ როგორ თამაშობენ „რა გაქვთ წარსადგენი?“

ფინაში ღმერთო ჩემო!

შანდებიზი რა იყო! ნახეთ, თუ არა ეს თამაში.

ფინაში (*ცოცხლად*) ჩვენში დარჩეს და გამოგიტყდები: იმ დღეს მარტო არ ვიყავი სააბაზანოში...

შანდებიზი (*იციინის*) ა-ა! კარგი, კარგი! ასეთი ნაკლი ყველას გვაქვს!

ფინაში (*სიცილით*) სწორია.

შანდებიზი არა აქვს მნიშვნელობა. ცხოვრებაში ბევრი რამ გინახავთ ისე, რომ ამ საკითხებში გაცნობიერებული იქნებით. მე მოგიყვებით: ერთი ყმაწვილი საქორწინო მოგზაურობაში გაემგზავრა. გზაში თავის ქალბატონს ცოლ-ქმრული გრამატიკის პირველ პრინციპებს აცნობს, ნუ უნერგავს! გაკვეთილის საუკეთესო მომენტში, გამოჩნდება მებაჟე უადგილო კითხვით, „წარსადგენი ხომ არაფერი გაქვთ? და ყმაწვილკაცს უხეშად აწყვეტინებს... იდეათა ძაფს.

ფინაში ეხლა მახსენდება... ბუნდოვვად.

შანდებიზი ბუნდოვნად... ჩემო ძვირფასო, მებაჟეს თქვენს სააბაზანო ოთახზე, ეტყობა, არ გაუვლია. (*წამოდგება და №1 გადადის სცენის შუაგულში*).

ფინაში (*ეშმაკურად იცინის*) არ გაუვლია.

შანდებიზი (*ლაპარაკ-ლაპარაკით მიდის, მარცხენა კუთხიდან იღებს სკამს, ატრიალებს შემოაჯდება, იცინის*) მოკლედ! შაწყალს, იმ დღიდან მოყოლებული, ერთი რამ დასჩემდა: როგორც კი გაურკვეველად მიტოვებული საკითხის ხელახლა განსჯის სურვილი გაუჩნდებოდა... ცოლის ნაცვლად, მებაჟეს ხედავდა... და ესმოდა წარსადგენი ხომ არაფერი გაქვთო და უცებ, ფშიკ და არაფერი.

ფინაში ეს ცოტა მოსაბეზრებელი უნდა იყოს.

შანდებიზი (*დამაჯერებლად*) ოჰოჰოო, ძალიან! (*წამოდგება*) ჰოდა, ჩემო კარგო, მეც ასე მემართება ჩემს ცოლთან.

ფინაში ე-ე?!

შანდებიზი დიახ, დიახ! ერთ მშვენიერ დღეს... უფრო ზუსტად ერთ მშვენიერ ღამეს, (*სკამს თავის ადგილზე გადადგამს*) ამ ერთი თვის წინ მე ჩვეულებისამებრ ძლიერ... შეყვარებული ვიყავი, ჩემი გრძნობები ქალბატონ შანდებიზს გავანდე, მანაც არ დააყოვნა და ამყვა! უცებ, ვერც კი გავიგე, რა მოხდა...

ფინაში (*ეშმაკურად*) მებაჟემ შემოიარა?

შანდებიზი (*მსუბუქად*) სწორედ. (*ცოცხლად*) რაო? უფ! არა! ო-ოჰ! არ ვიცი როგორ, რაღაც სიმძიმე, თუ დარდი შემომაწვა და მე თავი ვიგრძენი... (*ანგელოზის ხმით... ფეხებში იკეცება და ნელ-ნელა პატარავდება*) ბავშვად... ბავშვად... სულ პატარა ბავშვად.

ფინაში დალახვროს ეშმაკმა. ეს უკვე მეტისმეტია.

შანდებიზი (*თავს მისკენ მოაბრუნებს, უკმაყოფილო გრიძასით*) დავუშვათ. (*იცვლის ტონს*) ღმერთო ჩემო, იმდენად ძლიერი ვარ ჩემი წარსული დიდებით, რომ არაფრად ჩავაგდე, ჩემს თავს ვუთხარი: არაუშავს, მარცხი-დღეს, რევანში-ხვალ!

ფინაში კარგია, ომის გამოცხადებასა ჰგავს...

შანდებიზი ნამდვილად, მაგრამ მეორე დღეს რაღაც თარსად გამეფიქრა: „ფრთხილად, შე ძველო! გუშინდელივით არ მოგივიდეს-თქო. სისულელე არ არის მსგავსი უაზრობით თავის დატენა იმ მომენტში, როცა თვითდაჯერება, შემართება გჭირდება... არა, ეს ყველაფერი, ნამდვილად, არ მაკლია. ოკლედ, შიშმა შემიპყრო და ისევ ფშიკ! და მარცხი!

ფინაში საწყალი შანდებიზი!

შანდებიზი აბა, აბა, საწყალი შანდებიზი! იმ დღიდან ყველაფერი მორჩა! აკვიატებულ აზრად მექცა! ვერც კი ვბედავ საკუთარ თავს ვკითხო – იქნებ ამ საღამოს!.. არა, მე ვამბობ „ამ საღამოს მე, ალბათ, ვერ ” და დუმც! ისევ ვმარცხდები!

ფინაში (*ხუმრობით*) აბა, აბა მაშინ როცა თქვენ...

შანდებიზი როგორ? კარგი ერთი ფინაში, ხუმრობის თავი სადა მაქვს...

ფინაში (*წამოდგება*) რა გინდათ? ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ შემთხვევას ტრაგიკულ გამონაკლისად ჩავთვლი? თქვენს ასაკში მსგავსი რამ ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენაა. თქვენ თვითშთაგონების ერთი უბრალო მსხვერპლი ბრძანდებით. თქვენვე უნდა დაძლიოთ ეს დაბრკოლება. ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეთ, სადაც სურვილია შესაძლებლობაც მოდის.

შანდებიზი უფ! უ-უფ!

ფინაში აღარ იკითხოთ, იქნებ ამ საღამოსო, ეს კითხვა თქვენ დუმც გი..გაგდებთ! მტკიცედ თქვით, ამ საღამოს მე!!! და.. არასოდეს შეგეპაროთ ეჭვი საკუთარ თავში. და კიდევ... რაც მთავარია... არასდროს შეურიოთ ამ... საქმეს თავმოყვარეობა! დიახ, დიახ ყველაფერი თავმოყვარეობის ბრალია. თავმოყვარეობა და სიყვარული ერთმანეთს ვერ ეწყობა. რაც თქვენ მე მომიყვებით... თქვენი ცოლისთვის უნდა გაგენდოთ და არა ჩემთვის. ძალიან გარკვევით, მშვიდად. სულაც არ იყო საჭირო მისი მოტყუება და ეშმაკობა. ნამდვილად ბევრს იცინებდა, თქვენც იცინებდით მასთან ერთად. თვითოეული რაღაც ახალ ემოციას შემოიტანდა ურთიერთობაში და შფოთიც დავიწყებას მიეცემოდა. გარწმუნებთ, ყველაფერი საათივით აეწყობოდა.

შანდებიზი (ჩაფიქრებული) ალბათ, მართალი ბრძანდებით.

ფინაში გარდა ამისა სპორტი, ვარჯიშები. ეხლავე მოვისმენთ. ბევრს მუშაობთ, ზედმეტ დროს ატარებთ კაბინეტში. (*ძუხლს გვერდში წაართყავს, წელში მოხრის, ორივე ხელით მის მხრებს დაეყრდნობა*). შეხედეთ, მხრებშიც მოხრილი ხართ. სწორედ ამისთვის გამოგიწერეთ ამერიკული აჭიმები. დარწმუნებული ვარ, რომ არც ატარებთ.

შანდებიზი (*ჟილეტს აიწევს, რათა აჭიმები ანახოს*) როგორ არა! ესენი რომ მეტარებინა, ძველები სულ გავაჩუქე. ჩემმა ბიძაშვილმა კამილმა

მიიღო მემკვიდრეობაში. ისე, უნდა გითხრათ, რომ ეს... ამერიკული აჭიმები ძალიან უშნო რამ არის.

ფინაში თქვენს მეტი ვინ ხედავს?

შანდებიზი ვინ და ჩემმა ცოლმა წელან ცოტაც და ცხვირი მიაღო ზედ.

ფინაში ერთი ამას დამიხედეთ!

შანდებიზი (*მარჯვენე გაიწევს*) მადლობელი ვარ, ესლა მაკლდა სამახსოვროდ.

ფინაში (*მისდევს მას*) აი, აი, ამპარტავნობთ იქ, სადაც საჭირო არ არის. (*ტონს ცვლის*) მოდით აიწიეთ ქურთუკი, უნდა მოგისმინოთ.

შანდებიზი ემზადება ქურთუკის გასახდელად, ამ დროს სიღრმეში კარი იღება და ეტიენი ლუსიენას შემოუძღვება.

სცენა IX

იგივენი, ლუსიენა, ეტიენი, შემდეგ რაიმონდა, შემდეგ ტურნელი.

ლუსიენა (*ეტიენს*) მოახსენეთ თქვენს ქალბატონს!

შანდებიზი (*ცოცხლად შემოიცვამს ნახევრად გახდილ ქურთუკს*) – ო-ო-ო!

ეტიენი დიახ, ქალბატონო!

შანდებიზი (*ფინაშს, ლაპარაკით მიიწევს წინ*) ახლავე! (*ლუსიენას*) თქვენ, ძვირფასო ქალბატონო?!

ლუსიენა დიახ, დიახ, როგორ ბრძანდებით?

შანდებიზი თავად როგორ გიკითხოთ. ჩემი ცოლის სანახავად შემოიარეთ?

ლუსიენა საყიდლებზე გავედი და ხელმეორედ შემოვიარე. თქვენი ცოლი ახლახან ვნახე... სხვათა შორის ბატონიც.

ფინაში (*თანხმობის ნიშნად თავს ხრის*) ნამდვილად, ნამდვილად.

შანდებიზი თქვენი გაცნობა არ ყოფილა აუცილებელი... ცოტა ანერვიულებული ხომ არ მოგეჩვენათ?

ლუსიენა (*ფინაშზე მიუთითებს*) ბატონი ფინაში?

შანდებიზი არა, ჩემი ცოლი. ვერ გავიგე, რა მოუვიდა ამ დილით...

ფენის წვერზეც ვერ მიეკარებოდი.

ლუსიენა მე ვერაფერი შევამჩნიე.

შანდებიზი მით უკეთესი.

რაიმონდა (მარცხენა კარიდან გამოჩნდება) შენც მოსულხარ.

ლუსიენა (მისკენ გაემართება) კიდეც ერთხელ გამარჯობა.

რაიმონდა (ჩუმად) რას მეტყვი?

ლუსიენა (ჩუმად) ყველაფერი რიგზეა! უკან მომყვება!

რაიმონდა კარგი.

ეტიენი (თასით წერილი შემოაქვს) ბატონო!

შანდებიზი ჰო?

ლუსიენა (ჩუმად რაიმონდას) აი! აი!

ეტიენი კურიერმა ბატონს პირადი წერილი მოართვა.

შანდებიზი (გაკვირვებული) მე მომიტანა?! ვნახოთ, ვნახოთ! (ქალებს მიმართავს). თუ ნებას მომცემთ? (ლორნეტს ამოიღებს, ცხვირზე წამოიკვამს, წერილს ხსნის, თვალს გადაავლებს და გაოცებას ვერ ფარავს) ო-ოუ! ესლა მაკლდა!

რაიმონდა (მკვირცხლად) რა მოხდა?

შანდებიზი არაფერი.

რაიმონდა (შემპარავად) რაიმე უსიამოვნებაა?

შანდებიზი – ოჰ! არა... საქმე... საქმე დაზღვევას ეხება.

რაიმონდა (ცივად) გასაგებია (ლუსიენას ჩუმად, გაცეცხლებული) მოდი აქ! ახლა ხომ გასაგებია!

ორივე მარცხენა მხრიდან გადის.

შანდებიზი (ფინაშს მიეჭრება სცენის მარცხენა კუთხეში) არა, ჩემო კარგო, არა და არა! ქალები საკვირველი არსებანი არიან. ვერც გამოიცნობთ, რა მოხდა.

ფინაში რა?!

ტურნელი (დოსიე ხელში უჭირავს, შემოდის მარჯვენა კარიდან) შენც ხარ რა! რას მიმატოვე შუა საქმეში?

შანდებიზი ჰმ! მოდი აქ, მოდი, არც შენ იქნები ზედმეტი.

ტურნელი (ჩამოდის და გზად, დოსიეს მაგიდაზე ტოვებს) რა მოხდა? (ფინაშს) გამარჯობა ექიმო!

ფინაში გამარჯობა, ტურნელ!

შანდებიზი ბიჭებო, გამაგრდით! (ეფექტური პაუზის შემდეგ) ტრფობის საგნად ვარ ქცეული.

ორივე რაო?

ტურნელი შენ?

ფინაში თქვენ?

შანდებიზი გამოსულელდით? (გადადის №2) შეხედეთ! არაფერსაც არ ვიგონებ. (კითხულობს, გარკვევით თითოეულ სიტყვას) „მე სწორედ ისა ვარ, ერთ საღამოს პალე–რუაიალში თვალი რომ ვერ მოგამორეთ”

ტურნელი შენ?

ფინაში თქვენ?

შანდებიზი (*გამოაჯავრებს, დოცლაპიასავით*) შეენ! თქვენ! დიახაც, თვალი ვერ მომაშორა.

ტურნელი ის იყო?!

შანდებიზი (*ხელს ართმევს*) მაღლობთ.

ტურნელი (*წერილს გამოართმევს და კითხვას განაგრძობს*) „ლოჟაში ბრძანდებოდით თქვენს მეუღლესა და ერთ ბატონთან ერთად”

შანდებიზი ერთი ბატონი შენა ხარ! ერთი ბატონი – ესე იგი იქსი, ვილაცა, უსახური, მტვერი...

ტურნელი აჰა, ასეა! ერთი ამას დამიხედეთ!

შანდებიზი ჩემი ჯერია! (*წერილს ართმევს, კითხულობს*) „ვილაცამ ჩემს გვერდით თქვენი გვარი დაასახელა. ასე გავიგე თქვენი ვინაობა”

ტურნელი (*დაცინვით*) მშვენიერი ეშმაკობაა!

შანდებიზი „მას აქეთ მხოლოდ თქვრნზე ვოცნებობ”

ორივე (*გაოცებულნი, აზრზე ვერ მოდიან*) არა?!

შანდებიზი (*მიბნედილი თვალებით*) მხოლოდ ჩემზე ოცნებობს. (*მუჯღუგუნს ჰკრავს ტურნელს*) ეი, ტურნელ!

ტურნელი პირდაპირ ასე წერია?

შანდებიზი (*კმაყოფილი წერილს უჩვენებს*) დიახ, ძველო, ასე წერია!

ტურნელი (*ძლივს მოდის გონზე*) ღმერთო, რა უცნაურია! (*ფინაშს*) თქვენ რა აზრისა ხართ?

ფინაში (*არ იცის რა უპასუხოს*) ნებისმიერი ოცნება ბუნების ნაწილია.

ტურნელი უდავოდ (*დამცინავად*) და კუჭის მოქმედებაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

შანდებიზი ეი, შენ!

ტურნელი ვხუმრობ, ვხუმრობ!

შანდებიზი (*კითხვას აგრძელებს*) „მზადა ვარ სიგიჟე ჩავიდინო. თუ გინდათ ჩემთან ერთად თავი გაიგიჟოთ”... საწყალი გოგონა, რა ზუსტად გაარტყა! (*ფინაშს*) არა, ფინაშ?!

ფინაში რატომ?

შანდებიზი კარგი ერთი! მას მერე რაც მოგიყვივი...

ფინაში (*უღარდელად*) უფ! მერე რა! (*მაგიდას მარჯვენა მხრიდან მიუჯდება*).

შანდებიზი (*კითხვას განაგრძობს*) გელოდებით დღეს, ხუთ საათზე, სასტუმროში „მოტრფიალე ფიუნია”

ფინაში (*შეკრთება*) მოტრფიალე ფისუნიაო

შანდებიზი (*მარცხნიდან მაგიდას უახლოვდება*) დიახ! მონტრეტუ, სენაზე.

ფინაში ყოჩაღ! კიდეკ ერთი, ვინც ამ სასტუმროს იცნობს. ეს უკვე გამოცდილებაზე მიუთითებს.

შანდებიზი (ჯდება) რატომ? ეს სასტუმრო?...
ფინაში ოცნებაა, ჩემო კარგო. სწორედ იქ ვცელქობ ხოლმე.

შანდებიზი აბა უყურე! აი, რას ნიშნავს პატიოსნება! მე კი არც გამიგია!
ფინაში მართლა? დარწმუნებული ვარ, რომ ტურნელი

ტურნელი (მაგიდას მიუახლოვდება და №2 დგება) არა! მხოლოდ სახელი ვიცი, სხვა არაფერი!

შანდებიზი (მოულოდნელად) მეგობრებო!!

ორივე რა?

შანდებიზი უტირია!

ორივე კარგი ერთი!

შანდებიზი აბა! უტირია! შეხედეთ! (კითხულობს), „ამ წერილს რომ გწერთ, ცრემლად ვიღვრები, ჩემო ბატონო. გთხოვთ, გაისარჯოთ და სასოწარკვეთის ცრემლი ბედნიერების ნამად გადამიქციოთ” საწყალი, რა ჩვილი გული ჰქონია. სხვა რა მეთქმის. შეხედეთ, წერილი დანამულა. (წერილს სახეში აჩეჩებს ტორნელს, რომელიც დგას და მაგიდას ორივე ხელით ეყრდნობა).

ტურნელი (წერილს ყნოსავს) ბიჭებო!

ორივე რა მოხდა?

ტურნელი ბიჭებო! ნეტავ რა შეურია ასეთი მძაფრი? სუნმა დამახრჩო! (გადადის №1 სცენის შუა გულში).

ფინაში სუ-უ! ცრემლს თავისი საიდუმლო აქვს, ცრემლს თავის მისტერია გააჩნია! ო, ეს ნაერთი! პატივი ვცეთ ამ იღუმალებას.

შანდებიზი (წამოდგება) იცინეთ, იმასხრეთ! აი, ჩემო ტურნელ, მეც გავხდი ტრფობის საგანი. ჩვენ რომ პალე-რუაიალში მშვიდად ვისხედით და ვერაფერს ვამჩნევდით... ქალი თვალს არ გვაშორებდა, ქალი გვჭამდა, გვფერფლავდა, გვეფერებოდა...

ტურნელი აბა!

შანდებიზი (ტურნელს) შენ თუ შეამჩნიე, ვინმე თუ თვალს გვიჟუჟუნებდა.

ტურნელი ვერა. უფრო ზუსტად, ერთ მომენტში კი მომეჩვენა რაღაც, მაგრამ მაშინ ჩემზე უფრო ვიფიქრე.

შანდებიზი ე.ი. შეამჩნიე (მოულოდნელად) ო! ნამდვილი იდიოტი ვარ! რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა!

ტურნელი და ფინაში რა?

ფინაში წამოდგება.

შანდებიზი მე კი არა, შენ ჩაუვარდი იმ ქალს გულში, შენ!

ტურნელი მე? რატომ მე?

შანდებიზი რა თქმა უნდა, შენზე იფიქრა, რომ მე ვარ. ვილაცამ ჩემი სახელი წარმოთქვა და ჩვენს ლოჟას მიუთითა. ის ქალი მხოლოდ შენ გიყურებდა და სავსებით ბუნებრივია რომ...

ტურნელი (ფუქსავატურად) ასე გგონია?

შანდებიზი ეშმაკმა დალახვროს!

ტურნელი (იმპვე ტონით) თუმცა რატომაც არა!

შანდებიზი ერთი მე შემომხედე. ნუთუ შემიძლია ვინმეს ტრფობა შთავაგონო? მე?! შენ კი... შენთვის ბუნებრივია, ეს საქმე შენს ფუნქციებში შედის (ფინაშს) ეს მისი ფუნქციაა! (ტურნელს) ქალებს ადვილად ურევ გონებას! ლამაზი ხარ, წარმოსადეგი.

ტურნელი (მოხიბლულია, მაგრამ ზრდილობიანად უარზე დგას) კარგი, კარგი...

შანდებიზი დიახ, ასეა! გასაკვირიც არაფერია.

ფინაში თითქოს არ იცოდეს, აი

ტურნელი არა, ისე... პატარა შარმი მაქვს და სხვა არაფერი.

შანდებიზი შარმი მაქვსო! კეკლუცო, მორჩი! ვერაფრით ვერ გავტეხე! ბოლოს და ბოლოს იტყვი თუ არა! ქალებს თავი არ მოუკლავთ შენი გულისთვის? ჰო თუ არა?

ტურნელი (მორცხვად) ოჰ, მხოლოდ ერთმა!

შანდებიზი აი!

ტურნელი თანაც ახლა კარგად არის.

შანდებიზი ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

ტურნელი არა, მაინც ძალიან სადავოა. იმ ქალმა თავი მოიწამლა... სადილობისას ნიჟარების ჭამით.

შანდებიზი და ფინაში ნიჟარების ჭამით?

ტურნელი ახალი მიტოვებული მყავდა. ხმა გაავრცელა, რომ თითქოს დარდმა აიტანა. მაგრამ როცა სიკვდილი გინდა, ნიჟარებს არ მიეტანება კაცი. ასე სიკვდილი... ძალიან სათუოა.

შანდებიზი (კატეგორიულად) მოკლედ, აქ შეცდომას ვერ ვხედავ! წერილი ჩემს სახელზეა გამოგზავნილი, სინამდვილეში კი შენ გეკუთვნის.

ტურნელი (მერყეობს, ფინაშს მიმართავს) თქვენ როგორ ფიქრობთ?

ფინაში (ხელებს გაშლის, აზრის გამოთქმის ერიდება) მე?!

შანდებიზი ასეა, ასეა! და ვინაიდან შენი მისამართით არის გამოგზავნილი, შენ წახვალ პაემანზე.

ტურნელი (ვეითომ უარზეა) არა, არაფრით!

შანდებიზი მე დღეს სადამოს დაკავებული ვარ! ბანკეტი გვაქვს ამერიკის განყოფილების დირექტორთან. ამგვარად!

ტურნელი არა! მომისმინე!

შანდებიზი კარგი ერთი! კვდები ისე გინდა წასვლა.

ტურნელი ასე გგონია?

შანდებიზი შეხე შენს ცხვირს როგორ ავილაპლაპდა!

ტურნელი (თვალეებს დაბრეცს და ცხვირს აკვირდება) ლაპლაპებს! ჩემი ცხვირი! მორჩა, თანახმა ვარ! მივდივარ!

შანდებიზი (მხარზე ხელს წაკრავს და მეორე პლანზე გადააბრძანებს) შე მამლაყინწა!

ტურნელი მაწყობს კიდევ წასვლა. (ფინაშს) ერთი საკმაოდ საინტერესო ხლართები გავაბი, ვფიქრობდი სოლიდურ თავგადასავალში გადაიზრდება-თქო, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი შეჩერდა და გადაიღო.

შანდებიზი (ჩამოდის და მათ შორის იჩხირება) ხლართებიო? ვისთან, ვისთან?

ტურნელი (შანდებიზის ჩარევით შემცბარი) ოჰ, ერთ, ერთ... ო, ვერ გეტყვი ვისთან. (გადადის №1)

შანდებიზი (ტურნელს აჯავრებს) ვერ მეტყვის ვისთან, ვერ მეტყვის ვისთან! აჰ შე მამლაყინწავ!

ტურნელი შენი უცნობი ქალი ღროებით შეცვლის ჩემსას.

შანდებიზი (რევერენსში შეხტება) გითმობ და მოხარული ვარ.

ტურნელი (ივივე სიმსუბუქით) მეტად თავაზიანი ბრძანდებით. (გადასვლის გარეშე) აბა, წერილი მომეცი!

შანდებიზი რად გინდა? წერილი არც დაგჭირდება. მიხვალ ზემოხსენებულ სასტუმროში და იკითხავ ჩემს სახელზე დაჯავშნულ ოთახს. მეც გამიგე, ასეთ წერილებს არც ისე ხშირად მწერენ. ერთ დღეს ჩემი შვილთაშვილები, რალა თქმა უნდა, თუ მეყოლება... ჰოდა ჩემი შვილთაშვილები ქალაქებში ამ წერილს წააწყდებიან და იტყვიან: „ჩვენი ბაბუ ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო, ასე თუ თავგზას უბნევდა ქალებს“. მომავალში მაინც ჩავითვლები წარმოსადევ მამაკაცად! მოლით ფინაშ, მომისმინეთ!

ტურნელი (ფეხდაფეხ მიჰყვება) ჰო, მართლა! ხელმოწერები! (მაგიდას მოუვლის და დოსიეს აიღებს).

შანდებიზი ორი წუთიც და თქვენი ვარ. მოლით ფინაშ, იქით გავიდეთ, იქ არავინ შეგვაწუხებს.

ფინაში გისმენთ, ბატონო!

წინა პლანიდან მარჯვნივ გადადიან.

სცენა X

ტურნელი, შემდეგ რაიმონდა, მერე კამილი.

ტურნელი (*საქალაქელ ხელში უჭირავს, ბუზლუნით*) ორი წუთი, ორი წუთი! ამის შემდეგ სხვა რამ მელის. (პაუზის შემდეგ იღიმება კმაყოფილი) სასტუმრო „მოტოფიალე ფისუნია“, ნეტავ როგორია ქალი, რომელსაც ასე შეუყვარდი?

რაიმონდა (*შლაპა ახურავს*) ბატონი შანდებიზი აქ არ არის?

ტურნელი იქ არის, ექიმთან ერთად. თუ გნებავთ დავუძახებ.

რაიმონდა არა, არა. არ შეაწუხოთ! თუ ნახავთ, გადაეცით, რომ მე ქალბატონ დე ისტანგუასთან ერთად წავედი... თუ შემაგვიანდა არ იღელვოს. შეიძლება მეგობართან ერთად ვივანშმო.

ტურნელი კეთილი. ვფიქრობ ვერც ის დაბრუნდება სახლში ადრინადად.

რაიმონდა (*ცოცხლად მოუჭრის*) მართლა?! ნეტავ რატომ?

ტურნელი (*თამაშს ვერ მიუხვდება*) მითხრა, რომ სალამოს ამერიკის განყოფილების დირექტორთან აქვს ბანკეტი.

რაიმონდა გითხრათ, არა?! მაგრამ... ეს ტყუილია. ბანკეტი ხვალ არის. მოწვევაც ვნახე.

ტურნელი ესე იგი დღე აერია, ახლავე გავაფრთხილებ (მიემართება შანდებიზის გასაფრთხილებლად).

რაიმონდა (*ხელით აჩერებს*) არა, არაფერი არევია, თავს ნუ იწუხებთ. წინასწარი განზრახვით გითხრათ. ალიბი სჭირდებოდა. გვიან დაბრუნდება და იტყვის თარიღი შემეშალაო. მშვენივრად ვიცი, რასაც ვამბობ.

ტურნელი (*უტაქტობის გამოსწორებას ლამობს*) გარწმუნებთ, გულწრფელად მითხრა. მართლა არია თარიღი. აბა, ჩემთან ტყუილების მოგონება რაში ჭირდება.

რაიმონდა აჰა! ე.ი. ჩემთან ჭირდება ტყუილები?

ტურნელი არა, მომიტყევთ არა. თქვენ ეხლა მაბრალეობთ იმას, რაც არ მითქვამს.

რაიმონდა მშვენივრად ვხედავ თქვენს თამაშს. იცით, რომ ქმარი მლაღატობს, იცით, რომ ჩემგან ველარაფერს გამორჩებით და ამიტომაც ასე მოხდენილად, ასე კოხტად მატყუებთ და მარწმუნებთ, რომ ის უერთგულესი მეუღლეა.

ტურნელი მერწმუნეთ, გულახდილად გელაპარაკებით.

რაიმონდა ჰო! მით უარესი. ნახვამდის. (*გადის მარცხნიდან*).

ტურნელი (*ცდილობს შეაჩეროს*) რაიმონდა!

რაიმონდა ეშმაკსაც წაუღიხარ.

ტურნელი (შემცბარი, ინსტიტუტურად უკან იხვევს) ეშმაკმა წაიღოსო! მე... მე მითხრა ეშმაკმა... ოჰ!

კამილი (სიღრმიდან შემოდის, ხელში წყლით სავსე ჭიქა უჭირავს, მეორე ხელში ბორის მჟავა; ჭიქა დაბალი და უფეროა) ბატონო ტურნელ! იმედია, ეხლა უკეთეს ხასიათზე ბრძანდებით.

ტურნელი (გაცეცხლებული) ეშმაკმა წაგიღოსო! (ლაპარაკით ჩაუვლის და მარჯვნიდან გადის).

კამილი (ერთი მომენტი პირღია რჩება, შემდეგ) რა ვირია! (მაგიდას უახლოვდება ჭიქის დადებს, პაკეტს ხსნის) როგორ გამიჭირდა ბორის მჟავის მოძებნა. (პაკეტს წყალში ჩაცლის, ერთ ხელში ჭიქას დაიტოვებს, მეორეში თავის ვერცხლის ხიდს, საჩვენებელი და ცერა თითით ანაზღად უჭირავს ხელში, როგორც შესაწირი, მერე სიყვარულით) ასე! ჩალბი ჩემო თაღო, ჩალბი. (საჩვენებელსა და ცერა თითს ნელა გაუშვებს ხიდს, ჭიქაში ჩადებს და ჭიქას დიდი სიფრთხილით ბუხრის თავზე შემოდებს).

სცენა XI

კამილი, ეტიენი, შემდეგ ჰომენიდესი, შანდებიზი და ფინაში, ბოლოს ტურნელი.

ეტიენი (აცხადებს) სენიორ დონ ჰომენიდეს დე ისტანგუა.

ჰომენიდესი (შემოიჭრება სცენაზე) სალამი! სალუტო!

კამილი (ესალმება) ბატონო დე ისტანგუა!

ჰომენიდესი შანდებიზი, სენიორი არის აქ?

კამილი დიას, დიას, ჩემო კუზენი ეხლავე გაახლებათ. თავის ექიმთან არის.

ჰომენიდესი კარგი—ბუენო, ბუენო!

ამ დროს მარჯვენა კარი იღება და შემოდინან ფინაში და შანდებიზი.

კამილი აი, ისინიც!

ფინაში (მარჯვენისკენ გაემართება, თითქოს წასვლას აპირებსო) მოკლედ, სხვა არაფერი, მხოლოდ ის, რაც დაგინიშნეთ.

შანდებიზი შესანიშნავია, ასეც მოვიქცევი.

ჰომენიდესი ამიგოს, მე თქვენი არის!

შანდებიზი ჩემო ძვირფასო? როგორ გიკითხოთ?

ჰომენიდესი კარგი! დოტორე აქვს? კარგი—ბუნო. ჯანი მთელი? კარგი?
ფინაში როგორც ყოველთვის! თქვენც ასევე, იმედია! მომიტევეთ, მაგრამ
წასვლას ვაპირებდი.

ჰომენიდესი ოჰ! იო... მე გთხოვთ.

ფინაში მაშ, ნახვამდის.

ყველანი ნახვამდის.

ფინაში (გასვლისას, კარის ზღურბლზე შეჩერდება) მართლა, ვინც იქ
წავა! ბედნიერ მოტრფიალე ფისუნიას ვუსურვებ...

კამილი (მაგიდის თავთან დგას. პირუეტით შემოტრიალდება) ო-ო!
ილიოტი! (მარჯვნიდან სიღრმეში იპარება).

ფინაში ნახვამდის (გადის)

ჰომენიდესი (როგორც კი ფინაში გავა) მითხარით! არის ჩემი ცოლი აქ?
შანდებიზი რა საკვირველია, ჩემს ცოლთან ერთად.

ჰომენიდესი სი, სი, ასეც მეგონა. მითხრა შენს წინაშე ვივლიო!

შანდებიზი (არაფერი ესმის, ჰომენიდესს შეჰყურებს, გაკვირვებული)
წინაზე ვივლიო?

ჰომენიდესი ჰო, სი, სი! მოვიდა/?

შანდებიზი ა-ა! თქვენზე წინ მოვიდა?

ჰომენიდესი ასე არა თქვი?

შანდებიზი (მეორე პლანზე გადადის) დიახ, დიახ. თუ გნებავთ
გავაფრთხილებ.

ჰომენიდესი ნო, ნო! იო ვნახავ მერე! ეი, შანდებიზ დღეს დილით
თქვენს კომპანი ვმყოფობდი. იო დოტორემ ნახა!

შანდებიზი ვიცი ექიმმა მიაძბო.

ჰომენიდესი სი, და მითხრა—ურინე ქენი.

შანდებიზი რაო?

ჰომენიდესი ურინე, პისე, პისე, ფისი-ფისი!

შანდებიზი (მიხვდება) ჰო, ძალიან კარგი.

ჰომენიდესი რატომ - პორკე?

შანდებიზი რა პორკე?

ჰომენიდესი რატომ ფისი-ფისი?

შანდებიზი აუცილებელია. თუ დაზღვევა გინდათ, უნდა ვიცოდეთ, რა
მდგომარეობაში ბრძანდებით.

ჰომენიდესი მე რატომ? ვისი საქმე? ნო, ნო, მე არა ზღვევა; ჩემი ცოლი
ზღვევა.

შანდებიზი (შეცბა) რაო? უფ! რატომ არ გამაფრთხილეთ!

ჰომენიდესი იო, თქვენ გითხრა, - ერთი ზღვევა მინდა. არ იკითხე პორ
კე? ვისითვის?

შანდებიზი (მხიარულად) ამ პატარა გაუგებრობას იოლად გამოვასწორებთ... ძალიან იოლად. ქალბატონი ჰომენიდესი სადაზღვევო კამპანიაში უნდა მივიდეს და...

ჰომენიდესი და რა? ისევე გააკეთოს როგორც მე?

შანდებიზი რა საკვირველია.

ჰომენიდესი (ძალიან ცივად, ძალიან ამრეზილად, მაგრამ მკაფიოდ) ეს არ უნდა მე!

შანდებიზი კი მაგრამ...

ჰომენიდესი (ხმას ნელ-ნელა უწევს) ეს უნდა მე! ეს არ უნდა მე. (ბოლო ფრაზა-ეს არ უნდა მე, გამოითქმის დამარცვლით და თითქმის ყვირილით) ეს არ უნდა მე! (ლაპარაკით წინ ჩაუვლის შანდებიზს).

შანდებიზი კარგი, გეყოფათ. გონს მოუხმეთ! წესი ასეთია.

ჰომენიდესი (ფეხის წვერზე შემობრუნდება და შანდებიზის პირდაპირ ღვება) წესი... წესი მე გავტეხე (ხელით აჩვენებს თითქოს რაღაცას ორად პობს) მე უკვე ფისი-ფისი ცოლის მაგიერ!

შანდებიზი (ენერგიულად) არა! ეს გამორიცხულია.

ჰომენიდესი (გადადის მეორე პლანზე) ჰო-ო! ბუნო. ჩემს ცოლს არ უნდა ზღვევა. ე ბასტა!

შანდებიზი კარგი ერთი! ნუთუ ასეთი ეჭვიანი ბრძანდებით?

ჰომენიდესი ეჩვიანი არ ვარ, მაგრამ იო მიმაჩნია, რომ ეს ღირსებას—ფაფუ!

შანდებიზი ცრუ რწმენაა და სხვა არაფერი.

ჰომენიდესი ეჩვიანი?! მე?! ო-ნო-არა! არა!

შანდებიზი (ზედმიწვევით თავაზიანად და კეთილი ხმით) ქალბატონ დე ისტანგუას ერთგულებაში დარწმუნებული ბრძანდებით. არც არის გასაკვირი.

ჰომენიდესი საქმე სხვაა! მე ვიცი, რომ ის იცის, რომ მე საშინელი ვიქმნები! ვერ გაბედავს.

შანდებიზი უ-უფ!

ჰომენიდესი (ჯიბიდან რეკოლვერს იღებს და ლულას შანდებიზისკენ გაიშვერს) ხედავთ, ამ თოფს, თოფო!

შანდებიზი (ინსტიქტურად ხელს აიფარებს და ჰომენიდესს, როგორც ღერძს ისე შემოუბრუნებს რამოდენიმეჯერ. ამგვარად, ლულას თავს აარიდებს და №2 გადადის) ეი! მანდ! გასწი იქით! ეი! ასე თამაში როგორ შეიძლება!

ჰომენიდესი (მხრებს იჩეჩავს) საშიში რა არის. ეს არის ჩოქი, არა, ჩოხი, ჰო, ჯოხი!

შანდებიზი (ურწმუნოდ) აბა, სწორედ!

ჰომენიდესი (კბილების ღრეჯით) ის თუ ვინმე კაცთან დავიჭირე! კაცი! აჰა-ჰა! კაცი ზურგში მიიღებს ... ზურგში.

შანდებიზი (დაბნეული) როგორ? ისევ მის ზურგში.

ჰომენიდესი (უხეშად თითქმის ყვირის) არა-ნო- არა! ქალის ზურგში.

შანდებიზი ჰა! აჰ!! ხო, ხო მივხვდი! თქვენ უშვებთ, რომ ისინი... (ხელებით მიუთითებს ორი ადამიანის ურთიერთმიახლოებას).

ჰომენიდესი რაო? კე? იო სუპოზ – მე ვუშვებ რაო? ვუშვებ?

შანდებიზი (ცდილობს არ გააგულისოს) არა, არაფერი, არაფერი.

ჰომენიდესი (უფრო მშვიდად) ცოლმა იცის. ქორწილის ღამეს გავაფრთხილე.

შანდებიზი (აპარტე) მშვენიერი განცხადებაა.

ჰომენიდესი (რეკოლვერს ჯიბეში იღებს და მარცხნივ გაიწევა) ახლოსაც ვერ გაეკარება.

ტურნელი (მარჯვენა კარიდან შემოდის) იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო.

შანდებიზი მოიცა! გაჩერდი!

ტურნელი (№3) სხვაც ბევრი მაქვს საქმე.

შანდებიზი (№3) ახლავე! ქაღალდები მოამზადე, ორ წამში შენთან ვარ.

ტურნელი (იუმორით) იფ! (ბრუნდება ოთახში, კარსაც მიიხურავს).

ჰომენიდესი რა არის ეს კაცი?

შანდებიზი ბატონი ტურნელი.

ჰომენიდესი ტურნელი?

ჰომენიდესი ჩემი მეგობარი და ჩვენი სადაზღვევო კომპანიის აგენტი.

ჰომენიდესი ა-ა!

შანდებიზი (ტურნელი ისევ გვერდით ეგულება და მის წარდგენას ცდილობს) მომხიბლავი ყმაწვილია! ბ-ნო ტურნელ! შეხე, წასულა. ერთადერთი ნაკლი აქვს ქალიშვილივით ქარაფშუტაა.

ჰომენიდესი (გულგრილად დაცინვით) ფიფ!

შანდებიზი წასვლა ეჩქარებოდა. ერთი ქალი ელოდება.

ჰომენიდესი (სიცილით) აჰა!

შანდებიზი (თავმომწონედ) კი ვამბობ « ერთი ქალი ელოდება », მაგრამ იქნებ სწორედ მე... (გულის ჯიბიდან ნახევრად ამოაცურებს წერილს, რომელსაც ლაპარაკისას ნაზად ეფერება) მე მომწერა სიყვარულით აღუღებული წერილი.

ჰომენიდესი (დაინტერესდა) მართლა? (ცნობისმოყვარეობით) ვინ არის ქალი?

შანდებიზი არ ვიცი, ვინაობას არ ამხელს. (ამოიღებს წერილს ჯიბიდან).

ჰომენიდესი (დაჯერებით) უცნობი, ალბათ.

შანდებიზი ასე ვფიქრობ. საზოგადოებაში გასული ქალი უნდა იყოს...
გათხოვილი.

ჰომენიდესი რით ხედავთ?

შანდებიზი (ვერ უგებს) უკაცრავად?

ჰომენიდესი (ხლამალლა იმეორებს) რით ხედავთ?

შანდებიზი (მექანიკურად იმეორებს) რით ვხედავ? ხო... სტილით... ტონით.
იმნაირი ქალები ნაკლებ სენტიმენტალურები და უფრო კონკრეტულები
არიან. აი, ნახეთ. (წერილს გაშლი და ჰომენიდესსაწოდებს)

ჰომენიდესი (სიცილით ართმევს წერილს) ვიღაცას რქები ამოსდის?

შანდებიზი თქვენ იცინით?

ჰომენიდესი ვერთობი.

შანდებიზი (ღიმილით) ბოროტო, ბოროტო.

ჰომენიდესი (წერილს თვალს გადაავლებს, შეჰყვირებს) ა-ა-ა!

შანდებიზი (დაბნეული) რა მოხდა?

ჰომენიდესი (დიდი ნახტომით გაიჭრება სცენის მარცხენა მხარეს,
გაცეცხლებული) კარამბა. Hija de la pena que te panio.

შანდებიზი რა დაგემართათ?

ჰომენიდესი წერა, ჩემი ცოლის ხელი. ნო, არა ჩემი ცოლის ხელწერა.

შანდებიზი (შეკრთება) რას ამბობთ?!

ჰომენიდესი (მიეჭრება და მაგიდაზე გააკრავს) უბედურო, კანალია,
გაიძვერა.

შანდებიზი (ცდილობს თავი გაითავისუფლოს) ეი, ეი, ფრთხილად!

ჰომენიდესი (ცალ ხელს ყელზე უჭერს, მეორე ხელს შარვლის უკანა
ჯიბეში აფათურებს რევოლვერის ამოსაღებად). ცოფი! ცოფი!

შანდებიზი (ინსტიქტურად იატაკზე იხედება) ძაღლი? სად არის აქ
ძაღლი?

ჰომენიდესი (რევოლვერს იღებს) აი, აი ჩემი ცოფი, არა თოფი!

შანდებიზი (მისკენ მომართულ რევოლვერს ხედავს) მოიცა, ეი, გეყოფა.
კარგი.

ჰომენიდესი (რევოლვერს მოიმარჯვებს, შანდებიზი მაგიდაზე ჰყავს
გართხმული მუცელზე მუხლ მიბჯენილი) ჩემი სინიორამ შენ დაგწერა!

შანდებიზი (ცდილობს თავი გაითავისუფლოს და მაგიდის მარჯვენა
მხარეს მიცოცავს) არა! არა! თქვენი ცოლი ნამდვილად არ არის. ღღეს
ყველა ქალს ერთნაირი ხელწერა აქვს.

ჰომენიდესი (ოდნავ მარცხნივ გადაინაცვლებს) კარგი ერთი! ბასტა!
ვიცნობ, ვიცი. სკრიტორე-წერა.

შანდებიზი და მერე? მე იქ არ მივდივარ, ტურნელი მიდის.

ჰომენიდესი ტურნელი? რომელი? ახლა აქ იყო, ის? ბუნო, კარგი. მე იმას მოკლავს!

შანდებიზი (მაგილას მარცხენა მხრიდან სწრაფად მოუვლის და სიღრმეში კარისკეს გაეჭანება) რაო? ჯერ არა, ადრეა. ჯერ ხომ არაფერი მომხდარა. წავალ ტურნელს გავაფრთხილებთ და ყველაფერი მოწესრიგდება.

ჰომენიდესი (პარალელურად, მაგრამ იგივე მიმართულებით და უფრო სწრაფად მიეჭრება შანდებიზს და გზას გადაუღობავს) არა! გიკრძალავ! თავი დაანებე, დაამთავროს საქმე. საბუთი ხელში მაქვს და მოკლავს, მერე მოკლავს!

შანდებიზი (დამშვიდებას ცდილობს) დაწნბარდი, ისტანგუა!

ამ ორომტრიალში ლუსიენასა და რაიმონდას ხმა და კისკისი მოისმის.

ჰომენიდესი (შანდებიზს, რეკოლვერის ქნევით, წინა მარჯვენა მხარისკენ გარეკავს) ჩემი ცოლის ხმა მესმის. შედი იქ!

შანდებიზი ისტანგუა, ძმაო!

ჰომენიდესი (მრისხანედ) ძმა ვარ შენი, მაგრამ მოგკლავ ძაღლის, არა ძაღლივით! (შანდებიზი ცდილობდ სიტყვა ჩაურთოს) წადი! წადი! ვსვრი, ვსრლოლილობ! ვისვრი!

შანდებიზი (აღარ ამეორებინებს და გაუჩინარდება კარში, რომელთანაც ისტანგუამ მიიყვანა) არა! არა!

ჰომენიდესი კარს დახურავს, გასაღებს ხმაურით გადაატრიალებს, შუბლზე ოფლს შეიშრობს, ქოშინებს, ხვნეშის.

სცენა XII

ჰომენიდესი, ლუსიენა, რაიმონდა, მერე ტურნელი.

ლუსიენა (შემოდის, უკან რაიმონდა მოსდევს) ო! თქვენ აქ ყოფილხართ, ჩემო კარგო.

ჰომენიდესი (ცდილობს მშვიდათ ილიპარაკოს) დიას, აქ ვიყავი, აქ ვიყავი.

რაიმონდა (ლუსიენას გაასწრებს ჰომენიდესს მიუახლოვდება)
გამარჯობათ! ბატონო ისტანგუა!

ჰომენიდესი განარჯობათ, ქალბატონო. ხომ კარგად ბრძანდებით?
მეუღლე?

რაიმონდა მადლობთ, კარგად.

ჰომენიდესი შვილები?

რაიმონდა კი მაგრამ ... მე შვილები არა მყავს.

ჰომენიდესი ჰო-ო! სამწუხაროა! ბუენო, სხვა დროს გკითხავთ ბავშვებს.

რაიმონდა (სიცილით) რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

ლუსიენა (ყურადღებით აკვირდებოდა) რა მოგივიდათ?

ჰომენიდესი (ცდილობს გაბრაზება დამალოს) მით? არაფერი! რატომ?
არაფერი.

ლუსიენა (ყოყმანით) რაიმონდას თან უნდა გავყვე. ხომ არაფერში
გჭირდებით?

ჰომენიდესი (იგივე ტონით) არა, არა, წადით, გთხოვთ, წადით!

ლუსიენა მაშ, დროებით.

რაიმონდა ნახვამდის, ბატონო.

ჰომენიდესი (ისევ აღუღებულა) ნახვამდის ქალბატონო, ნახვამდის.

ლუსიენა (უნდა გულდამშვიდებული იყოს, გადაულაპარაკებს) Qué tienes
querido mio? Qué te pasa? ძვირფასო, რა მოგივიდა? რა მოხდა ისეთი,
რატომ მექცევი ასე?

ჰომენიდესი (უფრო აღელვებული, თუმცა ცდილობს თავი შეიკავოს) No
tengo nada (გარწმუნებ არაფერი).

ლუსიენა ო, იესო! Qué carácter insoportable! რა აუტანელი ხასიათი
გაქვს.

ქალები გადიან.

ჰომენიდესი (როგორც კი ქალები გავლენ, ფეთქდება) ო, თვალთმაქციო!
La garsa. გარყვნილი, la garsa! (ასე გინებით სცენის მარჯვენა მხარეს
გადადის, კარზე კაკუნი ისმის. მიეჭრება კარს) ბასტა! გეყოფა, მით, შენ
მოგკლავ.

*ხმაური წყდება. ნერვიულად ყვან ბრუნდება, სიღრმეში მდებარე
კარს რომ მიუახლოვდება, კარი იღება და სცენაზე ტურნელი შემოდის.*

ტურნელი (ჰომენიდესს) შანდებიზი აქ ხომ არ არის?

ჰომენიდესი (გვერდულად, კბილების ჭრილობით) აჰა, მეორეც მობრძანდა.
ეს... ტურნელი! (ხმამალა ღიმილით, თანაც იგრძნობა, რომ ღიმილი კი
არა ტურნელის კბილებით დაგლეჯა უნდა). არა, ბატონო, აქ არა არის.

ტურნელი (*ჰომენიდესის განწყობას ვერ ამჩნევს*) კეთილი. თუ ნახავთ, პატივი დამდეთ და გადაეცით, რომ საბუთები საწერ მაგიდაზე დავტოვე, მხოლოდ გვარების ამოწერა იქნება საჭირო.

ჰომენიდესი (*ტურნელს პირისპირ*) დიახ, ბატონო.

ტურნელი მე... აღარ შემიძლია ამდენი ლოდინი.

ჰომენიდესი (*გარეგნილად თავაზიანი, მაგრამ ძალიან ანერგულეებული და აშლილი*) ჰო, ჰო. მიბრძანდით, მიბრძანდით!

ტურნელი (*გაოცებული*) როგორ?

ჰომენიდესი (*ძთლად აიშლება*) წადით, თორემ მით... მით თქვენ (*დავრეხილი ხელებით მზადაა ტურნელს ყელში სწვდეს და დაახრჩოს*).

ტურნელი რა-მე თქვენ, რა?

ჰომენიდესი (*იმ წამს თავს შეიკავებს*) არაფერი, ბატონო, არაფერი. Nada, მიბრძანდით! წადით!

ტურნელი (*წასვლას აპირებს*) მეტად უცნაური ტიპია. (*ემშვიდობება*) ბატონო! (*ტურნელი გადის ცენტრიდან*.)

ჰომენიდესი ო-ო-ო! მით იხრჩობა, იხრჩობა (*შეამჩნევს ჭიქას, რომელშიც კაბილის პროტეზია ჩადებული, მიიბრუნს*) აჰა! (*ერთი ყლუპით დაღევს*) ბუენო, კარგია – მიშველა! (*უცებ გემოს გაუგებს*) ფუ, ფუ! რა ჩაასხეს ნეტავ ასე მარილიანი, ფუ, ფუ! (*ჭიქას ზიზლით მაგიდაზე დადებს და სცენის მარჯვენა მხარეს გადაინაცვლებს*).

სცენა XIII

ჰომენიდესი, მერე შანდებიზი, მერე ტურნელი.

კამილი (*სიღრმიდან გამოჩნდება წინ წამოვა და მაგიდის მარჯვენა მხარეს შეჩერდება*) ბ-ნი დე ისტანგუა! მარტო ბრძანდებით.

ჰომენიდესი (*მას მიეჭრება*) თქვენ? (*უცებ დამშვიდდება*) კარგად მოხვედით! მით მივედივარ.

კამილი ჰო-ო!

ჰომენიდესი როცა მით წავა (*წინა პლანის მარჯვენა კარს მიუთითებს*) ეს კარები! მიდი!.. უფლებას გაძლევ!.. გაუღე შენს პატრონს!.. მიდი!

(ლაპარაკის დროს ქურთუკის საყელოზე წაავლებს ხელს და მიათრევს №2).

კამილი (ბუჯღუგუნებით გაოგნებული) როგორ, ჩემს პატრონს?

ჰომენიდესი (რისხვით, გადის შუა გასასვლელიდან დიდი ნაბიჯებით) ოჰ, თვალთმაქცი, კომო პოდრია, წარმომედგინა, რომ ჩემი ცოლი საყვარელს გაიჩენდა! კემი მუხერ ტუვიეზე უნ ამანტე! ო, დიო! (გადის როგორც შეშლილი).

კამილი (როგორც კი ისტანგუა გავა, ცოტა დაბნეული მავრამ დაცივნით, გამოაჯავრებს) „კე მი მუხე ტუვიეზე უნ ამონტე!“ (იციინის) მისი ნათქვამის ვერცერთ სიტყვას ვერ გაიგებ! (მიდის წინა პლანზე მარჯვენა კართან შეჩერდება) შენს პატრონსო? რომელ პატრონს? (კარს აღებს, გოცებული უკან დაიხვეს, რადგან კარში თმა აწეწელი შანდებიზი გამოჩნდება).

შანდებიზი (ოთახში გამოსვლას ვერ ბედავს, შეშანრევი ხმით) წავიდა? **კამილი** ვინ?

შანდებიზი (კარს არ სცილდება) **ჰომენიდესი**

კამილი წავიდა.

შანდებიზი (ისევ შეშინებული) ქალბატონი **ჰომენიდესი**?

კამილი რეიმონდასთან ერთად გავიდა.

შანდებიზი კიდევ კარგი... და... და ტურნელი?

კამილი ახლახან გავიდა...

შანდებიზი (როგორც იქნა ოთახში შედის) ტურნელიც წავიდა! მარცხი, ხიფათი! წუთსაც ვერ დავკარგავთ! ვინ გავაგზავნო იქ, გასაფრთხილებლად? ვინ? (გაახსენდება) ეტიენი!

კამილი სად, იქ?

შანდებიზი იქ რა! იქ... რა ჰქვია იმას, ჯანდაბა... ერთი სიტყვით იქ, რა! (ქურთუკის საყელოზე ორივე ხელს წაავლებს) ვულკანზე ვართ! საშინელი დრამა დატრიალდება! შეიძლება ორმაგი მკვლელობაც! ტრაგედია!

კამილი (შეკრთება) რას ამბობ?

შანდებიზი მოიცა! ბანკეტამდე მივირბენ ტურნელთან! დამაცადე! ჩემი შლაპა სად არის? ჩემი შლაპა? (გადადის №2)

კამილი ღმერთო, რა ხდება?

შანდებიზი (სხაპასხუპით) ასახსნელი დრო არა მაქვს. თუ ჩემი აქ არყოფნისას, ტურნელი შემთხვევით დაბრუნდა, უთხარი, რომ პაემანზე არ წავიდეს... უთხარი, რომ მის ყოფნა, არ ყოფნის ამბავია, უთხარი, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

კამილი (შეკრთება) მისი სიცოცხლე?

შანდებიზი ხომ კარგად გაიგე! მისი სიცოცხლე საფრთხეშია!
კამილი (შეშინებული) ჰო, ჰო, მისი სიცოცხლე...
შანდებიზი რა ტრაგედიაა, ღმერთო ჩემო, რა ტრაგედიაა., (გადის პირდაპირ წინა პლანიდან).
კამილი (მარცხნივ გადაინაცვლებს) აქ, ჰაერში ნეტა რა დატრიალდა? ამ ხალხს ნეტავ, რა მოუვიდა?
ტურნელი (შუა კარიდან, სცენის სიღრმეში მოულოდნელად გამოჩნდება) მგონი, აქ დავტოვე ჩემი პორტფელი.
კამილი ტურნელ!
ტურნელი (პორტფელს მაგიდიდან იღებს) აი, ისიც!
კამილი (მისკენ გადახტება. ჩქარობს და ამიტომ უფრო გაუგებრად ლაპარაკობს) ღვთის გულისათვის, არ წახვიდეთ თქვენ რომ იცით, იქ! თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია.
ტურნელი რაო?
კამილი (ეჭაჩება, ეპოტინება და ჯიუტად იძიორებს) პაემანზე, პაემანზე არ წახვიდეთ! სიცოცხლე საფრთხეშია.
ტურნელი (თავიდან მოსაშორებლად კამილს ხელს კრავს და დაატრიალებს) ოხ, თავი დამანებე! არ მესმის, რას ამბობთ!..
კამილი (წონასწორობას შეინარჩუნებს და უკან დაედევნება) ტურნელ!.. ტურნელ!..
ტურნელი (დაუსხლტება) ჯანდაბა! ნახვამდის (სწრაფად გადის იგივე კარით, საიდანაც შემოვიდა).
კამილი (მიიბრუნს ბუნართან სადაც ცოტა ხნის წინ ჭიქა დატოვა. ვერ პოულობს) – ღმერთო ჩემო! ჩემი ხიდი! სად წაიღეს ჩემი ხიდი? (ჭიქას მაგიდაზე შეამჩნევს) აჰა! აგერ ყოფილა! (ხიდს სასწრაფოდ პირში ჩაიდებს და გარბის კარისკენ, საიდანაც ტურნელი გავიდა) ტურნელ! ტურნელ!
შანდებიზი (შლაპით, ყვირილზე შემორბის) ვის მისდევ ასე გამეტებით?
კამილი (ერთი ფეხით ვესტიბიულშია, მეორე ფეხით სალონში რცება, სწრაფად, მკაფიოდ და გამართულად) ტურნელს მივდექ!.. მსგავსი უზრდელი არსად შემხვედრია. მე მას ყველაფერი ვუთხარი, რაც შენ დამიბარე! არც მომისმინა! (გავარდა)
შანდებიზი (გაოცებული, სკამზე დაეშვება) ეეე! ალაპარაკდა!
 ფარდა ნელა ეშვება.
კამილი (მირბის და ყვირილს აგრძელებს) ტურნელ!... ტურნელ!... ეი! ტურნელ!...

ფარდა

II მოქმედება

მონტრეტოში სასტუმრო „მოტრფიალე ფისუნას“ მეორე სართული. სათაურის თანახმად ამ სასტუმროში ყველაფერი გალანტური, გარკვეული განწყობის შექმნელი და ბჟღერიალ-პრიალაა.

სცენა ორად არის გაყოფილი, მარცხნივ, სცენის ერთ მეხუთედზე დიდი ჰოლი მოჩანს, რომელშიც სცენის სიღრმიდან ამომავალი კიბით შეიძლება შესვლა. კიბე ზედა სართულებისკენ მიდის. წინა პლანზე, მარცხნივ, კედელზე ბრჯენია მოთავსებული. ბრჯენზე ტანსაცმლის საკიდია, რომელზეც მსახურის ლივრეა და მონადირის ქუდია ჩამოკიდებული. მეორე პლანზე რაგბის ოთახში მიმავალი კარია. მესამე პლანზე, დერეფანში, სხვა ოთახების კარები იგულისხმება, ერთ-ერთი ოთახის კარს მაყურებელიც ხედავს. სწორედ ამ კართან, კედელზე, ელექტროზარებია ჩამწკრივებული. ჰოლის მარჯვენა მხარეს, ორი მომიჯნავე ოთახი ტიხარით არის გადაღობილი. ერთი ოთახი სცენის წინ, მაყურებლის დასანახად არის მოწყობილი. ტიხარის ზედა ნაწილი გედის ყელის ფორმით გვირგვინდება. მეორე პლანზე მდებარე კარი წინა ოთახიდან ჰოლში გადის. მესამე პლანის კარი მომიჯნავე ოთახში შედის, თვითონ ოთახს მაყურებელი ვერ ხედავს. ჰოლში გედისყელისებრ ტიხარის ქვეშ სკამია მოთავსებული.

მარჯვენა ოთახში სიღრმეში ბალდახინიანი საწოლი მოჩანს. საწოლი ერთი საფეხურით მაღლა დგას. საფეხური ხალიჩითაა დაფარული. საწოლის მარჯვნივ გადაკვეთაზე ბალში გამავალი ფანჯარა მოჩანს. წინა პლანზე, მარჯვნივ, სააბაზანო ოთახში შემავალი კარია. მარჯვნივ, გედის ყელის გასწვრივ თეთრად შეღებილი პატარა ღამის მაგიდა დგას. სიღრმეში კი, საწოლის მარცხნივ, სკამია. მეორე სკამი ფანჯარასა და სააბაზანოში შემავალ კარს შორისაა მოთავსებული. საწოლის ორივე მხარეს კედლის პანოებში, თვალის სიმაღლეზე ელექტრო ზარია ჩამონტაჟებული. ზარის ღილაკები შემდეგნაირად უნდა იყოს მოწყობილი; თვითონ ღილაკი მოზრდილია და შავად უნდა შეიღებოს, ღილაკის ირგვლივ წრეხაზი კი თეთრი ლაკით უნდა ავალაპლაპოთ. ეს ყველაფერი თხელ, ოთხკუთხედ და ასევე თეთრი ლაკით შეღებილ თხელ ფირფირაზე უნდა მოთავსდეს, რომლის სიგანე 14სმ-ია, ხოლო სივრძე 15. ფირფიტის გარე მხარეს დახაზეთ ბაღე,

ხაზები ისმით დააშორეთ ერთმანეთს, თვით ღილაკსაც შემოავლეთ შავი ხაზი. ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ ღილაკი შორიდან სამიზნეს დაემსგავსოს. ღილაკს, რომ თითს დავაჭერთ, კულისებში მდებარე ხის ჟღარუნები ამუშავდება. ამით მემანქანეებს ვაბრთხილებთ, რომ საწოლის ჯარა უნდა აამოძრაონ. ავხსნათ როგორ უნდა მოძრაობდეს საწოლის ჯარა; ამაღლებაზე, სადაც საწოლი დგას, მოთავსებულია ბუდეში ჩასმული ორი დისკო; პირველი, ქვედა, ჰორიზონტალურად არის სცენაზე ფიქსირებული, რათა სცენის დახრა გაათანაბროს. მეორე მობილურია, ზემოდან ედგმება პირველს და ტრიალებს ქეჩისა და რეზინის გორგოლაჭებზე. კედლის განი ამ დისკოს დიამეტრია. ამგვარად, როცა მემანქანეები დოლზე მიბმული ბაწრით ატრიალებენ ამ დისკოს, პანო და საწოლს მათთან ერთად ტრიალდება და მეზობელი ოთახის პანოსა და საწოლს ენაცვლებიან. ორივე პანო (კედელი) და საწოლი აბსოლუტურად იდენტური უნდა იყოს. საწოლების თავი, როცა ისინი სცენაზეა, ფანჯრის მხარეს უნდა იყოს მოთავსებული, ხოლო ბოლო, შესაბამისად, – კარებისკენ. იმისათვის, რომ პანოსა და მის რაფას შორის მანძილი არ გამოჩნდეს, ჩავდეთ რეზინის შუასადებები, რომლებიც ამავდროულად გაჩერებისას შეჯახებას შეარბილებენ. დისკო მიდი-მოდის, მისი მოძრაობა ორმხრივია. სრული წრე ამ მოძრაობაში არ იქმნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი საწოლი ფარდის ახდისას სცენაზეა, მეორე, რომელშიც ბატისტენი წევს, ყოველთვის მარცხნიდან მარჯვნივ შემოსრიალდება და პირიქით, მარჯვნიდან მარცხნივ გასრიალდება.

სცენა I

ფერაიონი, ჟენი, შემდეგ ოლიმპია, ბატისტენი და რაგბი.

ფარდის ახდის მომენტში, ჟენი მარჯვენა ოთახის დალაგებას ამთავრებს.

ფერაიონი (დერეფანში მარცხენა მხრიდან ამოდის) ჟენი! ჟენი! (მიდის მარჯვენა ოთახის კართან) ჟენი!

ჟენი (აუღელვებლად, მტვრის წმენდას აგრძელებს) ბატონო!

ფერაიონი (კარის ზღურბლზე) რას აკეთებთ?

ჟენი ოთახის დალაგებას ვამთავრებ, ბატონო!

ფერაიონი (შედის ოთახში) ესაა ოთახის დალაგება?

ჟენი კი მაგრამ, ბატონო, . .

ფერაიონი ამას ჰქვია ოთახის დალაგება? საწოლს დამიხედე! ამას ჰქვია გასწორებული ლოგინი? ღმერთო, გეგონება, ვიღაცის ნაწოლია.

ჟენი (ორ ცეცხლს შუა) ვიღაცის კი არა, ქალის!

ფერაიონი რაო, რაო! ხუმრობს კიდევ, ასე არ იქნება. იქნებ ისიც მითხრა, რომ ჩემი სახლი რაღაც საეჭვო სასტუმროა

ჟენი (ირონიულად) რას ბრძანებთ!

ფერაიონი არა, მაღამ გაიგეთ ეს... ეს ფუფუნების ბრწყინვალე სახლია! ეს წესიერი სასტუმროა! სადაც... სადაც მხოლოდ ცოლ-ქმარი ჩერდება.

ჟენი კი, ოღონდ ერთად არა!

ფერაიონი თქვენ ვინ გეკითხება? ერთად არ ჩერდებიან იმიტომ, რომ ცალ-ცალკე მოგზაურობენ. ქალბატონი ჩემს კლიენტურაზე მსჯელობს! ესლა მაკლდა! აბა, გაასწორე ლოგინი და თანაც სწრაფად. (ფერაიონი ზეწრებს აშლის და დერეფანში გადის)

ჟენი (თავისთვის ჩაილაპარაკებს) არა, ეს მე არ გამოვა, ჟენი.

ოლიმპია (სცენის სიღრმიდან კიბეზე ამოდის, ხელში თეთრეულის შეკვრა უჭირავს. ერთ ღროს ძალიან ლამაზი ქალის იერი აქვს. სიმსუქნე შეპარვია, მაგრამ კეკლუცი მიხრა-მოხრა აქვს. 57 წლისა უნდა იყოს, მაგრამ უფრო ახალგაზრდა იერი აქვს. ზედმეტად მოჭერილი კორსეტით, ძალიან დახატული და უამრავი სამკაულით.) ვის ეჩხუბები, ფერაიონ? (თეთრეულს ბრჯენზე დადებს, მარცხნივ).

ფერაიონი ვის და, იმ გოგოს. სულ მუჯღუგუნით, სულ ძალით აკეთებს საქმეს. ო, როგორ ვნანობ, ჩემს ბატალიონში რომ არ ყოფილა, სულ ჩემს ჭკუაზე ვატარებდი.

ოლიმპია (მკაცრად) ფერაიონ!

ფერაიონი დიას, ვატარებდი... მარშით... წინ... თუ გგონია, რომ რაღაც ფუქსავატობა მიღევს თავში... ო, არა! იმისთანებს ვხედავ, რომ გაფიქრებაც კი გულს მირევს.

ოლიმპია იმედი მაქვს!

ფერაიონი (შეამჩნევს ბატისტენს, რომელიც ქვემოდან ამოდის გალახული ძაღლივით. მიეჭრება, საყელოში ხელს წაავლებს და სცენისკენ წამოათრევს) – აჰა, აი შენც მობრძანდი! საიდან მოდიხარ? ალბათ, სამიკიტნოდან!

ბატისტენი მე-ე?!

ფერაიონი უკვე ხუთი საათია! ლოგინში რატომ არა ხარ?... როგორც საჭიროა? ბოლოს და ბოლოს აპირებ თუ არა მუშაობას?

ბატისტენი (მორცხვად) დიას.

ფერაიონი ჰოდა, წადი ჩაწეი! (ბატისტენი წამოდგება, ორ ნაბიჯს გაივლის და ფერაიონის რეპლიკაზე შეჩერდება) დაუჯერებელია! არაფრის მაქნისი, უქნარა, რომელსაც ბედმა გაუღიმა და რეკმატიზმი დამართა. ნამდვილი რეკმატიზმი. ამისათვის არ ვუხდი ჯამაგირს... მაშ, რატომ ვუხდი? რისთვის? თქვენ გეკითხებით, თქვენ! იმიტომ, რომ კეთილი ვარ და საკუთარი ბიძა გაჭირვებაში არ მივატოვე. ამ ვაჟბატონს კი ერთი აზრი უტრიალებს: თავის მოვალეობას გაექცეს და სამიკიტნოებში ირბინოს.

ბატისტენი მისმინე...

ფერაიონი ხმა გაკმინდე. ო, ეს სამიკიტნოები... ყველას, ყველას მივკეტავდი, საზოგადოების ზნეობის დასაცავად. შენს არ ყოფნაში მოხუცი ავადმყოფი ბატონი რომ დაგვჭირვებოდა? ვინ იქნებოდა შენს მაგივრად მოხუცი ავადმყოფი? ვინ შეგცვლიდა? იქნებ მე? რა სანახავი ვიქნებოდი ბოროტმოქმედების ადგილზე!

ბატისტენი მე ვიცოდი, რომ...

ფერაიონი კარგი! მოკეტე! მოდი შენს ოთახში და ცოცხლად ლოგინში!... აბა რას გავს ახლა ეს? (ბატისტენი მორჩილად თავდახრილი შედის მარჯვენა მხარე ოთახში) ესეც ოთახია რა! ესეც ნათესავია რა! ყველა მისი მოვალეა, თვითონ კი არავის არაფერი...

რაგბი (მარცხენა ოთახის კარში გამოჩნდება და ფერაიონს ზურგში მიაძახებს) Nobody called.

ფერაიონი (№3. შეერთება, სწრაფად ბრუნდება) რაო?

რაგბი (№2. გულმოსული) Nobody called, I said! (ფერაიონი და ოლიმპია ერთმანეთს დაბნეულები შეაჩერდებიან. რაგბი მიხვდება, რომ ვერ გაუგებს და უფრო მშვიდად, ამჯერად ოლიმპიას მიმართავს) If you please, anybody called for me?

ოლიმპია (№1) არა, ბატონო, არ ბოუდი, არ ბოუდი.

რაგბი (იმედგაცრუებული) Oh, Thanks (გაცოფებული ოთახში შედის. ფერაიონი და ოლიმპია ერთმანეთს გაშტერებული შეჭყურებენ)

ფერაიონი (პაუზის შემდეგ) რაო, რა გითხრა?

ოლიმპია მგონი, მკითხა ხომ არავინ მოსულაო.

ფერაიონი რა უცნაური მანიაა თქვენთან ინგლისურად საუბარი. თითქოს ფრანგულად არ ველაპარაკებოდე.

ოლიმპია ჩვენი ენა არ ესმის.

ფერაიონი რაც არ ნიშნავს, რომ მე უნდა მესმოდეს მისი ენა. (ცინებს) „ნოუბოდე კულ“. ესეც დაიტრახება რა, უცხოელი ვარო.

ოლიმპია საწყალი! მესამედ მოდის ჩვენთან... ქალი, რომელსაც ელოდება მესამეჯერ ტოვებს მშრალზე.

ფერაიონი უარესი დაემართება! ასე თუ ელაპარაკება ქალებს! „ნოუბოდე კულ“. კარგად მესმის რატომ გაურბიან.

ოლიმპია (თანხმობით) აბა. (თეთრეულის ასაღებად მიბრუნდება) კარგი თეთრეულს საკუჭნაოში წავიღებ.

ფერაიონი შენ ნუ შეწუხდები (გასძახებს) ჟენი!

ჟენი (ოთახში ეხლახანს შემოვიდა. მანამდე კი გაასწორა ლოგინი და საპირფარეშო ოთახში გაუჩინარდა) ბატონო!

ფერაიონი მორჩით ოთახის დალაგებას?

ჟენი (მტკრის საწმენდი ილღიაში აქვს ამოხრილი, ხელში პატარა კათხა უჭირავს) როგორც იქნა, ბატონო.

ფერაიონი ვიცი, ვიცი, ოთახის დალაგებას როცა მოგინდება, მაშინ მორჩება.

ჟენი (მარცხნივ კორიდორისკენ გაემართება) ან ხელახლა დააღებ უკვე დალაგებულს.

ფერაიონი თქვენი ღრმა, მაგრამ შეუსაბამი, მსჯელობანი თქვენთვისვე მომინდვია. თეთრეულის შეკვრა აიღეთ და საკუჭნაოში წაიღეთ.

ჟენი მე?!

ფერაიონი მაშ, მე წავიღო!

ჟენი (კათხას და მტკრისსაწმენდს დერეფანში მიაგდებს, მწარედ ამოიოხრებს) კარგი, ბატონო! ღა, ვირული სამსახური მაქვს. (ზემოთ მიმავალი კიბისკენ გაემართება. ოლიმპიას ხმაზე შეჩერდება)

ოლიმპია სანამ არ დამავიწყდა! (წინა ოთახზე მიუთითებს) ამ ოთახს დალაგება არ უნდა. უკვე მზად არის და დაჯავშნულია.

ფერაიონი (სივარეტს მოუკიდებს) ვის მიერ?

ოლიმპია ბატონი შანდებიზის მიერ. (ჟენის) გახსოვთ?

ჟენი დიახ, ქალბატონო, ეს ის ბატონია, რომელიც “ასე ლაპარაკობს“ („ასე ლაპარაკობს“ წარმოთქვამს კამილის მანერით “აეააოპრ“)

ოლიმპია ზუსტად.

ფერაიონი (გედის ყელიან სკამზე ჩამოძვდარი) დღეს მობრძანდება.

ოლიმპია ხო! შეხე, დეპეშაც გამოაგზავნე (შეამჩნევს ჟენის, რომელიც მათ მიუახლოვდა და უსმენს) ყველაფერი რიგზეა, ჟენი?

ჟენი (ცოტა გაკვირვებული) გმადლობთ, ქალბატონო, ყველაფერი რიგზეა, კარგად ვარ.

ოლიმპია არა, მე გითხარი, ყველაფერი რიგზეა! აქ აღარ მჭირდება მეთქი.

ჟენი ჰო! დიახ, ქალბატონო! (მიღის, თავისთვის ჩაილაპარაკებს). არ გამიკვირდა! (კიბით ზემოთ ადის)

ოლიმპია მეორე კიბით ადით, დერეფნით. ასე კლიენტებს არ გადაეყრებით, ამ თქვენი თეთრეულით.

ჟენი დიახ, ქალბატონო! (მარცხნივ, დერეფნით გადის)

ოლიმპია (ფერაიონს) ნახეთ, რა წერია დეპეშაში „ხუთი საათისთვის დამიჯავშნეთ ოთახი, რომელშიც ამას წინათ მომათავასეთ. შანდებიზი“. ოთახი, რომელშიც ამას წინათ მივათავასეთ, აი, ეს ოთახია. (მარჯვენა ოთახზე მოუთითებს)

ფერაიონი (წამოდგება) ჩინებულია! კიდევ ერთხელ შევავლებ თვალს. (შედის ოთახში, ცოლი უკან მისდევს) მშვენიერია, ასე ჯობია!

ოლიმპია საპირფარეშოში თუ არის ყველაფერი, რაც საჭიროა? ძალიან მნიშვნელოვანია საპირფარეშო... (შედის ტუალეტში)

ფერაიონი ამ ღილაკსაც დავაჭიროთ თითი და ვანახოთ ის შტერი ბიძაჩემი, თუ არის თავის ადგილზე.

საწოლის მარცხნივ მდებარე ღილაკს მიაჭერს თითს. ტიხარი ღერძზე შეტრიალდება, დარბაზისკენ მოქცეულ საწოლს თან გაიყოლებს და მომიჯნავე ოთახში მდებარე ზუსტად იგივე საწოლს გამოაჩენს სცენაზე. საწოლში ბატისტენი წევს.

ბატისტენი (ზურგზე წევს, ჩვეულ გაზეპირებულ ფრაზებს რეფრენივით ისვრის) ო, ეს რევმატიზმი! ო, ჩემი საწყალი სახსრები! (ღამის პერანგი აცვია, თავზე ხილაბანდი აქვს წაკრული)

ფერაიონი (შეაჩერებს) კარგი, კარგი ტყუილად ნუ იხარჯები. მე ვარ, მე.

ბატისტენი (საწოლიდან წამოიწევა) შენა ხარ! აი ხომ ხედავ... შენ კი სულ მეჩხუბები... აქა ვარ, ჩემს ბიუროში.

ფერაიონი მერე? განა ამისთვის არ გიხდი ჯამაგირს? მიდი, შეიკეტე შენს უჯრაში. (ღილაკს ხელს აჭერს, ღერძი კვლავ ტრიალებს და ისევ წინა საწოლი შემოაქვს სცენაზე). ყველაფერი რიგზეა. (ოლიმპია საპირფარეშოდან გამოდის და ზემოთ კიბისკენ მიმავალ ქმარს გაჰყვება)

ფერაიონი (სიარულს აგრძელებს) პოში სადღაა?

ოლიმპია (ქმარს მისდევს) სარდაფშია, შეშას ალაგებს.

ფერაიონი (მარცხნიდან) სარდაფშიაო? გაგიჟდი? ხომ გაგაფრთხილე, რომ ამ კაცს მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს – დალევა უყვარს! შენ კი სარდაფში უშვებ!

ოლიმპია ღვინო განჯინებში ბოქლომითაა ჩაკეტილი. რას მიაგნებს.

ფერაიონი კარგად ვიცნობ იმ გაიძვერას. მეფიცებოდა გამოვსწორდიო, აღარ ვსვამო, მაგრამ... კარგად ვიცი მისი დაპირებების ფასი. ჯერ კიდევ ჯარიდან ვიცნობ. ჩემი მოსამსახურე ჯარისკაცი იყო. კარგად ვიცი, რად

ღირს მისი მონანიება და შეპირებები... ოთხშაბათიდან შაბათამდე
ჰყოფნიდა!... მერე კი ოპ-ლა! საკვირაო ღრეობა!

ოლიმპია (*ფილოსოფიურად*) რა გინდა, მოდას არ ჩამორჩენია.

ფერაიონი უსწრებდა კიდევ. როცა დაბრუნდებოდა, კარცერში არ
ვუკრავდი თავს, მაგრამ ერთი ისეთს მოვლებდი, რომ შაბათამდე ყოფნიდა.
კვირაობით კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ისე, სამსახურში
ლოთაობას ხელი არ შეუშლია. პატიოსანი, გამრჯე და... ერთგული იყო!
შემძლო გამეჯვორა, მუჯღუგუნი მეკრა, უხეშად მოვქცეოდი!... ო, რა
სიამოვნება იყო!... როცა წინსვს სადმე ჩავაზელდი, უფ! არა ბუნებით
მეფის ბიძაშვილივით არ იქცეოდა. ყველაფერს ითმენდა.

ოლიმპია (*კატასავით თავს მიადებს ფერაიონს მხარზე და ცაზე აბჯენილი
მზერით*) შენ ისეთი კარგი ცემა იცი...

ფერაიონი (*უბრალოდ*) აბა! ვიცოდი! ახლა კი... იცი, იღლება კაცი...
მაგრამ პოში ზუსტად ისეთი მსახურია, როგორც მე მიყვარს!
დღევანდელ მსახურებს კი არა ჰგავს, მათ ხომ მორიდებით, მოპრუწული
ტუჩებით უნდა ელაპარაკო. ჰოდა... ორი კვირის წინ უმუშევარი რომ
ვნახე უყოყმანოდ შევთავაზე ჩვენთან მუშაობა.

ოლიმპია (*პოლში მარჯვნივ მიდის*) ძალიან კარგადაც მოიქეცი.

*ამასობაში ქვემოდან, კიბეზე ზურგზე შეშა მოდებული პოში
გამოჩნდება. საბუშაო ტანსაცმელი აცვია: ჟილეტი, შარვალი, გრძელი
წინსაფარი და რბილი ქერის ჩუსტები. თმა აწეწილი აქვს როგორც
ადამიანს, რომელმაც ბევრი იმუშავა. ერთი შეხედვით მანდებიზის სრული
ორეულია, ოღონდ მდაბიო, ვულგარული და ტლანქი ორეული. იგივე
კაცია, მხოლოდ უფრო დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი. ხელში
დეპეშა უჭირავს.*

სცენა II

იგივენი, პოში, ჟენი.

ფერაიონი (*№1*) (*პოშის გამოჩენისთანავე*) აჰ, ძალი ახსენო! რაო პოშ,
რაშია საქმე?

პოში (*მხედრულად ესაღმება, კარგად გაწვრთნილი ტონით*) დეპეშა,
უფროსო!

ფერაიონი (უახლოვდება, იმეორებს) „დეპეშა, უფროსო!“ მოიტა (დეპეშას გამოართმევს, შეუჩერებლად ცოლისკენ მიემართება) გმადლობთ, პოშ. (შეხედავს, პოშმა მარცხნივ გადაინაცვლა და ფერაიონს გულაჩუყებული და ნეტარი ღიმილით შეჰყურებს) ღმერთო ჩემო, რასა ჰგავს ეს ცხოველი! (რამდენჯერმე იმეორებს) მორჩი ერთი! ნეტავ რას მომაშტერდი? (ლაპარაკში დეპეშას გახსნის და ნელ-ნელა იწყებს ქვევით ჩამოსვლას. ფერაიონი დეპეშას კითხულობს). „დამიჯავშნეთ კარგი ოთახი“.

ოლიმპია (ირონიულად) დავჯავშნე კიდეც.

ფერაიონი (კითხვას აგრძელებს) „და შეიყვანეთ ის ვინც ჩემს სახელზე ოთახს მოიკითხავს“ (მიმართავს ჟენის, რომელმაც კიბე ჩამოიარა, და პოშს) ხომ გაიგეთ? თუ ბატონი შანდებიზის სახელზე დაჯავშნულ ოთახს მოიკითხავენ, აი, იქ შეიყვანთ. (უთითებს წინა პლანზე მარჯვნივ მდებარე ოთახზე).

ჟენი დიახ, ბატონო.

პოში (სულელური ღიმილი, მხედრული საღამი) დიახ უფროსო!

ფერაიონი ეხლა თავისუფლები ბრძანდებით. (ჟენი კორიდორით გადის სცენიდან. პატრონს მიშტერებული პოში ადგილზე რჩება) შენ რა, ვერ გაიგე? ეშმაკის ერთო! (ხელს წაავლებს და შემოატრიალებს). აბა, გასწი! დროზე მოუსვი აქედან! (პანჩურს ამოარტყავს. პოში მიდის, მობრუნდება გაბრწყინებული სახით და კიბეებს მიაღებება. ფერაიონი თვალს არ აშორებს) ერთი შეხედე, რა კმაყოფილი სიფათი აქვს! ხომ გითხარი მალმერთებს-თქო, ეს ცხოველი! (უცებ ხმას განზრახ დაიბოხებს) წადი აქედან! რას ნიშნავს ეს? (პოში ნებდება და სიჩქარეში კინალამ კიბის საფეხურიდან გადმოვარდება)

ოლიმპია (როგორც კი პოში გავა) ცომივით თვინიერია ეს კაცი.

სცენა III

ოლიმპია, ფერაიონი, რაგბი, შემდეგ ფინაში.

რაგბი (გრივალღვით გამოვარდება თავის ოთახიდან და მიეჭრება ფერაიონს, რომელიც ცალი ფეხით კიბეზე დგას ზურგ შექცევით) Nobody called?

ფერაიონი (შეკრთება, უცებ მოტრიალდება) რაა?

რაგბი Listen, it's the second time that I ask if anybody called for me!
 ფერაიონი არა! ნოუბოდი, ნოუბოდი! ჯანდაბა.
 რაგბი Oh! Thanks! (ისევ შექანდება ოთახში)
 ოლიმპია (რაგბის გასვლის შემდეგ) კაცის სიყვარული!
 ფერაიონი ჭინკასავით იცის ოთახიდან გამოხტომა.
 ოლიმპია ფერი გეცვლება მის გამოჩენაზე.
 ფინაში (კიბეზე ამოდის ქვემოდან). პოლკოვნიკს ვახლავარ!
 ფერაიონი და ოლიმპია ო! ბატონო ექიმო.
 ფინაში (მათ შორის) სალამი ქალბატონო ფერაიონ! თავისუფალი ოთახი
 თუ გაქვთ?
 ოლიმპია თქვენთვის – ყოველთვის, ექიმო.
 ფინაში არავინ მოსულა ჩემს მოსაკითხად?
 ფერაიონი ჯერ არა, ექიმო.
 ფინაში მით უკეთესი.
 ფერაიონი ბატონმა ექიმმა რომანი გააბა?
 ფინაში რომანი კი არა, პატარა სამიჯნურო ხლართები.
 ოლიმპია რა სალაპარაკოა, მაგრამ უკვე თვეზე მეტია!
 ფინაში ცოტ-ცოტა, მარჯვნივ-მარცხნივ ვინავარდე.
 ფერაიონი ცუდია, როცა ერთგული არა ხარ.
 ფინაში არა, კაცო! ერთი და იგივესთან.
 ფერაიონი ო, მე ქალს არ ვეხები... ჩვენი სასტუმრო მაქვს
 მხედველობაში.
 ფინაში ა-ა! გასაგებია.
 ფერაიონი აბა, სიყვარულში ერთგულება რომ იყოს, ჩვენი სასტუმრო
 გაკოტრდებოდა.
 ფინაში მოსწრებული ნათქვამია (ტონს იცვლის) ერთი მითხარით,
 სასტუმროში თითქოს ტყეშიო, ისე შემოდიხარ. (კიბეზე წამოიწევს) სად
 არის თქვენი კარის კაცი?
 ფერაიონი პოში?
 ფინაში პოში?! არა, გაბრიელი, მიმზიდველი გაბრიელი.
 ფერაიონი ჰო, მართლია! არ იცოდით? ამ ცოტა ხნის წინ გაბრიელი
 დავითხოვეთ.
 ფინაში რატომ? ძალიან წარმოსადეგი ყმაწვილი იყო.
 ფერაიონი ცოტა ზედმეტად ლამაზი ყმაწვილი გახლდათ
 ოლიმპია ჩვენს კლიენტებს თავბრუს ახვევდა (ზემოთ ადის)
 ფინაში (№3-ზე გადაინაცვლებს) უყურე შენ!

ფერაიონი (*ფინაშისკენ მიბრუნდება*) დაუშვებელი იყო, ხომ გესმით? კლიენტი, თუ მომსახურე პერსონალის შიშით ქალს ვერ მოიყვანს.. არა, ჩვენ სანდო და აწყობილი სახლი გვაქვს.

ფინაში (*სკამზე ჩამოჯდება*) როგორ ახერხებთ, თქვენ ხომ...

ფერაიონი დისციპლინა, წესრიგია საჭირო! დიახ, მხოლოდ წესრიგს ვცნობ! ძველი სამხედრო ვარ, სხვაგვარად არ შემიძლია.

ფინაში ო-პა! თქვენი ჩინი ნამდვილი ყოფილა... პოლკოვნიკი!

ოლიმპია (*№1-ზე გადადის*) დიახ, ნამდვილი, ძალიან ნამდვილი

ფერაიონი (*№2*) ქვეითი ჯარის 29-ე განაყოფის მაიორი გახლავართ. ამიტომაც მეძახიან პოლკოვნიკს.

ფინაში გასაგებია... სამოქალაქო სამსახურის პოლკოვნიკი ბრძანდებით.

ფერაიონი (*კეთილად*) აბა, რა! პირად ცხოვრებაში ერთი ჩინით მეტი, თუ ნაკლები! (*ოლიმპიას*) მეათე ოთახი მოუმზადე ბატონ ექიმს, ჩემო სულიკო.

ოლიმპია ახლავე. (*ფინაშისა და ფერაიონის მომდევნო საუბრის დროს კიბეზე ადის*)

ფინაში (*მარჯვენა ოთახს მიუთითებს*) რა, მეხუთე თავისუფალი არ არის?

ფერაიონი სამწუხაროდ, არა.

ფინაში (*უკმაყოფილო*) ო-ოხ!

ფერაიონი მეათესაც იგივე განლაგება აქვს, ზუსტად მეხუთის თავზეა.

ფინაში კეთილი, თანახმა ვარ.

ოლიმპია (*კიბეზე, თითქმის, ასულია*) ოთახს ახლავე მოგიწესრიგებთ.

ფერაიონი ხო, ჩემო კარგო, წადი.

ოლიმპია გადის

სცენა IV

იგივენი ოლიმპიას გარეშე.

ფინაში (*როგორც კი ოლიმპია გავა*) შესანიშნავი ქალია, არა ?! მაღამ ფერაიონი?

ფერაიონი თანაც, ძალიან ჭკუადამჯდარი.

ფინაში უცნაურია, მაგრამ სულ, ვეკითხები ჩემს თავს, სად მინახავს.

ფერაიონი (თავის ქნევით) ო-ო... (ოდნავ მარჯვნივ გაიწევა) ადრე... ხომ არ იცნობდით გარკვეულ წრეებში საკმაოდ ცნობილ... მშვენიერ კასტონის, ზედმეტსახელად „ძველ მეომარს“ რომ უწოდებდნენ?

ფინაში (იხსენებს) კასტონის?. მოიცა, მოიცა!

ფერაიონი დიას, კარგა ხნის მანძილზე ბარონ ჟენევილიეს საყვარელიც იყო.

ფინაში ის არ არის, ერთ დღეს „თექვსმეტთა დარბაზში“ ვერცხლის სინით სულ შიშველი რომ მიართვეს ბარონს?

ფერაიონი მართალი ბრძანდებით. (კმაყოფილი) ის არის. ჩემი ცოლია. მე ის ცოლად შევირთე.

ფინაში (დაბნეული, ცოტა ენას წაუბორობიკებს) ჰმ, ჰო! მომილოცავს.

ფერაიონი ჩემზე ჭკუა გადაეკეტა როცა სერჟანტის ჩინი მქონდა. (თითქოს თავს იმართლებსო). ლამაზი ბიჭი ვიყავი! სამხედრო ფორმა! სამხედროებს გულგრილად ვერ უყურებდა.

ფინაში „ძველი მეომარი“! (იციინის)

ფერაიონი (იციინის) აბა, აბა! (სერიოზულად) ჩემი რჩენა განიზრახა.

ფინაში არა?!

ფერაიონი აბა! მაგრამ... მე ასეთებს არ ვჭამ... ისე, მეორეს მხრივ ფული ჰქონდა, გარეგნობა, სახელიც. უნდა ვაღიარო, რომ მშვენიერი პარტია იყო ჩემთვის. ქორწინება შევთავაზე და... ასე გაიჩარხა ეს ჩვენი საქმე.

ფინაში (მერხზე ჩამოჯდება) მომილოცავს.

ფერაიონი პირობები წავუყენე! წინასწარ! ვუთხარი, რომ ქორწინების არავითარი ქეიფი, არავითარი საყვარლები აღარ იქნება. (ფინაშს გადაულაპარაკებს) იმიტომ რომ... შესაძლოა, თქვენ სხვა აზრისა ხართ, მაგრამ მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ქალს, რომელსაც ცოლად მოიყვან, საყვარელი არ უნდა ჰყავდეს.

ფინაში (სერიოზული ირონიით) სრულ სიმართლეს ბრძანებთ.

ფერაიონი უპირვრლესად რესპექტაბელობა უნდა დაგვეცვა! ერე, ეს სასტუმრო გაეხსენით (ოდნავ მარცხნივ გადაინაცვლებს)

ფინაში (წამოღებება) ბრძენი ყოფილხართ .

ფერაიონი ჰოდა, ვცხოვრობთ ასე, ხელმოჭერილად, დინჯად, როგორც დარბაისელი ბურჟუა, ცოტა ეკონომიასაც ვაკეთებთ სიბერიისთვის. ამასთან დაკავშირებით, თქვენს წინადადებაზეც ვიფიქრე... იმ დღეს დაზღვევაზე რომ მელაპარაკეთ...

ფინაში აჰა! ესე იგი, მოიფიქრეთ და გადაწყვიტეთ.

ფერაიონი თითქოს კი! მე ორმოცდაოთხი წლისა ვარ, ჩემი ცოლი (ჩაახველებს) ორმოცდათორმეტის, უფრო ზუსტად რაღაც ამის ირგვლივ.

ფინაში (ერთობა, მაგრამ წარბეზებულად) მერე რე მოხდა! ძალიან კარგი. ამბობენ, რომ შვიდი-რვა წელი მეუღლეებს შორის განსხვავება აუცილებელიც არისო.

ფერაიონი (ყოყმანით) ჰო, მაგრამ... ალბათ აჯობებდა, რომ ცოლი უფრო...

ფინაში ალბათ! მაგრამ, როცა ასე არ ხერხდება, ქმარი მაინც უნდა იყოს უფრო...

ფერაიონი რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. (ტონს ცვლის) ჰოდა, რომ შემეძლოს ჩემი საწყალი, ჩემი ძვირფასი დავაზღვიო ისე, რომ გარდაცვალებისას...

ფინაში მისი გარდაცვალებისას? ეშმაკმა დალახვროს, რომოცდათორმეტი წლისაა! თქვენი დაზღვევა უფრო იაფი დაგიჯდებათ.

ფერაიონი რატომაც არა! ოღონდ ისე, რომ მისი გარდაცვალებისთვის.

ფინაში არა. ამ შემთხვევაში თქვენი გარდაცვალებისას, ის...

ფერაიონი როგორ ჩემი? არა, მაშინ არა! ასეთ დაზღვევაში არა ვარ დაინტერესებული.

ფინაში რაღაც გამოსავალს მოვნახავთ. მობრძანდით ჩვენთან მოვილაპარაკოთ.

ფერაიონი როდის?

ფინაში ყოველ დღით 10-11 საათამდე „ბოსტონ ლაიფ კომპანიის“ საფრანგეთის განყოფილების დირექტორთან ვიმყოფები. მალზერბის ბულვარი №95.

ფერაიონი (მისამართს პერანგის მანუეტზე იწერს) მალზერბის ბულვარი! კეთილი... ვინ უნდა ვიკითხო?

ფინაში კომპანიის დირექტორი. მე მას გავაფრთხილებ.

ფერაიონი ჩინებულია! გმადლობთ, რომ გაისარჯეთ.

ფინაში როგორ გეკადრებათ!

სცენა V

იგივენი ოლიმპია, შემდეგ რაგბი, და რაიმონდა

ოლიმპია (კიბის თავიდან) ბატონი ექიმი თუ ინებებს ოთახის ნახვას?

ფინაში (კიბისკენ გაქანება, ქვედა საფეხურებს გადაახტება) რა თქმა უნდა, ვინებებთ ოთახის ნახვას! რა თქმა უნდა ვინებებთ... (კიბეზე ასული

ფერაიონს გადმოსძახებს) ხო! თუ ვინმე მიკითხავს, იმ წამს გამაფრთხილებთ, იმ წამს. (ზედა სართულზე გაქრება).

ფერაიონი (თავს ხრის, შეჰყურებს მიმავალ ექიმს) რა მშვენიერია სიყვარული!

რაგბი (ფერაიონის ზურგს უკან, თავისი ოთახიდან გამოდის) Nobody called? (არავის დაურეკია?)

ფერაიონი ასე არ ივარგებს.

რაგბი Nobody called for me, I say; (არავის დაურეკია ჩემთვის, გეკითხებით?)

ფერაიონი (ღიმილით, ჩუმად) გააწყალე გელი.

რაგბი (ყურს მიუგდებს) What? (რაო?)

ფერაიონი (იგივე ხმით) კმარა.

რაგბი (არაფერი ესმის) გუაარ?

ფერაიონი (ძალიან თავაზიანად) დიახ, ინგლისელო. რას გადმოკარკლე თვალები? სულაც არ მცხვენია გამოვიყენო შენი უგუნურობა, ჩვენი ენის არცოდნა და ვითხრა, ის რაც მსურს: კმარა!

რაგბი მაარა... Aoh, thanks

ფერაიონი ბატონი ბრძანდებით.

რაგბი ოთახის კართანაა უკვე მისული, როცა კიბეზე რაიმონდა გამოჩნდება. სახეს მუქი პირბადე უფარავს.

რაგბი (რაიმონდას გამოჩენისთანავე შეშდება) უაუ!

ფერაიონი (№2) რას ინებებთ, ქალბატონო.

რაიმონდა (№3) ოთახს, რომელიც ბატონმა შანდებიზმა შეგიკვეთათ.

ფერაიონი (წინ ჩაუვლის, რათა მარჯვენა ოთახის კარები გააღოს) აქეთ მობრძანდით, ქალბატონო.

რაგბი თვალს ვერ აშორებს რაიმონდას. ვინაიდან სახის ნაკვთებს ვერ გაარჩევს მიუახლოვდება და რამდენჯერმე გარს უვლის, თითქოს გაზის ნათურას დასტრიალებსო. თან მიშტერებული უყურებს და ჟივას ცოცხალ მელოდიას ღიღინებს. ნაბიჯსაც მელოდიის რითმზე აწყობს.

რაგბი (რაიმონდას ირგვლივ აკუნტრუშტდება.. რაიმონდა გაოცებული შეჰყურებს, და ერთ ადვილას წრიალებს, მარჯვნივ-მარცხნივ იყურება და თავის დაღწევას ცდილობს)

« Turning around town
knocking people down,
kissing every girl you meet »

(ბოლოს დაასკვნის, რომ რაიმონდა ის არ არის, ვისაც ელოდება.)

ო! It's not that one! (ჯიბეში ხელებჩაწყობილი ღიღინით ბრუნდება ოთახში)

რაიმონდა (რაგბის თავხედობით გაოცებული) ამას რაღა მოუვიდა, ვინ არის?

ფერაიონი ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ქალბატონო, ზღვის გაღმადან ჩამოსული ორიგინალია.

რაიმონდა (მარცხნივ გადაინაცვლებს) თავხედობა არ აკლია! (ფერაიონს მიმართავს) ოთახი ჯერ არავის მოუკითხია. (პირბადას ოდნავ აიწვეს).

ფერაიონი ჯერჯერობით არავის (რაიმონდას ოდნავ უახლოვდება) ოპ, ღმერთმანი, არ შევცდი! თქვენ არ მობრძანდით აქ... ამ დღით, ქალბატონო?

რაიმონდა უკაცრავად?

ფერაიონი ნამდვილად ასეა. ო, მაღამ, მოხარული ვარ. იმედი მქონდა, რომ ჩემი თავშეკავება სასურველ შედეგს გამოიღებდა და ქალბატონი კლიენტებს არ დამიკარგავდა. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ასე ჩქარა არ მოგელოდით!

რაიმონდა (შოკირებული და დაბნეული) რას ჰგავს ეს, ბატონო! რა უფლებით წარმოიდგინეთ, რომ მე... მე.

ფერაიონი (წამში თავს ხრის) მაპატიეთ ქალბატონო! (კარს გააღებს და გვერდზე გადადგება) თუ ქალბატონი ინებებს...

რაიმონდა (წინ გაუვლის, კართან შეჩერდება და ფერაიონს ზემოდან ზიზღით შეხედავს) უფ... (თავაწეული შედის ოთახში).

ფერაიონი (ფეხდაფეხ მისდევს) ოთახი, როგორც ხედავთ ქალბატონო, ძალიან კეთილმოწყობილია. საწოლი...

რაიმონდა (ქედმაღლურად აწყვეტინებს) კმარა, ბატონო. საწოლთან რა მესაქმება... (ღირსეული ნაბიჯით გადაინაცვლებს უკან სცენაზე (№1))

ფერაიონი (შემცბარი) ჰა? (საპერფარეშოსკენ გაემართება, თავისთვის ჩუმად) რა გაფუჭებული ვინმეა! (ხმაძალა) ეს საპერფარეშოა, ცხელი და ცივი წყლით, აბაზანით, შხაპით...

რაიმონდა (გაბრაზებული) კარგი, კმარა. აქ ცხოვრებას კი არ ვაპირებ.

ფერაიონი დიას, მაღამ! (საწოლს უბრუნდება). აი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევაში, ყურადღებით მომისმინეთ ქალბატონო, საწოლის ორივე მხარეს დილაკია...

რაიმონდა (პირდაპირ სახეში) კარგი, კმარა-მეთქი. ჩემს თავს თვითონ მოუვლი. კეთილი ინებეთ და მარტო დამტოვეთ, ბატონო.

ფერაიონი კი, მაგრამ... მაღამ

რაიმონდა აღარ მჭირდებით, გმადლობთ.

ფერადიონი კეთილი, მაღამ. (კართან მივა, გასვლისას) თქვენს მონა-მორჩილად მიგულეთ, მაღამ.

რაიმონდა (ნერვიულად) ნახვამდის, ბატონო, ნახვამდის.

ფერაიონი *(კიბეზე ჩამომავალ პოშს დაინახავს)* ეი, პოში!
პოში *(სიყვარულით შეჰყურებს, მხედრული საღმით)* უფროსო?
ფერაიონი მალე მორჩები შეშის თრევას?

პოში კიდეც ერთი შეკვრა, უფროსო.

ფერაიონი კარგი! აბა, ჩქარა, ჩორთით. მერე კი, დამდე პატივი, და ლივრეა ჩაიცვი. რა უნდა, აქ რომ დაგიგდია? *(ლაპარაკის დროს საკიდზე მიუთითებს, სადაც პოშის ლივრეა და ქუდია ჩამოკიდებული)*. კლიენტების მოსვლის დრო მოვიდა და ფორმაში უნდა დახვდე.

პოში არის, უფროსო. *(გასვლას დააპირებს. ზარი ირეკება)*

ფერაიონი ვილაც რეკავს. *(ოთახიდან მომავალის ზარების დაფას შეხედავს)* ისევ ინგლისელია. მიდი ერთი, ჰკითხე რა უნდა.

პოში არის უფროსო. *(შეშის მოსაზიდ საზურგეს კიბესთან დადებს, მარცხენა ოთახისაკენ მიემართება და რაგბის კარზე აკაკუნებს. ყველაფერს ისე აკეთებს, რომ ფერაიონს სიყვარულით და ერთგულებით სავსე მზერა არ მოაშოროს.)*

რაგბის ხმა ოთახიდან Come in.

პოში რაგბისთან შედის, რაიმონდა ამ სცენის მანძილზე ოთახს ათვალიერებს. ფანჯარას აღებს, ნათურებს ამოწმებს და ა.შ. შედის საპირფარეშოში.

სცენა VI

ფერაიონი, ტურნელი, პოში, შემდეგ რაიმონდა.

ტურნელი *(სიღრმიდან მოდის)* უკაცრავად, ბატონი შანდებიზის ოთახი საით არის?

ფერაიონი *(№1)* აქეთ ბატონო! კი მაგრამ... თუ არ ვცდები თქვენ ბატონი შინდებიზი არ უნდა იყოს?

ტურნელი სწორეა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მე მისი წარმომადგენელი ვარ.

ფერაიონი *(თავდაკვრით)* დიან, დეპეშაშიც ასე ნათქვამია, ვინც მის სახელზე ოთახს მოიკითხავსო, ჰოდა! ქალბატონი აქ არის ბატონო!

ტურნელი ოუ! და... ლამაზია?

ფერაიონი *(გაკვირვებული შეხედავს)* ბატონს ჩემი აზრი აინტერესებს? რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ ხომ მოგწონთ.

ტურნელი საქმე იმაშია, რომ... მე მას არ ვიცნობ?

ფერაიონი ???

ტურნელი და ვიდრე ღრმად არ შემიტოპია, ხანდაზმული მებრძოლი ხომ არ არის?

ფერაიონი არა, დამიჯერეთ, არა! დაშაქრული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ლამაზია.

ტურნელი (მსუბუქად ხელს აიქნევს) კარგი ერთი, ხასიათი რაში მენალვლება.

ფერაიონი (ხითხითით) ჰოდა, (წინ გაუვლის) აგერ ოთახის კარი, ბატონო.

ოთახში შედის, ტურნელი შეყვება ღია ფანჯარას შეამჩნევს, მივა, დახურავს. ტურნელი შლაპას გელის ყელთან მოთავსებულ პატარა მაგიდაზე დადებს. ამასობაში პოში რაგბის ოთახიდან გამოდის და ლაპარაკით კულისებში მიემართება.

პოში ახლავე ბატონო! რაღაც ნოუბოლეკოლს მთხოვს. არც ვიცი რა არის (პაუზა) ვერძუტს მივუტან. (კიბეს უახლოვდება, შეშის საზიდ კაუჭს აიღებს და ქვემოთ ჩადის.)

ფერაიონი (ფანჯარა დახურა) არავინაა? უკაცრავად? იქ ვნახავ. (საპირფარეშოს კარზე მიაკაკუნებს).

რაიმონდას ხმა რაშია საქმე.

ფერაიონი (კარზე ლოყამიღებულო) მაღამ, ბატონი მობრძანდა.

რაიმონდას ხმა კარგი.

ფერაიონი (გადადის №1, მოწიწებით შემოუვლის ტურნელს, გვერდით მოუჯდება და პატივისცემით). ქალბატონი იქ არის, ბატონო.

ტურნელი (კარს მიუხურავს ფერაიონს, რომელიც ზედა სართულებისკენ ამაველი კიბით ფრთხილად ადის) შეხე, რა მშვენივრადაა აქაურობა მოწყობილი, კეკლუცად, მოხდენილად (საწოლის გვერდით ელექტრო ღილაკებს შეამჩნევს). უყურე შენ, ზარი. კარგია, თუ მოგწყინდება სამიზნედ გამოიყენებ. (ჯიბიდან ვითომ პისტოლეტს იღებს და საწოლის გვერდით ზარის ღილაკებს უძიზნებს) მოიცა, რას ვაკეთებ. რაღაც ორიგინალური უნდა მოვიფიქრო. იფ! აი, ასე, ურიგო არ იქნება. გავერთობით (საწოლზე ჩამოჯდება და საწოლის ფარდებს ისე ჩამოაფარებს, რომ მთლიანად დაიფაროს თავი).

რაიმონდა (საპირფარეშოს კარიდან შემოიჭრება, შლაპა ისევ თავზე ახურავს) შენც მოხვ... (ვერავის ამჩნევს) კი მაგრამ... სად არის?

ტურნელი (ვარდებს მიღმა) კუ-კუ.

რაიმონდა (თავისთვის ჩაილაპარაკებს) „უ-კუ“! დამაცადე!

ტურნელი (ისევე) კუ-კუ.

რაიმონდა საწოლს უახლოვდება, მარჯვენა ხელით ფარდას სწრაფად გადასწევს, მარცხენა ხელით კი ენერგიულ და ეტყობა მწარე სილას გააწნავს ტურნელს.

რაიმონდა ესეც შენ!

ტურნელი (სილის ძილების მომენტში) ოხ! (საწოლიდან წამოხტება).

რაიმონდა (უკან დაიხვეს) ის არ ყოფილა!

ტურნელი რაიმონდა? თქვენ? თქვენა ხართ?

რაიმონდა (გაოცებული) ბატონო ტურნელ!

ტურნელი ო, ეს რომ მცოდნოდა!... (ლოყას მოისრეს) რა სასიამოვნო სიურპრიზია.

რაიმონდა უფ! აქ რას აკეთებთ?

ტურნელი (თავმოძწონედ) რა მნიშვნელობა აქვს (სხაპასხუპით, რადგან თემის შეცვლა უნდა) პატარა... პატარა სასიყვარულო ინტრიგა, ერთი ქალი... ერთ ქალს ვუყვარდი. თეატრში მნახა და ერთი ნახვით შემიყვარა. მერე წერილი გამომიგზავნა... მე კეთილი კაცი ვარ, სულგრძელი. უარი ვერ ვუთხარი და...

რაიმონდა რას მიედ-მოედებით. ასე არ იყო, ასე არ იყო

ტურნელი (რაიმონდას რეპლიკას შეცდომაში შეჰყავს, დაჯერებით) ის ქალი, ის ქალი ჩემთვის არაფერია. არც ვიცნობ. არც მიყვარს. თქვენ კი! ო, ჩემო ოცნებავ... ჩემი ოცნება ხორცს ისხამს! თქვენ აქა ხართ, ჩემთან პირისპირ... ჩემი ხართ. ხედავთ ზეცა განგება ჩაერია! (ლაპარაკისას ცდილობს მოეხვიოს).

რაიმონდა (ხელიდან დაუსხლტება და №1 გადადის) თავი დამანებეთ, ღვთის გულისათვის!

ტურნელი არა! არა!

რაიმონდა თქვენთვის არ მოუწერიათ ის წერილი, ჩემს ქმარს მისწერეს.

ტურნელი არა! არა! ტყუილია! თქვენი ქმარი უშნოა, ჩვენ ხომ ერთად ვიყავით. ქალმა სახელები არია და...

რაიმონდა (ცდილობს სიტყვა მოუჭრას) სულაც არა! (უტყუარ არგუმენტს იშველიებს) ის წერილი ჩემს ქმარს მე მივწერე.

ტურნელი (გაოცებისგან შეერთება) თქვენ?

რაიმონდა (კატეგორიულად) დიახ, მე!

ტურნელი რა, სასიყვარულო წერილებს უგზავნით თქვენს ქმარს?

რაიმონდა უნდა გამეგო მღალატობს თუ არა! პაემანზე თუ მოვიდოდა...

ტურნელი (კმაყოფილი შეჰყვირებს) აი, აი ხომ ხედავთ! თქვენ არ მოისურვებთ ჩემი... გამხდარიყავით, რადგან ფიქრობდით, რომ ქმარი გღალატობთ. ხომ ხედავთ პაემანზე თვითონ კი არ მოვიდა, მე გამომიგზავნა.

რაიმონდა მართალია.

ტურნელი იცით, რა მითხრა თქვენი წერილი რომ წაიკითხა? მითხრა „ნეტავ, რა უნდა ჩემგან იმ ქალს? ნუთუ არ იცის, რომ მე ჩემს ცოლს არ ვუღალატებო“

რაიმონდა ასე თქვა?

ტურნელი დიახ.

რაიმონდა რა ბედნიერი ვარ! რა ბედნიერი ვარ! (ტურნელს მოეხვევა და ორივე ლოყაზე კოცნის).

ტურნელი (გაბრწყინებული სახით) ო, რაიმონდა! ჩემო რაიმონდა. (ერთ ხელს წელზე შემოხვევს, მარცხენა ხელის მოძრაობით კი თითოეულ ფრაზას გამოკვეთს ორატორიული) ჰოდა! ჰოდა! ხომ ნანობთ, რომ ეჭვი შეგეპარათ მის ერთგულებაში. (გემრიელად კოცნის, მწუ, მწუ) ხო, აღიარებთ ეხლა... (კოცნა-კოცნა), რომ, უფლება აღარა გაქვთ, არ უღალატოთ. (კოცნა ... კოცნები) საწყალი, საყვარელი ადამიანი!

რაიმონდა (ნელ-ნელა აჰყვება) ჰო, ჰო! მართალი ბრძანდებით.

(კოცნის) შევცდი. როგორ შემეპარა ეჭვი (კოცნის) ჩემი შანდებიზი, ჩემი კარგი შანდებიზი. როგორ ვნანობ. ბოდიშს გიხდით (კოცნიან ერთმანეთს)

ტურნელი (ღირიული ტონით) არა, ბოდიშს რად მიხდით, რად მიხდა ბოდიში. ჩემი გახდით, ესეც იკმარებს.

რაიმონდა (ღირიულად) მართალია. ჩემი სასჯელი იქნება.

ტურნელი (ავარდნილი) ო, რაიმონდა, მიყვარხართ, მიყვარხართ! მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემი... ჩემი რაიმონდა.

რაიმონდა არა როგორ გავიფიქრე, რომ ჩემი ქმარი მიკეთებდა კუ-კუ, კუ-კუ

ტურნელი (აღმაფრენით) რა მნიშვნელობა აქვს. მის მაგივრად ვთქვათ...

რაიმონდა რა?

ტურნელი კუ-კუ! (ეგ ზალტირებული გულთან მიიკრავს) რაიმონდა, ჩემი რაიმონდა!

რაიმონდა (თავის დაღწევას ცდილობს) ტურნელ! ტურნელ! რა დაგემართათ? მაცალეთ, ცოტა მოვსულიერდე (თავს გაინთავისუფლებს და №2 გადადის)

ტურნელი (თავისას გაიძახის) არა, არა! პირიქით, ვისარგებლოთ შემთხვევით. გამოიყენეთ თქვენი შფოთი, თქვენი ღელვა, სანამ, სანამ... კიდევ შეხურებული ხართ.

რაიმონდა (ცდილობს თავი დააღწიოს მის კოცნას) ტურნელ! ტურნელ! საკმარისია!

ტურნელი (არც უსმენს) ასეთ მომენტში ვნება ძლიერდება. (საწოლისკენ ექაჩება გადაღიანებულ რაიმონდას) მოდით, მოდით! მოდი, ჩემო... მოდით, მოდი, მოდი!

რაიმონდა (შეშფოთებული) რა? არა, რაო! არა! რას აკეთებთ, სად მექაჩებით?

ტურნელი (საწოლს მიაღწია, რაიმონდას ხელს არ უშვებს) აქ! იქ სადაც ბედნიერება გველის

რაიმონდა აქ?! გაგიჟდით! (ხელს კრავს, ტურნელი საწოლზე დაეცემა, რაიმონდა მარცხნივ გადაინაცვლებს) თქვენ მე ვინ გგონივართ!

ტურნელი (დაბნეული) როგორ? ეხლა არ მანიშნეთ რომ თანახმა ხართ.

რაიმონდა (ცოცხლად, მაგრამ ქედმაღალი ტონით) დიახ! თანახმა ვარ გავხდე თქვენი საყვარელი. (მარჯვნივ გადაინაცვლებს, ღირსებით) მაგრამ ლოგინში ჩავიწვეთ?! თქვენ რა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გეგონეთ?

ტურნელი (საწოლზე მიგდებული, საცოდავად) მაშინ აბა როგორ, რანაირად?...

რაიმონდა (ღირსეულად, თავდაჭერით) ფლირტი, არშიყობა და ყველაფერი რაც ამას თან ახლავს: თვალებით საუბარი, ხელი ხელში... ჩემს საუკეთესო ნაწილს გთავაზობთ.

ტურნელი (თავს აწევს, რაიმოდს შეჰყურებს) მაინც რომელს?

რაიმონდა ჩემს თავს... ჩემს გულს

ტურნელი (აგდებით) უფ!

რაიმონდა (ზემოდან დაჰყურებს) ახ, ასე! აბა, თქვენ რა გინდოდათ?

ტურნელი (წამოდგება, მხურვალედ) ის, რასაც ნებისმიერი ვნებააშლილი კაცი ქალის სიყვარულში ეძებს. (რაიმონდასკენ მიიწევს) როგორ! როცა გარემოება და... ყველაფერი ერთმანეთისაკენ გვიბიძგებს... როცა თქვენი ქმარი თვითონ თავისი ხელით მჩუქნის თქვენს თავს!... სწორედ თქვენმა ქმარმა გამომავ ზავნა, ქალბატონო!

რაიმონდა ჩემმა ქმარმა?!

ტურნელი დიახ, მაღამ, თქვენმა, რას ვიფიქრებდი, რომ წინააღმდეგობას გამიწევდით. არა, ქალბატონო, არა! ჩემთვის გაუგებარია თქვენი საქციელი (ცდილობს გულში ჩაიკრას)

რაიმონდა (თავს გაინთავისუფლებს და 1 გადაინაცვლებს) ტურნელ, ტურნელ! დამშვიდდით, გეთაყვა!

ტურნელი (არ იშლის, მოხვევას ცდილობს) გეგონათ, რომ თქვენს წინადადებას მივიღებდი? დავთანხმდებოდი არშიყს... თვალებით თამაშს და თქვენს ნაწილს... სხვათა შორის, ძალიან უმნიშვნელოს, თუ გარემოებას გავითვალისწინებთ.

რაიმონდა (საბოლოო ჯამში პატარა მაგიდასა და გედის ყელს შორის მოექცევა ტურნელი მისკენ მიიწევს) ტურნელ, შეჩერდი!

ტურნელი რა ვუყო მერე, თქვენს თავს, თქვენს გულს?...

რაიმონდა ოჰ!

ტურნელი (სცენას თეატრალური, გამოძწვევი ნაბიჯით მოუვლის და მარჯვნივ გადაინაცვლებს) რა ხეირი მელის? არაფრისთვის ნერვიულობის პერსპექტივა, დაუკმაყოფილებელი სურვილები! კიდევ რა შეღავათები?! ქალბატონთან ერთად ან მის მაგიერ საყიდლებზე სიარული და მის პატარა ლეკვთან გასეირნება... თუ, რა თქმა უნდა, ლეკვი გასეირნებას მოისურვებს. (ლაპარაკის დროს, რაიმონდა მიუახლოვდება. ეს უკანასკნელი დაპატარავებული, იბუტება კუთხეში) არა! (თითოეული « არა » გამოკვეთილია) არა! არა! არა!

რაიმონდა (შეშინებული) ტურნელ!

ტურნელი (რაიმონდას პირისპირ, სახელში ახლოს) არრრა! (მუქარით) და ვინაიდან სასიყვარულო თამაში ფუნდამენტურ წესებს არ სცნობთ, მე.. მე გასწავლით ამ წესებს!

რაიმონდა (დაშინებული, მადარით) ტურნელი! ძვირფასო!

ტურნელი როგორ გაბედეთ გაფიქრება, რომ თავს გავიმასხარავებდი და აქედან გაწბილებული წავიდოდი!

რაიმონდა ტურნელ, გთხოვთ!

ტურნელი არა და არა! ჩემი ხართ! მე მეკუთვნით და მე თქვენ მინდინხართ! (წელზე ხელს გამოდებს და საწოლისკენ ექაჩება)

რაიმონდა (თავგამეტებით უძალიანდება) ტურნელ, მოიცა, ტურნელ!

ტურნელი არა, არა და არა!

რაიმონდა (ძლას მოიკრებს, ტურნელს ხელს კრავს, საწოლზე მუხლებით დაეცემა და თითს მარჯვნივ მოთავსებულ ზარის ღილაკს დაადებს) კიდევ ერთი ნაბიჯი და ზარს დავრეკავ.

ტურნელი რეკეთ, რამდენიც გინდათ რეკეთ. ოთახში არავის შემოუშვებ.

კართან მიიჭრება და გადაარაზავს. ამის შემხედვარე, რაიმონდა ღილს აჭერს თითს. პანო იმ წამს მოდის მოქმედებაში დატრიალდება და საწოლთან ერთად რაიმონდას გაიყოლებს. ოთახში მეორე საწოლი შემოცურდება საწოლში ბატისტენი წევს.

რაიმონდა (ვიდრე მეორე ოთახში გაცურდება) ღმერთო, ღმერთო ჩემო! მიშველეთ!

ტურნელი (ზურგით დვას და საწოლის მოძრაობას ვერ ამჩნევს რაიმონდას ყვირილს გულგრილი რეპლიკით ეხმიანება) დიას, იყვირეთ რამდენიც გინდათ ჩემთვის სულერთია (კმაყოფილი თავისთვის ჩაილაპარაკებს) მორჩა! გამოვიჭირე! ჩემია! (გიჟივით მიახტება ლოჯინს

რომელშიც რაიმონდა ეგულება, ზემოდან დაახტება ამასობაში უკვე სცენაზე შემოცურებულ ბატისტონს, და კოცნას დაუწყებს) რაიმონდა, ჩემი რაიმონდა.

სცენა VII

ტურნელი, ბატისტონი, მერე რაგბი, პოში, ბოლოს ფერაიონი.

ტურნელი (ბატისტონს შეამჩნევს, ლოგინიდან წამოხტება) ა-ა-ა! (დაბნეული, გაოცებული, ვერ ხვდება რა მოხდა და ერთ ხანს აქეთ იქით აწყდება, როგორც გაღიაში გამოძწევდელი ციყვი არეული თვალებით, გაოგნებული მზერით მარჯვნივ-მარცხნივ კედლებს ეხლება ორიენტაცია დაკარგული ადამიანივით)

ბატისტონი (ჩვეულ მისამღერს წამოიწყებს) ჩემი რევმატიზმი!...

ტურნელი (გონს მოდის) რა მოხდა? ეს რაღა არის?

ბატისტონი ჩემი რევმატიზმი, ჩემი სახსრები.

ტურნელი (ბატისტონს) აქ რას აკეთებთ? საიდან გაჩნდით? როგორ შემოხვედით?

ბატისტონი (ლოგინში წამოჯდება დაბნეული) რაო?

ტურნელი რაიმონდა?! რაიმონდა სადღაა? (კარს გამოაღებს კორიდორში გაიხდავს, ეძახის) არავინაა. (ბრუნდება ოთახში, კარს ღიად ტოვებს, საპირფარეშოში შეიხედავს, იძახის) რაიმონდა, რაიმონდა! (საპირფარეშოში გაუჩინარდება)

რაიმონდა (გიჟივით გამოდის მეორე მარჯვენა ოთახიდან) რა მოხდა? სადა ვარ? ღმერთო! (იძახის) ტურნრლ! ტურნელ! (თავისთვის) არა, კმარა! კმარა! ეს სასტუმრო! უნდა გავიქცე... გავიქცე! (კიბესთან მიიჭრება)

როგორც კი რაიმონდა თვალს მოეფარება, რაგბი თავისი ოთახიდან გამოვა.

რაგბი Boy! Boy! (ვერავის ხედავს) Nobody here, nobody! (კიბესთან მივა დაბლა ჩასდახებს) Boy! Boy!

რაიმონდა (კიბეზე გამოჩნდება, აქომინებული სირბილით) ზეცავ! ჩემი ქმარი! ჩემი ქმარი, კიბეზე! (რაგბი ოთახის ღია კარს შეამჩნევს და ოთახში შეაგარდება).

რავბი (ერთხანს დაბნეული შეჰყურებს, მერე სახე უნათდება და უკან გამოუდგება) That's a darling, hurrah (სცენას ნახტომით გადაკვრთს, და ოთახში შეიჭრება და კარს მოხურავს)

პოში (კიბეზე ამოდის) რა სულელი ვარ! ვერმუტს ვერ მივაგენი! არცაა გასაკვირი! გუშინ ხომ ბატისტენს მივეცი! (ეძახის და მარჯვენა მეორე ოთახისაკენ მიემართება) ბატისტენ!

ბატისტენი (საწოლშია ცხვირზე სათვალით გაზეთს ათვალთვლებს) აქეთ ვარ, აქეთ!

პოში (მეორე ოთახის კარს მიადგება) ამას დამიხედე, სად ყოფილა! მითხარი, ბებერო, ჩემი ვერმუტი სად წაიღე?

ბატისტენი გვერდით ოთახშია, კარადაზე.

პოში კეთილი (გადის მეორე ოთახში)

ტურნელი (საპირფარეშო ოთახიდან გამოდის ქუდს აიღებს დადერეფანში გადის) არავინ! კი მაგრამ სად წავიდა?

კიბეზე ასვლას დააპირებს. ამ დროს, რავბის ოთახის კარი გაიღება და რაიმონდა და რავბი ჩხუბით და ჭიდაობით გარეთ გამოდიან. რაიმონდა ცდილობს რავბის შეტევას თავი დააღწიოს.

რავბი Darling, Darling don't go, remain with me.

> ერთად

რაიმონდა შენა! თავი დამანებეთ! თავი დამანებეთ, შე მასხარა!

ტურნელი (უკან ბრუნდება) აი თურმე სად ყოფილა (ამასობაში რაიმონდა ორივე ხელი მუჯღლუგუნს ჰკრავს რავბის, მანძილს დაიხელოებს და მაგარსილას გააწნის სახეში ტურნელი მათ შორის სწორედ იმ დროს აღმოჩნდება რომ რავბისთვის განკუთვნილი მიიღოს ტურნელი ლოყას მოისრესს) კიდეც, კაცო!

რავბი ო, მერსი, მადლობთ!

ტურნელი (რავბის გაკვრით მიესალმება რაიმონდას დაავლებს ხელს და ოთახისკენ ექაჩება) სალამი, ბატონო! (რავბი ბუზღუნით თავისთან შედის, რაიმონდა დაბნეული პაემნის ოთახში შედის ტურნელი უკან მიჰყვება და შესვლისთანავე კარს ხურავს) ო, რაიმონდა, რაიმონდა!

რაიმონდა ჩემო... ძვირფასო მეგობარო, ზედმეტი მომივიდა ჩემო ქმარი...

ტურნელი (ვერაფერი გაუგია) ხო, ხო ქმარი...

რაიმონდა ჩემი ქმარი აქ არის.

ტურნელი (მექანიკურად იმეორებს) ხო, ხო (უცებ გონს მოეგება) რაო? შანდებიზი?

რაიმონდა ჰო, ვიქტორ-ემანუელი. მსახურად გადაცმული. როგორ? რისთვის? არა ვიცი რა. ჩვენს გამოსაჭერად რასაკვირვრლია

ტურნელი (შეშფოთებული) შეუძლებელია, შეუძლებელია.
 ბატისტენი (თავის მოვალეობას ასრულებს) ჩემი სახსრები... ჩემი საცოდავი
 რაიმონდა (შეკვირებს) ახ!
 ტურნელი (შეკრთება) რაო?
 რაიმონდა (ბატისტენზე მიუთითებს) ეს ვინლა არის?
 ტურნელი ვინ, სად? არ ვიცი. ავადმყოფია. საიდან გაჩნდა? აქ რას აკეთებთ?
 ბატისტენი თქვენ არ გამომიძახეთ?
 ტურნელი მე-ე?
 რაიმონდა (საწოლს მიუახლოვდა) მოაშორეთ აქედან, სწრაფად მოაშორეთ აქედან!
 ტურნელი ეხლავე! (ბატისტენს) წადით, წადით ! თავი დაგვანებეთ!
 ბატისტენი თუ გაწუხებთ, ამ ღილაკს დააჭირეთ და გამისტუმრეთ საიდანაც მოვედი
 ტურნელი ასეც მოვიქცევი, ეხლავე, ამ წუთას! (ღილაკს თითს დააჭერს)
 რაიმონდა (ვიდრე საწოლი მოძრაობს) ეს რაღა უბედურებაა. მაყურებლის შემოყვანა იქნებოდა!
 ტურნელი რა ჩემი ბრალია, ძვირფასო. გარწმუნებთ, რომ... (საუბრის დროს ორივე ზურვით დგას საწოლთან, ამასობაში პანო დატრიალდა და ოთახში მეორე ლოგინი შემოაცურა ლოგინზე ბოთლით ხელში პოშიაა მოკალათებული)
 პოში (ბოთლი პირთან აქვს, ეტყობა, სვამდა) ეი, მანდ! რაშია საქმე?
 რაიმონდა (მარჯვნივ გადახტება) ღმერთო!
 ტურნელი (მარცხნივ გადახტება) შანდებიზი!
 რაიმონდა ჩემი ქმარი! დავიღუპე.
 ტურნელი (ლოგინისკენ გაემართება გულხელდაწყობილი მიმართავს პოშს რომელიც ლოგინიდან გაშტერებული ათვალეირებს ორივეს) ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, არ დაუჯერო იმას, რასაც ხედავ.
 რაიმონდა შემინდე, შემინდე! ნუ დამსჯი, ჯერ მომიხმინე!
 პოში (დაბნეული) რაო?
 ტურნელი (სხაპასხუპით. მოძღვენო დიალოგი ძალიან დაძაბული დამაჯერებელი ტონით) ფაქტი სახეზეა, მაგრამ ვფიცავ, დამნაშავენი არა ვართ!
 რაიმონდა ნამდვილად! არ ტყუის; არ ვიცოდით, რომ ერთმანეთს შევხვდებოდით
 ტურნელი წერილის ბრალია ყველაფერი.

რაიმონდა ჰო, წერილის ბრალია. მე, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, მე მოგწერე წერილი იმიტომ, რომ...

ტურნელი აი, აი, ესაა სიმართლე.

რაიმონდა (საწოლთან ჩაიმუხლებს) ო, ბოლოშს გიხდი, მეგონა, რომ ძალაატობდი.

პოში მე?!

რაიმონდა მითხარი, მითხარი, რომ გჯერა ჩემი, რომ ჩემს სიტყვებში ეჭვი არ გეპარება.

პოში რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. (ჩაიციხება თავისთვის) ნეტავ, რა მოუვიდათ?

რაიმონდა (უკან დაიხევს შეშინებული, რადგან პოშის სულელური ჩაიციხება სარკასტულ სიცილად მოეჩვენება, განაგრძობს უფრო მტკიცედ) გემუდარები, ვიქტორ ემანუელ, ასე ნუ იცინი! გულს მტკენს შენი სიცილი.

პოში (რაიმონდას რეპლიკაზე სიცილი გაუწყდება) ჩემი სიცილი?!

რაიმონდა (უახლოვდება) ჰო, ჰო! მივხვდი, მესმის. ჩემი არ გჯერა!

ტურნელი (რაიმონდასავით ლოგინის მეორე კუთხეში ჩაიმუხლებს) არა და სრული ჭეშმარიტება.

რაიმონდა ღმერთო ჩემო, რა ვიღონო, რომ დამიჯერო?

პოში (უცებ წამოდება და ავანსცენსკენ მიიწევს) მომისმინეთ! მაპატიეთ, მაგრამ ეს ვერმუტი მეოთხე ოთახში უნდა მივიტანო (კარისკენ გაიწევს)

რაიმონდა (უკან გაჰყვას, ხელით თავისკენ შემოაბრუნა, ბრძანებით, კატეგორიულად) ვიქტორ- ემანუელ. რა მოგივიდა?

პოში (გაკვირვებული) მე?

ტურნელი (რაიმონდას ეხსტს გაიმეორებს, და, ამჯერად, თავისკენ მოაბრუნებს პოშს) გევედრები, მეგობარო! ასეთ მნიშვნელოვან მომენტში, რა დროს ვერმუტია!

პოში აბა, რა ვქნა? მეოთხე მელოდება. აი, ბოთლიც ხელში მაქვს.

რაიმონდა კმარა, კმარა თამაში! აჰა, აქა ვარ. გამლანძღე, გამლახე, მიყვირე! (ფეხებში ჩაუარდება) ყველაფერი მირჩევნია ამ სასტიკ, უღმობელ სიმშვიდეს.

ტურნელი (რაიმონდასავით ფეხებში უვარდება) მეც აქა ვარ! მეც გამლახე!

პოში (შეჰყურებს თავის ფეხებთან მუხლებზე დამხობილ რაიმონდასა და ტურნელს. ერთი მარჯვნივაა, მეორე მარცხნივ) კი მაგრამ! ესლა მაკლდა! (რაიმონდას მიმართავს) გარწმუნებთ, ქალბატონო, რომ...

რაიმონდა (მწარედ) აი ხომ ხედავ, ხომ ხედავ! შენობით აღარ მომმართავ.

პოში მერე?

რაიმონდა (ხელს წაავლებს, მუდარით) ჰო! მითხარი შენ!
ტურნელი (მეორე მხრიდან იგივე შესტით) უთხარი შენ!
პოში (მუხლზე დაეშვება, რომ მათ გაუთანაბრდეს) მე... მე კი მინდა, მაგრამ... (გადაწყვეტილების მიღებას) მე შენ გარწმუნებ, ქალბატონო...
ტურნელი « ქალბატონოს » გარეშე, კაცო, ნუ აჭარბებ. რაიმონდა-თქო უთხარი.
პოში მაშ კარგი! (ხელახლა იწყებს) გარწმუნებ, რაიმონდა...
რაიმონდა მითხარი, რომ გჯერა ჩემი.
პოში (წინააღმდეგობის გაწევა აღარ უნდა) რა თქმა უნდა, მჯერა შენი.
ტურნელი მადლობა ღმერთს.
რაიმონდა (საკოცნელად გაიწევს) მაშ, მაკოცე! აბა, ერთი მაკოცე!
პოში (ყურებს არ უჯერებს) რა-ა? მე-ე?!
რაიმონდა მაკოცე... თორემ ვიფიქრებ, რომ კიდევ გაბრაზებული ხარ.
პოში კი მინდა, მაგრამ (მუხლებზე დაჩოქილი, მიბრუნდება, სახელოთი ტუჩებს მოიწმენდს, ბოთლით ხელში მოეხვევა და ორივე ლოყაზე კოცნის)
რაიმონდა (გაბრწყინებული სახით) ოჰ!
ტურნელი (დამრიგებლური ტონით) აი ასე! აი ასე!
რაიმონდა (ხელებს დაუკოცნის პოშს) მადლობთ, მადლობთ!
პოში (ტუჩებს ენით მოილოკავს) რა ნაზი კანი აქვს.
ტურნელი (წამოდგება, უკან დაიხევს და გულაჩუყებული) მეც, მეც მაკოცე!
პოში (წამოდგება, რაიმონდაც წამოდგება) შენც?
ტურნელი ჰო, დამიმტკიცე, რომ ჩემიც გჯერა.
პოში კარგი (ტურნელისკენ საკოცნელად გაიწევს) დალახვროს ეშმაკმა. რამსიგრძეა ეს კაცი (ლოგინის ზღურბლზე ადის, რომ ტურნელს მიწვდეს და კოცნის)
ტურნელი (შვებით) რა კარგია!
პოში აბა. განსაკუთრებით ქალბატონის...
ტურნელი ქალბატონისო...
პოში (კარისკენ მიიწევს) ახლა კი... მეოთხეში ვერმუტს წავიღებ.
რაიმონდა კიდევ?
ტურნელი (შეაჩერებს და უკან მოაბრუნებს) მოიცა ერთი. რა ღროს ხუმრობაა!
რაიმონდა (სახელოზე ჩემოქაჩავს) ხარ თუ არა ჩემი ქმარი?
პოში მე-ე? არა! სასტუმროს მსახური ვარ.
ტურნელი (გაკვირვებული, უკან დაიხევს) რაო?
რაიმონდა (ასვე) ღმერთო ჩემო. ვიქტორ-ემანუელ! აზრები ერევა.

პოში არაფერიც. გააჩნია როგორ განსჯით, ჯერ ერთი, მე პოში მქვია. თუ ჩემი არ გჯერათ, ბატისტენს შეეკითხეთ. (საწოლისკენ მიდის)

რაიმონდა (ავრეთვე საწოლისკენ გადაინაცვლებს) ბატისტენს?

პოში მოხუც ავადმყოფს. მოიცათ (ლილაკს თითს აჭერს. ოთახში მეორე ლოგინი შემოცურდება, ბატისტენი ისევ ლოგინში წევს).

ბატისტენი ჩემი რევემატიზმი... ჩემი საწყ...

პოში მოიცა ერთი, სხვა რამე მაინტერესებს. თქვი ერთი, მე ვინა ვარ?

ბატისტენი როგორ თუ ვინა ხარ? აღარ იცი ვინა ხარ?

პოში მე კი ვიცი მაგრამ აი, ქალბატონმა არ იცის.

რაიმონდა (ტურნელს წინ გაუვლის და 3 პოზიციაში დადგება) პო, პო, ვინ არის ეს ბატონი?

ბატისტენი ეს ხომ პოშია.!

რაიმონდა და ტურნელი (გაოცებულაგან უკან დაიხევენ) პოშიო?!

ბატისტენი სასტუმროს მსახური.

პოში აი, აბა მე რას ვამბობდი?

რაიმონდა (აღარაფერი ესმის) მაგრამ... ეს როგორ იქნება?

ფერაიონი (ზედა კიბეზე ჩამოდის, იძახის) პოშ, პოშ!

ტურნელი ასეთი მსგავსება! არა, შეუძლებელია! ჩაწყობილია ყველაფერი.

ფერაიონი (იძახის) პოშ, ეი, პოშ!

პოში (ოთახიდან პასუხობს) უფროსო! (იქ მყოფთ) მაპატიეთ, პატრონი მეძახის.

რაიმონდა (გასვლისას ხელს წაავლებს, შემოატრიალებს, პირველი გადის ოთახიდან) პატრონო! ძალიან კარგი! ახლავე გავიგებთ ყველაფერს.

ტურნელი (ასევე წაავლებს ხელს პოშს, კიდევ ერთხელ დააბზრიალებს, რაიმონდას უკან გაყვება) გამატარეთ, გამეცალეთ (რაიმონდას მისდევს ფეხდაფეხ)

რაიმონდა (ფერაიონს) ბატონო, ბატონო!

ფერაიონი ქალბატონო?

რაიმონდა უმორჩილესად გთხოვთ, გვითხრათ, ვინ არის ეს კაცი? (უჩვენებს პოშს, რომელიც ოთახიდან გამოდის)

ტურნელი დიახ, გვითხარით.

ფერაიონი (გაიხედავს სადაც მიუთითეს) პოშია!

პოში (რაიმონდას და ტურნელს) აჰა!

რაიმონდა და ტურნელი (ერთმანეთს გამტერებული შეაჩერდებიან) პოში?!

ფერაიონი (პოშს შეუტევს) პოში! აქ! ბოთლით ხელში! (მარჯვენა ხელს წაავლებს და ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან წიხლებს ჩააზელს გვერდებში. პოში ბზრიალასავით დატრიალდება ფერაიონის ირგვლივ.

ბოლო ძლიერი დარტყმა მას ძველ ადგილას მოისროლებს. ფერაიონი ცემისას პოში ლანძღავს, ყოველი წიხლი ახალ-ახალ ეპიტეთს ერთმება) ცხოველი! (დარტყმა), პირუტყვი! (დარტყმა), ლოთი! (ყოველ დარტყმაზე გაკავებული პოში, ჰაერში ხტება შეძახილით « ოჰ! »; ყოველ დარტყმაზე ერთმანეთს ჩაკრული ტურნელი და რაიმონდა თითქოს კონტრდარტყმას იღებენო, კრთებიან და პოშთან ერთად იმეორებენ « ოჰ! ოჰ! ») პოში (როგორც კი ფერაიონი ხელს მოადუნებს, ტურნელსა და რაიმონდას მოუბრუნდება) ია, ხედავთ, ხომ გეუბნებოდით.

ფერაიონი (ხელიდან ბოთლს გამოგლეჯს) კიდეც, აღარ უნდა შეეშვა ამას...

ტურნელი, რაიმონდა ო, ო!

პოში მეოთხე ოთახში მიმქონდა, ბატონო.

ფერაიონი (ცემას ანახლებს) მე შენგიჩვენებ მეოთხე ოთახს! (ცემას განაგრძობს) ესეც შენ, ესეც შენ და ესეც შენ!

პოში უფროსო.

ფერაიონი (კიბისკენ მოისვრის) აქედან გამეცალე, თორემ...

პოში (მიდის) დიახ, ბატონო (კიბესთან მოსული ტურნელსა და რაიმონდას მოუბრუნდება) ხომ გეუბნებოდით! (კიბეზე ჩადის)

ფერაიონი (იქ მყოფთ) ბოლიშს გიხდით ბატონებო, ჩვენი სასტუმროს მსახური, ნამდვილი ლოთი (მარცხენა მხრიდან გადის რაიმონდა და ტურნელი სრულიად გაოგნებული, თვალებ გაშტერებული და პირდაღებული ადგილიდან არ იძვრიან).

რაიმონდა (ცოტა ხნის შემდეგ, თავის ქნევით) მსახური! სასტუმროს მსახური იყო!

ტურნელი (კონსოლზე დაყრდნობილი, უეცრად გონს მოდის) რაიმონდა!

რაიმონდა რა მოხდა?

ტურნელი სასტუმროს მსახურს ვაკოცეთ.

რაიმონდა ვიცი, კარგად ვიცი, ახლა არ გითხარით?

ტურნელი ვერ გავიგე. გაოგნებული ვარ. ასეთი მსგავსება! შეუძლებელია!

რაიმონდა არა და ფაქტი სახეზეა და უნდა ვაღიაროთ! ჩემი თვალით რომ არ მენახა, როგორ გატყდა სასტუმროს პატრონმა, ალბათ, კიდეც ეჭვი შემეპარებოდა. ჩემს დასასჯელადაც კი ვერ აიტანდა ვიქტორ-ემანუელი ასეთ დარტყმებს...

ტურნელი (ცივად) ზურგში.

რაიმონდა ჰო, ზურგში.

ტურნელი ცხადია.

რაიმონდა (ღონე მიხდილი, სკამზე დაეშვება) ჩემო კარგო! ამდენი ნერვიულობა! პირი გამიშრა. წყალი, ღვთის გულისათვის, ცოტა წყალი დამალევინეთ.

ტურნელი (ჯერ კიდევ გაოცებული, მექანიკურად ჯიბეებში ეძებს) წყალი? წყალი?

რაიმონდა ჰო, მაგრამ ჯიბეში არ გექნებათ.

ტურნელი რა თქმა უნდა! წყალი? სად იქნება წყალი?

რაიმონდა (წამოდგება) ალბათ ოთახში.

ტურნელი (აჩქარებით შედის ოთახში) წყალი! წყალი (ბატისტენს) სად არის წყალი?

ბატისტენი (გაზეთის კითხვას თავს ანებებს) საპირფარეოში, სად უნდა იყოს!

ტურნელი მადლობთ (შედის საპირფარეოში).

რაიმონდა (საბრალო ხმით მიმართავს ბატისტენს, მაგრამ ისე ჩაუვლის გვერდით, რომ პასუხსაც არ დაელოდება) ვინ წარმოიდგენდა, არა? სასტუმროს მსახური იქნება!

ბატისტენი (რალაც უნდა უპასუხოს...) ცხოვრებაში... რა არ ხდება!..

რაიმონდა ფანჯარასთან მივა, გამოაღებს, სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავს. ბატისტენი, ჩაფიქრებული კითხვას განავრძობს.

სცენა VIII

იგივენი, პოში, ჟენი, შემდეგ კამილი და ანტუანეტა.

წინა სცენის ბოლო რეპლიკების დროს ქვედა სართულიდან, კიბით ზურგზე შეშამოდებული, წელში მოხრილი პოში ამოდის. ზემოთ ამოსულს შეკვირიდან ერთი ჯირკი გადმოუვარდება და ძირს დაეცემა.

პოში (ჟენის, რომელიც ამ დროს ზედასართულებიდან კიბით ჩამოდის დერეფანში) ჟენი, ერთი ეს ჯირკი მომაწოდე.

ჟენი სიამოვნებით.

ჯირკს აიღებს, შეკვრაზე შემოდებს და გაასწორებს. პოში მაყურებლისკენ ზურგ შექცევით ზემოთ მიმავალი კიბის პირველ საფეხურზე დგას. ამასობაში რაიმონდა ფანჯარას ხურავს სიყვებით:

რაიმონდა ნეტავ ერთი, ტურნელი რალას აკეთებს? სად არის აქამდე/? (საპირფარეოსთან მიდის) ჩემი წყალი?! (საპირფარეოში შედის).

კამილი (მხიარულად, უდარდელად ამოდის კიბეზე, ანტუანეტა ხელჩაკიდებული მოჰყავს. ორივენი პირდაპირ ავანსცენაზე ამოდიან. ვერცხლის ხიდის წყალობით ნათლად და ძალიან გასაგებად მეტყველებს) მოდი, მოდი, პატარა! მოდი, ჩემო წიწილა! დანაშაულის დროც დადგა! აბა, რა ტკბილად მოვესიყვარულებით ჩვენს ბუთხუზა კამილს! მოდი. ჩვენი ოთახი შეკვეთილია...

პოში (ჩამოდის ახლადმოსულებს შეამჩნევს და მათ შორის აღმოჩნდება) რას ინებებთ, ბატონო?

კამილი ჩემთვის ო... (პოშს შეხედავს, მოულოდნელობისაგან შეხტება, რადგან პოში მანდებიზში აერევა) ვიქტორ-ემანუელ! (ქუსლებით 180° შეტრიალდება და მარჯვნივ, მესამე პლანზე ძღებარე ოთახში შეაფარებს თავს).

ანტუანეტა (იგივე ემართება რაც კამილს) ბატონი! (შეშინებული რაგბის ოთახში შედის).

პოში (ზემოთ ბრუნდება) რა დაემართა ამ ხალხს დღეს. ყველა ვიქტორ-ემანუელს მეძახის.

კიბით ზედა სართულზე ადის. ამასობაში მარცხნიდან ჟენი შემოდის სცენაზე რაიმონდაც გამოდის საპირპარეშოდან მას უკან ტურნელი მოსდევს.

ტურნელი (2, რაიმონდას მიმართავს) უკეთა ხართ?

რაიმონდა არა, ხო, აღარ ვიცი... ეს ნერვიულობა... ისე სუსტად, ისე სუსტად ვგრძნობ თავს ლამის გული წამივიდეს.

ტურნელი (რაიმონდას მიეჭრება) არა, ეს არ ქნათ! არა!

რაიმონდა რა ვქნა ჩემო კარგო, სიამოვნებისგან კი არ მიმდის გული.

ტურნელი მართალია, მაგრამ თავი შეიკავეთ; ცოტა მიწეკეთ, მოისვენეთ, ცოტა... აქეთ მოდი! ლოგინზე წამოწეკეთ. (ნაზად, სვენებ-სვენებით და ძალიან ფრთხილად საწოლისკენ მიჰყავს).

რაიმონდა (საბრალო ხმით, მიჰყვება) ჰო, უარს ვერ ვიტყვი. (ლოგინზე დაეშვება და მოულოდნელობისგან შეჰყვირებს, რადგან ბატისტენი ისევ ლოგინში წევს).

რაიმონდა, ბატისტენი ოჰ! (რაიმონდა წამოხტება და მარჯვნივ გადაინაცვლებს)

ტურნელი რაშია საქმე? (ბატისტენს) უფ, ისევ აქა ხართ? თქვენ რა სულ აქა ხართ?

ბატისტენი (წამოდგება) თქვენ მომიყვენეთ და რა ვქნა.

რაიმონდა (ნერვიულად, საწოლის შორიახლო შეჩერდება) კმარა! უკვე ზედმეტი მოგვდის. გაუშვით, ჩემო კარგო, გაუშვით ნულარ ეკამათებით.

ტურნელი (რაიმონდას) ეხლავე. (ბატისტენს) აბა, დაბრუნდით თქვენს
ოთახში (ლილაკზე თითს აჭერს)

რაიმონდა (ლოგინითან დგას. მოტრიალე პანოს არსებობა ავიწყდება და
აღშფოთებული მიმართავს ბატისტენს) ასე ხალისით ოთახების გადავსება
აბა როგორ შეიძლება! (უცებ შეჰყვირებს, როდემან ტურნელის მიერ
მოქმედებაში მოყვნილი პანო, ტრიალებდა და რაიმონდასაც თან
გაიყოლიებს) ვაი!

ტურნელი (ხელს დაავლებს) ეი, მანდ, ეი!

კამილი (ლოგინს შიშისაგან მიჯაჭვული და ხელებჩაჭიდებული) ეი, ვაი,
ვაი, ეი! (დაინახავს ტურნელს და რაიმონდას) უი!

ტურნელი და რაიმონდა (ყვირილზე შემობრუნდებიან,
მოულოდნელობისაგან უკან ისკუპებენ) კამილი!! (გიჟებივით გარბიან
ოთახიდან)

კამილი (ყვირის) ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ. ლოგინი მოტრიალდა.

რაიმონდა (გაქცევისას) ის არ უნდა იყოს. ლაპარაკობს!

კამილი (ლოგინიდან გადმოდის) ლოგინი მოტრიალდა, ლოგინი.

რაიმონდა (როგორც იქნა ქვემოთ ჩასასვლელ კიბეს მიაღწია) ო, აღარ
შემიძლია. წავიდეთ, წავიდეთ აქედან!

ტურნელი ჰო, ჰო, წავიდეთ.

კიბეზე გაუჩინარდებიან.

კამილი ტურნელი და რაიმონდა აქ! რატომ? თუ მიცნეს, დავიღუპე.
(გადის დერეფანში და ფრთხილად ხურავს კარს) ანტუანეტა?! ის რაღას
აკეთებს? (პირდაპირ რაგბის ოთახში შედის) ანრუანეტ! (გაოცების
შეძახილი) ერთი ამათ დამიხედეთ!

იმ წამს, რაგბის ოთახში აყალ-მყალი ატყდება. ისმის ხმები,
რაგბის, კამილის, ანტუანეტასი. იმსხვრევა ჭიქები, ილეწება ავეჯი.
ხმაური ისმის მომდევნო სცენის დროს.

რაიმონდა (გიჟივით შემოვარდება, უკან ტურნელი მოსდევს) ეტიენი!
ეტიენი-ლა მაკლდა!

ტურნელი (ფეხდაფეხ მოსდევს რაიმონდას) თქვენი მსახური. ღმერთო, რა
ხდება! რა ამბავია!

ორივე მარცხნივ დერეფანში გაიქცევიან. ამასობაში ხმაური
ძლიერდება. კარი იღება და კამილი მოსროლილი ქვასავით, ვარდება
სცენის შუაგულში. რაგბიც გამოჩნდება მის კვალდაკვალ.

რაგბი Get away, get...

კამილი (სულს ძლივს ითქვამს) მაგრამ...

რაგბი (ზურგი მაყურებლისკენ, კამილს დაჰყურებს) God damn. (ბუშტს
მოუღერებს სახეში)

კამილი ვაი! (კიდევ ერთი დარტყმა და კამილს ხიდი უვარდება პირიდან, ალაპარაკდება ისევე როგორც პირველმოქმედებაში) ჩემი ხიდი! ჩემი ხიდი დაიკარგა (დაიხრება ხიდის მოსაძებნად.)

რაგბი (ზურგში ხელს წაავლებს, ასწევს და მესამე პლანზე მარჯვენა ოთახში შეათრევს) But get away, I say! But get away, I say. (გაეთრიე აქედან)

კამილი (რაგბის ხელებში მოქცეული) ჩემი ხიდი მინდა, ჩემი ხიდი.

რაგბი (ოთახში შეავდებს როგორც ტომარას) Here you are! (ბიჭოს). (სცენა გადაკვეთს, ოთახისკენ მიემართება) Have you ever seen somebody with such cheek? (გაგივიათ სადმე ასეთი პირის პატრონი) (შელის თავის ოთახში) It's me, my darling! (ეს მე ვარ, ძვირფასო).

კარი იხურება. როგორც კი რაგბი ოთახში შევა, სცენაზე ეტიენი შემოდის.

სცენა IX

ეტიენი, შემდგავ აენი

ეტიენი (ავანსცენაზე გამოდის) არავინაა ამ სასტუმროში? (უცებ იატაკზე დაგდებულ კამილის ხიდს შეამჩნევს) შეხე, ვერცხლეული (აიღებს) უიმე, სველია.

აენი (მარცხენიდან შემოდის, ზედა სართულზე მიმავალი კიბესთან შეჩერდება) რა გნებავთ ბატონო?

ეტიენი ქალიშვილო! უპირველეს ყოვლისა, აი, ხელოვნების ნიმუში, რომლის დანიშნულებაა ვერ გამოგია, მაგრამ იატაკზე ეგდო და ავიღე (გადასცემს კამილის ხიდს)

აენი (ათვალიერებს) რა უცნაური რამაა. ალბათ, ძველებური სამკაულია. (საყელოზე მიიღებს ხიდს როგორც გულსაბნევს და ეტინს უჩვენებს. ამასობაში ოთახიდან კამილი გამოდის დახრილი, წინ მიიწევს და თავის ხიდს დაეძებს)

კამილი ჩემი ხიდის მოძებნა მინდა. (ასე თავდახრილი ეტინის ფეხებთან ჩერდება, თავს წამოწევს, ეტინს იცნობს და წელში, მუხლებში

წახრილი, სულ დაპატარავებული უკან გაბრუნდება, თითმის გარბის).
ღმერთო, ეტიენი! (მესამე პლანზე, მარჯვნივ ოთახში შექვრება)

ჟენი (ისევე როგორც ეტიენს, კამილის მანევრები არ შეუმჩნევია)
კლიენტს დაეკარგებოდა. მიმღებში დავტოვებ.

ეტიენი ასე მოიქეცით. ეხლა კი მითხარით. ვინმე ქალი ხომ არ მოსულა
და ბატონი შანდების სახელით ოთახი ხომ არ მოუკითხავს?

ჟენი მოვიდა!

ეტიენი სად არის ის ქალი?...

ჟენი ბატონო, უფლება არ მაქვს!

ეტიენი კარგი ერთი! აუცილებლად უნდა ვნახო. მისი ქმარი შეიძლება
ახლა მოვიდეს, ამ წუთში, ისეთი გიჟია, რომ მოკლავს.

ჟენი (შეშინებული) ღმერთო ჩემო!

ეტიენი აუცილებლად უნდა გავაფრთხილო

ჟენი თუ ასეა... აი, იმ ოთახში შესულს მოკვარი თვალი. (რაგბის
ოთახზე მიუთითებს)

ეტიენი (გვერდით ჩაუვლის, მითითებულ კარს მიადგება) ძალიან კარგი!
(აკაკუნებს)

რაგბის ხმა Come-in (მობრძანდით)

ეტიენი (ოთახში შედის) ბოდიშს გიხდით, ბატონო.

ოთახიდან ანტუანეტისა და რაგბის შეკივლება გაისმის « – ვაი! »

ეტიენის ხმა ჩემი ცოლი! (ოთახში იმ წამს გაისმის ჩოჩქოლი, ყვირილი,
ხმაური, ჩხუბი.)

ჟენი (უკვე კიბეზე აღიოდა, ჩხუბის ხმაური დააბრუნებს) რაშია საქმე?

ამ დროს ოთახიდან შეშფოთებული ანტუანეტა გამოვარდება. თმა
აჩეჩილი აქვს, მხრები და ხელები გაშიშვლებული, ხელში ქუდი და
კორსაჟი უჭირავს. ჩაცმა ვერ მოუსწრია.

ანტუანეტა (დაბნეული, კიბეს მივარდება) ეტიენი აქ არის! მიშველეთ,
მიშველეთ!

ორიოდ წამი აურზაური კიდევ გრძელდება, ეტიენი გამოვარდება და
თავის ცოლს დაედევნება. ანტუანეტამ უკვე ჩაირბინა კიბე.

ეტიენი გააჩერეთ, დააკავეთ!

რაგბი (ეტიენს დაეწევა მარჯვენა ხელს მარცხენა ხელზე წაავლებს
უხეშად შემოაბრუნებს სცენის კედელს გააკრავს) You, bloody fool!

ეტიენი (კედელს მიენარცხება) ვაი მე!

ჟენი (ეჭოსავით იბეორებს) ვაი მე!

რაგბი Here you are!

ეტიენი ხელი გამიშვი!

რაგბი (ხელს გაუშვებს და ოთახში შედის) And now, get away.
(ბრუნდება)

ეტენი ეს უკვე ზედმეტია. თავზე რქები დამადგეს და აქეთ მცემენ.

ჟენი ჩემთვის მაინც გეთქვათ, რომ ქმარი თქვენ იყავით.

ეტენი მე რა ვიცოდი? ამას როგორ წარმოვიდგენდი (ჟენი მხრებს აიჩეჩავს და კიბეზე ადის. კიბეზე ჩამომავალი პოში გამოჩნდება. ხელში ცარიელი შემის კაუჭი უჭირავს) არა, ვერ დავიჯერებ მე - რქიანი! მე... უნამუსო! დამაცადე, ცოტა დამაცადე! (კიბისკენ გაეჭანება, კიბესთან ჟენი და პოში საუბრობენ. პოშის დანახვაზე გაშეშდება) უი, ბატონი!

პოში (ენის ბორძიკით) როგორ?

ეტენი ბატონო, ჩემო ბატონო! მე რქები დამადგეს!

პოში (მხიარულად) რას ამბობ?

ეტენი (რაგბის ოთახზე მიუთითებს) აბა, აი იქ. ინგლისელმა!

პოში ა-ა ნოუბოდიქოლმა.

ეტენი არ ვიცი, სახელი არ უთქვამს. ვინაიდან თქვენ აქ ბრძანდებით, მე წავალ. ბატონს აღარ დავჭირდები. თუ ნებას მომცემთ... იმ უსინდისოს უნდა დავეწიო, უნდა დავიჭირო და მერე! თუ შეიძლება, ბატონო.

პოში (კეთილი ბავშვით) წადით წადით! აბა რა!

ეტენი მადლობთ ბატონო! ის უსინდისო! ის უსირცხვილო! (კიბეზე დაეშვება ცოლის დასაჭერად)

პოში (სცენის შუაგულისკენ წამოვა, ჟენი მიყვება) ვერ გავიგე, დღეს რა დატრიალდა, მაგრამ ისე მეჩვენება, თითქოს ყველას პროპელერი უფრიალებს ერთ ადგილას.

ლუსიენას ხმა გარედან ცოტა ფრთხილად, თუ შეიძლება. (ისძის ზარის ხმა.)

ჟენი (დაფას შეხედავს) ვილაც ქუჩიდან რეკავს. ნახეთ ერთი ვინ არის!

პოში (ჟენის წინ ჩაუვლის, დერეფნისკენ მიდის) ვნახოთ, ვნახოთ!
(გაქრება).

სცენა X

ჟენი, ლუსიენი, მერე კამილი, მერე შანდებიზი.

ლუსიენა (ამოდის, მაგრამ უკან-უკან კიბეზე იყურება) არა, არ ვცდები, ეტენი იყო, შანდებიზების მსახური!

ჟენი რა გნებავთ, ქალბატონო?

ლუსიენა (*ჟენისტან მოდის*) ერთი მითხარით, ის კაცი, კიბეზე რომ კინალამ დამაგორა, შანდებიზების მსახური ხომ არ იყო?

ჟენი შესაძლოა, ქალბატონო. ბატონი შანდებიზის სახელზე დაჯავშნული ოთახი მოიკითხა. ვერაფერი გაიგე. უცნაური ამბავია. მოვიდა ვილაც ქალის გასაფრთხილებლად. თითქოს იმ ქალის ქმარს ყველაფერი გაეგო და აქეთ მიემართებოდა. მაგრამ როგორც კი ოთახში შევიდა და ქალი ნახა, პრუმც! ქალი მისი ცოლი არ აღმოჩნდა. ნამდვილი რებუსია

ლუსიენა აბა, რას ამბობთ?! დომხალივით არეული ისტორიაა.

ჟენი ვყვები იმას, ქალბატონო, რაც ვნახე.

ლუსიენა კარგი, დავუშვათ, რომ ასეა. ერთი მითხარით, რომელი ოთახია ბატონი შანდებიზის სახელზე.

ჟენი (*მარჯვენა ოთახს მიუთითებს*) ოთ...? აი ეს, ეს ოთახია!

ლუსიენა წავედი.

ჟენი თქვენი ნებაა, ქალბატონო. ნაბრძანები მაქვს ოთახში შეუშვა ის, ვინც მას შანდებიზის სახელით მოითხოვს. (*კიბეს აუყვება ზედა სართულზე*).

ლუსიენა მადლობთ. (*კარზე აკაკუნებს. ჟენი გადის*).

კამილი (*ოთახიდან გამოდის, ისევ თავის ხიდს დაეძებს*) ჩემი ხიდის მონახვა უნდა მოვახერხო. (*სცენას მოივლის, ლუსიენას უახლოვდება*)

ლუსიენა (*კართან დგას აკაკუნებს, იცდის*) არავინაა?! (*აკაკუნებს*)

კამილი (*ლუსიენას მახლობლად შედგება, თავს აწევს, რომ შეხედოს ვინ დგას მის წინ. ჩახლეჩილი ხმით*) ქალბატონი დე ისტანგუა! კმარა! ეს სასტუმრო; კმარა! (*იქაურობას გაეცლება და კიბით გასასვლელისაკენ გარბის*)

ლუსიენა (*ოთახის კარს შეაღებს და ლაპარაკ-ლაპარაკით შევა*) არავინაა! რა ვქნა. რაიმონდამ მითხრა « ჩემს ქმარს ხუთი საათიდან ექვსის ათ წუთამდე გამოვიჭერ სასტუმროშიო. ექვსის ნახევარზე ყველაფერი დამთავრებული იქნება და ამ დროისთვის მოდიო » ნუთუ ვერ გაიგო ჩემი კაკუნი? ვნახოთ ერთი აქ რა ხდება (*საპირფარეშოში შეიხედავს იქაურობას მოათვალიერებს*)

კამილი (*შეშლილი სახით ამოირბენს, სცენას ნახევარ წრით შემოუვლის, იქით-აქეთ მიმოიხედავს და გაუჩერებლივ მარჯვენა მესამე ოთახში შეიჭრება*) ვიქტორ-ემანუელ! ესევ ვიქტორ-ემანუელი (*ოთახში შეიკეტება*)

ლუსიენა (*კორიდორში გამოდის, ავანსცენამდე მივა მიმოიხედავს*) უცნაურია. მით უარესი, აქაურობას გავეცლები. (*მობრუნდება, კიბისკენ გაემართება ჩასასვლელკადა*).

შანდებიზი (*ამოდის, იგივე ტანსაცმელი რაც წინა მოქმედებაში. კოსტუმი, მუქი ნაცრისფერი ჟილეტი, თეთრი პერანგი, მაღალი საყელო. ფეხზე*

თეთრი-შავით ფეხსაცმელები აცვია) ვის მივმართო, არავინაა! (ლუსიენას ამჩნევს) თქვენ?

ლუსიენა ბატონო შანდებიზ!

შანდებიზი (ხელს წაავლებს და სასწრაფოდ ავანსცენისკენ მიიყვანს). როგორც იქნა მოგნახეთ!

ლუსიენა (დაბნეული) რაშია საქმე?

შანდებიზი ეტიენი თუ ნახეთ? ჩემი მსახური.

ლუსიენა რატომ?

შანდებიზი (სიტყვების ყლაპვით, სხაპა-სხუპით) დეპემა გამოვავზავნე, რომ თვითონ ვერ მოვიდოდი, ბანკეტი მქონდა და არ შემეძლო. მერე გამახსენდა, რომ... რომ ბანკეტი ხვალ მაქვს და არა დღეს. ჰოდა, გამოვიქეცი რომ გაგაფრთხილოთ...

ლუსიენა რას, რას მაფრთხილებთ?

შანდებიზი (ტონს ცვლის) საწყალი ბავშვი, რა სიგიჟეა... ჩემი სიყვერული, ჩემი...!

ლუსიენა (უკან იხევს) რას ამბობთ?

შანდებიზი (ტონით, რომელიც სიტყვის ჩართვის საშუალებასაც არ ტოვებს) მე ყველაფერი ვიცი. ყველაფერი! სახელი რატომ არ დაწერეთ, ხელი რატომ არ მოაწერეთ ხელი თქვენს წერილს?

ლუსიენა (უფრო დაბნეული) ჩემს წერილს?

შანდებიზი რომელიც მომწერეთ, რათა პაემანი დაგენიშნათ.

ლუსიენა (ძიხვდა) გასაგებია. (ტონს იცვლის) რატომ ფიქრობთ, რომ წერილი მე დავწერე?

შანდებიზი არ ვიცოდი ვისი იყო და ... და თქვენს ქმარს ვაჩვენე.

ლუსიენა (უკან გაიწევა, გადახტება) არა!

შანდებიზი თქვენი ხელწერა იცნო!

ლუსიენა რას ამბობთ!

შანდებიზი თქვენი მიკვლა აქვს განზრახული.

ლუსიენა კარამბა. ახლა სად არის?

შანდებიზი უკან მომდევდა!

ლუსიენა მოგდევდაო?! და თქვენ აქ აყოვნებთ?! გავიქცეთ, გავიქცეთ (ცდილობს გაიქცეს).

შანდებიზი (ძიხვდევს) ო, სიყვარულის სიგიჟე! ო, სიყვარულო!

გიჟებით დაეშვებიან კიბეზე. ამ დროს მარცხენა კო რიდორში ოლიმპია გამოჩნდება.

ოლიმპია (ეძახის) ჟენი, ჟენი! სად დაიკარგა ის გოგო?

ქვემოთ ჩამავალი კიბის მარჯვენა მხარეს დგას და ქვევით იყურება.

სცენა XI

ოლიმპია, მერე შანდებიზი, ლუსიენა, მერე რაიმონდა, ტურნელი, ბოლოს ისტანგუა.

შანდებიზი (*შეშლილივით ამორბის კიბეზე. უკან რაიმონდა მოსდევს. ასევე შეშლილი სახით*) ის არის! ისტანგუა მოვიდა! თავს უშველეთ!

ლუსიენა ჩემი ქმარი, დავიღუპე!

ოლიმპია რა ხდება?

შანდებიზი (*ოლიმპიას შეეფეთება, ხელით მოიშორებს, ოლიმპია ლუსიენას მიენარცხება*) გამატარეთ!

ლუსიენა (*ასევე მოატრიალებს ოლიმპიას და მეორე მხარეს უბიძგებს*) გაიარეთ, წადით აქედან!

ლუსიენა მარჯვენა ოთახში შევარდება და საპირფარეშოში დაიმალება. შანდებიზი რაგბის ოთახში შერბის.

ოლიმპია ქალბატონო...

რაიმონდა (*დერეფანში გამოჩნდება, უკან ტურნელი მოსდევს, სახეზე ჰიბადე აქვს ჩამოფარებული*) გავეცალოთ აქაურობას! აქედან რომ გავაღწევ, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები. (*ოლიმპიას შეეფეთება*). გამეცალოთ, გამატარეთ (*ხელით გაწევს, გზას ითავისუფლებს*)

ოლიმპია ვაი!

ტურნელი წავიდეთ, წავიდეთ! (*ოლიმპიას შეეფეთება, ისევე ხელით მოატრიალებს*) გამეცალოთ აქედან!

ორივე კიბეზე ჩაირბენს.

ოლიმპია (*დაბნეული*) რა ხდება? რა ამბავია?

ისტანგუას ხმა (*ქვემოდან ისმის*) სად არიან მისერაბილე - უბედურები, მით მოვკლავ, დავახნობ.

რაიმონდასა და ტურინელის შეკივლება

ოლიმპია (*კიბეს უახლოვდება, ქვევით იცქირება*) რა ხდება? რა ამბავია?

რაიმონდა (*შეშინებული ამორბის*) ჰომენიდეს დე ინსტენგუა (*ოლიმპიას შეეფეთება*) ო-ო! გემეცალოთ (*ხელით დააბზრიალებს*)

ოლიმპია ვაი, ვაი!

ტურნელი (*ასევე შეშფოთებული*) პიჟონი! ავანტიურუსტი! (*ოლიმპიას ეფეთება, ახლა მეორე მხარეს შეატრიალებს, თავიდან იშორებს*) სულ აქ უნდა იყო?

მარცხენა ღერეფნით გარბიან.
ოლიმპია (ქოშინით) ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!
ისტანგუა (ველურივით შემოიჭრება, რევოლვერით ხელში) ტურნელი! და
ვინმე ქალი ვუაღეტი! ის არის! ჩემი მმუხერ! ცოლი! მისერაბილე!
(გაქცეულებს დაედევნება)
ოლიმპია (შეშინებული წინ გადაელობება) სად მიდიხართ, ბატონო?!
პომენიდესი (ბზრიალასავით ატრიალებს) მით მოკლავს ორივე.
გამშორდით (კორიდორისკენ გაქანდება)
ოლიმპია მოკვლავო! ღმერთო! მიშველეთ, მიშველეთ! გვიშველეთ!..

სცენა XII

ოლიმპია, ფერაიონი, ჟენი, მერე შენდებიზი და რაგბი

ფერაიონი (3. ზემოდან კიბეზე სირბილით, ჟენი მას მოსდევს) რა მოხდა?
რახმაურია აქ?

ოლიმპია (აქოშინებული) ო, ფერაიონ! გიჟი, გიჟი, რომელსაც ყველას
მოკვლა უნდა!

ფერაიონი (შემცბარი) რაო?

ოლიმპია (ჟენის გულწასული ჩაესვენება ხელებში) აჰ, ვაი, ვააი!..

ჟენი (საშველად მოუხმობს) ბატონო! ბატონო!

ფერაიონი (მოირბენს ოლიმპიასმორე მხრიდან ამოუდგება) კარგი! ხელი
მოკიდეთ და იქ შეიყვანეთ. (მიუთითებს მაყურებლის წინ მდებარე ოთახს
ქალებს ოთახამდე მოაცილებს) ასუნთქეთ მარილები, ასუნთქეთ!

ჟენი (ოლიმპია მიჰყავს) დიას, ბატონო!

ფერაიონი ჟენისა და ოლიმპიას ოთახში შეიყვანს, თვითონ გამოდის
და კარს ხურავს, ამასობაში აყალმაყალი ძლიერდება. მოისმის
ინგლისელი შეძახილი: „get out of my sight” და შანდებიზის პასუხი: „არ
შემიძლია, არ შემიძლია. ის ვაჟბატონი აქ არის! ის შემლილი აქ არის!”

ფერაიონი (ხმაურს ყურს მიუგდებს) ეს რა აურზაურია ინგლისელთან! იქ
რალა ხდება?

უეცრად კარი იღება და ერთმანეთს ჩაჭიდებული შანდებიზი და
რაგბი გამოჩნდებიან. შანდებიზი კარებს ებლაუჭება, ინგლისელი ზურგში
აწვება, ცდილობს ხელი გააშვებოს კარს და გაავდოს.

რაგბი (ებრძვის შინდებიზს) Will you leave my door! (ორჯერ)

შინდებიზი (მთელი ძალით ეწინააღმდეგება) გამეშვით! თავი დამანებეთ!
ფერაიონი (ჩაერევა) რა ხდება მანდ?

ამასობაში რაგბიმ დრო იხელთა, შინდებიზს კარის კიდეზე ხელი გააშვებია და ზლიერი ბიძკით მარცხნივ მოისროლა. ფერაიონმა, რომელიც სწორედ მარცხენა კუთხიდან უყურებდა სეირს, შინდებიზს ხელი წაავლო, ლაზათიანად უბიძგა და ტრიალ-ტრიალით მარჯვნივ მდებარე სკამისკენ მოისროლა. შინდებიზი სკამზე მოჯდა.

შინდებიზი (სკამზე დაენარცხება, რაგბი ლანძღვით თავის ოთახში შედის) ეი, თქვენ, რას მერჩით!

ფერაიონი (№1 შინდებიზის დანახვისას უკან დაიხვეს) პოში! ისევ პოში!
შინდებიზი (№2 წამოდგება და ფერაიონის წინ დადგება) რაო, რას ამბობთ?

ფერაიონი (მარცხენა ხელს მარცხენა სახელოში წაავლებს და სადაც ჯერ არს წიხლებს ჩააშელს. ყოველ დარტყმაზე ილანძღება) მაწანწალა!

შინდებიზი (ყოველ დარტყმაზე ხტება შედახილებით) რა ხდება?

ფერაიონი თაღლითო!

შინდებიზი კი მაგრამ...

ფერაიონი ღორო!

შინდებიზი (თავს გაითავისუფლებს) რას აკეთებთ?

ფერაიონი (მუქარით) რაო?

შინდებიზი (წიხლებით და მუჯღუგუნებით, უკან, სკამთან მიავლებს, ამოხედავს ფერაიონს) მე ვარ ბ-ნი შინდებიზი „ბოსტონ-ლაიფ კომპანიის“ დირექტორი.

ფერაიონი (მარცხნივ დგას, ხელს გაიშვერს შინდებიზისკენ)

მთვრალია! გალეწილი მთვრალია!

შინდებიზი ბატონო! ჩემს მოწმეებს გამოვიგზავნი!

ფერაიონი (ისევ წაავლებს ხელს და წიხლების ჩარტყმით ციბრუტივით დაატრიალებს) ჰოო?! აჰა, შენ! სეც - შენ! ეს - შენს მოწმეებს!

შინდებიზი (ყოველ დარტყმაზე პატარავდება) ვაი! ოჰ! ვაი!

ფერაიონი ესეც შინდებიზს!

შინდებიზი ვაი!

ფერაიონი აჰა! აჰა! და აჰა!

ყოველ „აჰა“-ს შინდებიზის შეკივლება მოსდევს.

შინდებიზი (ისევ სკამთან აღმოჩნდება, ძველ ადგილას) ბოლოს და ბოლოს! (ფერაიონს წინ დაუდგება)

ფერაიონი (მის ქურთუკს შესცქერის) ეს რაღა არის? რა გაცვია! კეთილი ინებე... და (საყელოში ხელს წაავლებს და ქურთუკის გაძრობას დაუპირებს).

შანდებიზი (ძთელი ძალით თავს იცავს) არა! კეთილი ინებეთ...
 ფერაიონი გეყო! ეს რა მასხრობაა (პროტესტის მიუხდევად ხდის ქურთუკს)
 შანდებიზი რას აკეთებთ?!

ფერაიონი (შლაპასაც ხდის) გაიხადე, გაიხადე! (შლაპასა და ქურთუკს იქვე თავისუფალ სკამზე ჩამეკიდებს).

შანდებიზი (დამარცხებული, გაოგნებული) ღმერთო, ჩემო! ნამდვილად გიჟია!

ფერაიონი (ლივრეას და მოსამსახურის ქუდს ჩამოხსნის, შანდებიზს მიუბრუნდება) მიდი! ეს ქუდი დაიხურე! (თავზე ქუდს ახურავს და მუშტის ღარტმით ყურზე ჩამოუფხატავს)

შანდებიზი არა! არა!

ფერაიონი (ლივრეას აწვდის) აჰა! შენი ქურთუკი!

შანდებიზი (თავს იცავს) არ მინდა! არ მინდა!

ფერაიონი (ძალით აცემვს) არ გინდა! რას მიბედავ! არ მინდაო! ჩაიცვი და თანაც სწაფად!

შანდებიზი (შეშინებული, თავჩაქინდრული ფერაიონის ბრძანებას ასრულებს) დიახ, დიახ, დიახ!

ფერაიონი (კიბეზე მიუთითებს) ახლა კი აუსვი აქედან! შენს ოთახში! სწრაფად!

შანდებიზი (კიბეზე არბის) დიახ, დიახ! არა, გიჟია, ნამდვილად გიჟია!

ფერაიონი (კიბისკენ წაიწევს. თითქოს ისევ გასალახად) რა თქვი? ისე მოგდებ!

შანდებიზი არა! არა!

ფერაიონი (კიბის პირველი საფეხურიდან) მიდი, მოუსვი აქედან! გიჟია! ნამდვილად გიჟია!

ფერაიონი (სამ-ოთხ საფეხურს ბაკუნით აივლის) აქედან გამეცალე, თორემ...

შეშინებული შანდებიზი ისე სწრაფად გაეცლება, რომ კინაღამ კიბიდან გადმოვარდება... გადის.*

ფერაიონი (ნელა ჩამოვა კიბეზე მაყურებლისკენ მიბრუნდება და ძალიან დინჯად) ამას დამიხედეთ! აი, ვერმუტის შედეგი! ჯერ კიდევ გალექილი

* როგორც კი თვალს მოეფარება, მსახიობი, რომელიც შანდებიზს როლს ასრულებს, დეკორაციის მიღმა მოთავსებულ შიდა კიბეზე ჩაირბენს. გზადაგზა ლივრეასა და ქუდს იხდის. ქვევით ჩავა თუ არა, წინასწარ მომზადებულ სკამზე დაჯდება, სადაც ორი კოსტიუმერი ელოდება ფართო, წინ გახსნილი ზონარიანი შარვლით. მსახიობი შარვალს პირდაპირ შანდებიზის შარვალზე იცვამს. ამასობაში, კოსტიუმერები ფეხსაცმელებზე აცემვენ განიერ, რბილ ჩუსტებს. იქვე დგას მეორე კოსტიუმერი, რომელსაც გახსნილი ყილეტი უჭირავს ხელში. მსახიობმა ყილეტში მხოლოდ ხელები უნდა გაუყაროს. იმავე წუთს შემოაცემვენ წინსაფარს და შარფს. თმა ხელით უნდა აიჩეჩოს და ისე დაბრუნდეს სცენაზე. გარდასახვა ჩაცმასთან ერთად მთავრდება.

მთვრალია, ეშმაკმა დალაზვროს! ძლივს კარგი მსახური ვიშოვნე და ისიც ლოთი გამოდგა! (ლაპარაკით ჩამოდის და ავანსცენისკენ მიიწევს).

ჟენი (ქარვით გამოქანდება ოთახიდან, სადაც ოლიმპია შეიყვანს. კარის ყოველ ვალებზე მოისმის ოლიმპიას სპაზმური სლოკინი) ბატონო, ბატონო!

ფერაიონი (შეშინებული) ახლა რაღა მიხდა?!

ჟენი ქალბატონს ნერვული შეტევა აქვს.

ფერაიონი (წინ წაიწევს) ეს ქალი რაღას მიწაყალებს გულს! (ჟენის მიუბრუნდება) სწრაფად ადით მეათე ნომერში და ექიმ ფინაშს სთხოვეთ, თუ ღრო აქვს ჩამოვიდეს, ჩემი ცოლის გასასინჯათ.

ჟენი მივრბივარ, ბატონო! (სწრაფად ადის ზემოთ).

ფერაიონი წუთი მოსვენება აღარ მაქვს! რა უბედურებაა. (შედის ცოლთან, ოთახის კარის ვალებისთანავე მოისმის ნერვული სლოკინი და შედახილება). რაო, ჩემო ძვირფასო, ვერა ხარ კარგად?

კარი იხურება.*

სცენა XIII

პოში, შემდეგ ფინაში და ჟენი

პოში (მარცხნიდან მოდის, ხელში წერილები უჭირავს, სცენის შუაგულამდე მიდის, წინსაფრის ზონრებს იხსნის თან ლაპარაკობს) ახლა, ჩქარა სადგურზეო! (წინსაფარს საკიდზე ჩამოდება, თავის ლივრეას ვერ ხედავს, ეძებს). კი მაგრამ! (იატაკზე იყურება) ვინ ამწაპნა ჩემი ლივრეა და ქუდი? კარგი, ჩემო ძამიკო! ისე, კარგა მოხერხებულად აუწაპნია. თავისი შლაპა და ქურთუკი დაუტოვევებია (შლაპას მოირგებს) დახე, კარგად მაქვს! მით უკეთესი! სადგურზე მაინც უნდა წავიდე, რა მნიშვნელობა აქვს რას დავიხურავ. დავაბრუნებ, როცა ის ვიდაცა ჩემსას დააბრუნებს. (ასე ლაპარაკით, შარფმოუხსნელად ლივრეას ჟილეტზე მანდებიზის ქურთუკს ჩაიცმევს. უკან გაბრუნდება წასასვლელად. ზარის

* სცენიდან გასული მსახიობი სწრაფად იხდის ქურთუკსა და შლაპას, ორი კოსტუმერი მას შარფს და ჟილეტს ხდიან. მოშორებით, სკამთან მას მესამე კოსტუმერი ელოდება, რომელიც ასევე სწრაფად ხდის ჩუსტებს და ზონრით დამაგრებულ შარვალს. სავარცხლის ერთი გადასმა და სცენაზე გადის.

ნმა. შეჩერდება. მოტრიალდება) ვნახოთ! მგონი, ისევ მე მეძახიან!
(მარცხნიდან გადის).

ჟენი (ზემოდან ჩამოდის, უკან ფინაში მოჰყვება) აქეთ, ექიმო, აქეთ!
ფინაში (ქურთუკს ვზადავზა იცმევს, ჟენის უკან მიჰყვება) კი მაგრამ...
თქვენ რა? ფიქრობთ, რომ აქ თქვენი ავადმყოფების მოსავლელად
მოვედი?!.. რა მოუვიდა თქვენს პატრონს?

ჟენი დიდი არაფერი. ელეთ-მელეთი მოუვიდა

ფინაში (ვერ მიხვდა) ელეთ-მელეთი?

ჟენი ჰო, ელდა ეცა, ერთი სიტყვით შიშმა აიტანა.

ფინაში აა, შიშმა! ეგრე გეთქვა რა! ნორმალურად ვერ ილაპარაკებ?

ჟენი ჰო, და, შიშმა სისხლი აუღულა! და ნერვებმა უმტყუნა!

ფინაში ამისთვის შემაწუხეთ? ერთი ჭიქა წყალი აგელო და გესხურებია.
იმ წამს დაწყნარდებოდა.

ჟენი ბატონი ექიმი უკვე შეწუხდა და ქვევით ჩამობრძანდა. ბარემ
გენახათ.

ფინაში რალა დამრჩენია, ვნახავ.

ჟენი აქეთ, ექიმო, ამ ოთახშია, ბატონო!

*ღია კარში კვლავ მოისმის ოლიმპიას ნერვული შეძახილი და
სლოკინი. როგორც კი ოთახში შედიან და კარს მიხურავენ, კიბის
თავში, ზემოთ შანდებიზი გამოჩნდება. ისევ პოშის ლივრეა აცვია
და მისივე ქუდი ახურავს. ფრთხილად იყურება ქვევით.*

სცენა XIV

შანდებიზი, მერე რაიმონდა და ტურნელი, მერე ფერაიონი.

შანდებიზი (კიბის თავიდან) ის... ის გიჟი თუ წავიდა? (ლაპარაკ-
ლაპარაკით ჩამოდის) ღმერთო, ეს რა გადამხდა! აქ თუ ასე ხვდებიან
კლიენტებს... ვინლა მოვა მეორედ? რა ველურობაა! (მიუახლოვდა საკიდს,
სადაც ფერაიონმა მისი ტანსაცმელი ჩამოკიდა) ეჰეი!... ჩემი ქურთუკი?
ჩემი შლაპა? აქ არ ჩამოკიდა? სად გაქრა? ვინ წაიღო?

*ეძებს იატაკზე, იყურება ირგვლივ. შანდებიზის ბოლო რეპლიკაზე
ზემოდან, ჩუმად, ქურდულად მოიპარაბიან რაიმონდა და ტურნელი.*

რაიმონდა (კიბეს ჩამოირბენს) მგონი კვალი აურიეთ! ჩაქრა, ეტლი!

ტურნელი (მოსდევს რაიმონდას) ჰო, ჰო! შეხეთ, სასტუმროს მსახური.

რაიმონდა დიახ, მსახურია!
 შანდებიზი (წახრილი, ისევ თავის ნივთებს დაეძებს) ვერაფერი გამიგია!
 რაიმონდა (ზურგ შექცეულ შანდებიზს უახლოვდება) სწრაფად! პოში!
 ეტლი!
 შანდებიზი რა გნებავთ?
 ტურნელი ეტლი, ეტლი!
 შანდებიზი (რაიმონდას დანახვაზე წამოხტება) ჩემი ცოლი!
 ტურნელი რაო?
 რაიმონდა (შეკრთება) ჩემი ქმარი! ის იყო! ის იყო! (გარბის)
 შანდებიზი და ტურნელი... მასთან ერთად
 ტურნელი (გაშრა) ის იყო!
 შანდებიზი (ყელში სწვდება ტურნელს) აქ რას აკეთებ? რას აკეთებ,
 მეთქი, ჩემს ცოლთან ერთად? (ორივე ხელი ყელზე აქვს მოჭერილი,
 შეანჯღრევს და მარცხნივ მოისვრის)
 ტურნელი (ლამის დაიხრჩოს) ხომ იცი, ჩემო კარგო, ხომ ყველაფერი
 იცი!
 შანდებიზი რა ვიცი, აბა, რა ვიცი?
 ტურნელი ეხლახან არ აგისხენით ყველაფერი?
 შანდებიზი (სკამზე მიაწვენს და თავით იატაკისკენ ექაჩება) რა
 ამისხენი, რა? (ლამის იატაკზე დაარტყმევინოს თავი) მიპასუხე!
 მიპასუხე-მეთქი!
 ტურნელი (შეშინებული) მოიცა! კარგი! გეყო! მოიცა!
 ფერაიონი (ოთახიდან გამოვარდება) აღარ მორჩით კინკლაობას?
 (შანდებიზს დაიჭერს და მარცხნისაკენ მოისვრის. განთავისუფლებული
 ტურნელი, მაშინვე გაქცევა.) პოში! ისევ პოში!
 შანდებიზი გიჟი!
 ფერაიონი (წიხლებით ცემს, როგორც წინა სცენაში) არამზადა!
 შანდებიზი (ახტება) ვაი! ეი, შენ!
 ფერაიონი პირუტყვი!
 შანდებიზი (ახტება) ვაი!
 ფერაიონი ღორი!
 შანდებიზი კმარა!
 ფერაიონი არ გეყო, რაც მიიღე?
 შანდებიზი (ნებდება) კი, კი, მეყო! მიშველეთ! გიჟია, გიჟი!
 ფერაიონი (მისდევს, შანდებიზი კიბეზე არბის) მე შენ მიჩვენებ გიჟს, შე
 ლოთო, შენა! გაეთრიე, შენს სოროში! ჩაგკეტავ და ხვალ დილაძდე არ
 გამოგიშვებ. იქნებ მოინელო, იქნებ გამოფხიზლდე! წადი, ჩქარა!
 გამშორდი!

*კიბის თავზე ორივე, ერთი მეორის მიყოლებით, გაუჩინარდება.**

სცენა XV

რაგბი, მერე კამილი, შემდეგ ლუსიენა და ისტანგუა.

როგორც კი ფერაიონი და შანდებიზი გავლენ, მოთმინებიდან გამოსული რაგბი ოთახიდან გამოდის და კარს ღიად ტოვებს.

რაგბი (ლაპარაკით კიბემდე მიდის, ქვევით ჩადის და მიიმალება).

კამილი (თავისი სამალავიდან გამოდის და სცენის შუაგულამდე მიდის) მგონი, გზა ხსნილია. დროზე უნდა გავიქცე.

ლუსიენა (საპირფარეშოდან გამოდის ზუსტად იმ დროს, კამილი რომ ოთახიდან გამოვა. კართან ჩერდება, ყურს მიუვდებს, ხმაური აღარ ისმის.)

კამილი (უკანასკნელად მოათვალიერებს იქაურობას) მაინც სად დაიკარგა ჩემი ხიდი? (სცენას მიმოივლის, ნახევარწრეს მოხაზავს და ლუსიენას, ოთახიდან გამოსულს, პირისპირ ეფეთება).

ლუსიენა (გამოსვლისას) ქალბატონი დე ისტანგუა. (ქუსლებით 180⁰ შეტრიალდება გასაქცევად).

ლუსიენა (იცნობს კამილს) ბატონო კამილ! (ხელს წაავლებს) არ მიმატოვოთ, ბატონო კამილ! არ მიმატოვოთ! ქმარი ფენდაფენ მომდევს!.. რეკოლვერით... ყველას მოკლავს!

კამილი (შეკრთება) ღმერთო ჩემო!

ლუსიენა გემუდარებით, არ მიმატოვოთ.

კამილი არა, არა!

ისტანგუას ხმა ქვევიდან სად არიან, სად არიან, მისერაბილე?

ლუსიენა (შიშით) ჩემი ქმარი!

კამილი ისაა! გავიქცეთ.

ორივე კიბისკენ გაქანდება, გზად კიბეზე ამომავალ რაგბის ეფეთებიან. შეშფოთებულნი უკან ბრუნდებიან. კამილი მარჯვენა პირველ პლანზე მდებარე ოთახში შევარდება და კარს მიეყრდნობა. ლუსიენა რაგბის ოთახის ღია კარს შეამჩნევს და მყის იქ შეიჭრება.

* გადაცემები უნდა მოხდეს პირველად აღწერილი სქემის მიხედვით. სცენაზე მხოლოდ წინაკარი რჩება. ქურთუკი და შლაპა მსახიობმა იგივე მეთოდით უნდა გამოიცვალოს.

რაგბი (კიბიდან, ცოტა დაბნეული უთვალთალებს ამ სცენას, დაინახავს მის ოთახში შესულ ლუსიენას რომ დაინახავს, კმაყოფილი და გამარჯვების მომასწავებელი ტონით) აუჰ! pretty girl (სცენას ერთი ნახტომით გადაკვეთს და ოთახში შედის).

ისტანგუა (კიბეზე ამორბის, სცენაზე გაჟივით შემოიჭრება) სად? სად არის? მით მოკლავს, მით შეჭამს! სად სინიორ შანდებიზის ოთახი, სად? რატომ სასტუმროში არავინ? (კიბეს მივარდება და ისევ წვემით ჩაირბენს).

სცენა XVI

პოში, ლუსიენა, რაგბი, კამილი, მერე ისტანგუა, ჟენი და ბოლოს ყველა.

]

პოში (მარჯვნიდან შემოდის) ვინ ყვირის ასე?

ლუსიენა (რაგბის ოთახიდან გამოდის, რაგბი ეხვევა) თავი დამანებეთ, ურცხვო, უტიფარო! (მოტრიალდება, თავს გაითავისუფლებს და სილას გააწნის)

რაგბი Again. Aoh it's disgusting (ბრუნდება ოთახში)

პოში კარგი გარტყმა!

ლუსიენა (პოშს მივარდება) ბატონო შანდებიზ!

პოში რაო?

ლუსიენა თქვენი თავი ზეცამ გამომიგზავნა. მიშველეთ! დამმალეთ!

პოში რა მოხდა, ქალბატონო?

ლუსიენა (პოშს მხარზე მიაღებს თავს) ქმარი მომდევს, ჩემი მოკვლა უნდა!

პოში (შეკრთება) რას ამბობთ?

ლუსიენა მიშველეთ! გადამარჩინეთ!

პოში (მარჯვენა ხელს ამოსდებს) მოდი, მოდი, გასასვლელი აქეთაა.

საუბარში პატარ-პატარა ნაბიჯებით და ერთმანეთის მიშველებით ქვევით ჩამავალ კიბეს მიაღწიეს. პოში წინ ატარებს ლუსიენას და თვითონაც უკან მიყვება.

ისტანგუას ხმა ქვემოდან კარამბა! მით დაიჭირა, მით...

ლუსიენა (უკან ამოირბენს, აქეთ-იქით მიაწყდება, პოში მოსდევს) მოვიდა, მოვიდა! (პირველ პლანზე მარჯვენა ოთახის კარს მივარდება) გამიღეთ! ღვთის გულისათვის, გამიღეთ!

კამილი (მთელი სხეულით აწვება კარს) შემოსვლა არ შეიძლება! არ შეიძლება.

პოში იჩქარეთ! (დაბნეული ლუსიენა ისევ რაგბის კარს მიადგება) არა, იქ არა! იქ ინგლისელია.

ლუსიენა აბა რა ვქნა, სად წავიდე? სად?

პოში აქ, ბატისტენტან!

ისტანგუა (რომლის წყველა-კრულვა ფონად მოსდევს დიალოგს, სცენაზე შემლილივით შემოიჭრება) არა მალვა, ნუ მალვა! მით გნახე!

ჟენი (ოლიმპიას ოთახიდან გამოდის) რას ინებებთ ბატონო!

ისტანგუა – შანდებიზი და ქალი?!

ჟენი (უჩვენებს ოთახს, სადაც კამილია დამალული) აქეთ, ბატონო, ამ ოთახში. (გადის მარცხნიდან)

ისტანგუა (მარჯვენა კართან წინა პლანზე) გააღეთ, გააღეთ! მით მოკვლავ, ისვრი.

კამილი (სიცილით) არავინაა! არავინაა!

ისტანგუა (კარს აწვება) გააღეთ, გააღეთ! უნო, დუე, ტრეს! (ყოველ თვლაზე კარს აწყდება. თვლაზე სამი, კარი დარტყმას ველარ გაუძლებს, ისტანგუა ოთახის შუა გულში გადაფრინდება და ყელში სწვდება კამილს) ჩემი ცოლი! სად ჩემი ცოლი! უნდა მოკლა! სად მალვა?

კამილი (მარჯვნივ, შემინებული, აღარ იცის რა უპასუხოს) ჩემთან არ არის! პატიოსან სიტყვას გაძლევთ. მე არ დამიმაღავს. მოდით გამჩხრიკეთ. (მეტი დამაჯერებლობისათვის შარვლის ჯიბეებს გადმოიბრუნებს)

ისტანგუა (არც უსმენს, ოთახის მარცხენა მხარეს აწყდება) სი, სი! ვნახავ და მოკვლავ. მართლა, მართლა. როგორც ამას დაუმიზნებ და პაბ! ესვრის საწოლის მარჯვენა მდებარე ღილაკს. საწოლი ტრიალდება და ლუსიენა და პოში გამოჩნდებიან.

ლუსიენა ჩემი ქმარი (გარბის, პოში მისდევს)

ისტანგუა ჩემი ცოლი!

უკან მისდევს, თან ისვრის. ლუსიენა და პოში გარბიან. სასტუმროს ყველა ბინადარი ცდილობს დააკაოს ისტანგუა. ხელს გადაუგრიხავენ, მაგრამ რევოლვერიანი ხელი მაინც ჰპერში აქვს და, ვიდრე ფარდა არ დაეშვება ისვრის და ისვრის..

ფარდა

III მოქმედება

სცენა I

ანტუანეტა, მერე ეტიენი.

პირველი მოქმედების დეკორაცია – შუა კარი მხოლოდ ერთი მხრით უნდა იღებოდეს, გარდა ტექსტში აღნიშნული სპეციალური შემთხვევისა. ფარდის ახდისას სცენა ცარიელია; კარებები დახურული. მოულოდნელად ოღება შუა კარი, სცენის სიღრმიდან ქარივით შემოქანდება სახეაშლილი ანტუანეტა, და სწრაფად მიხურავს კარს. იგრძნობა, რომ მზარეულის სამოსი ეხლახან ჩაიცვა; მორბის და თან კაბას იკრავს; წინსაფარი და თავსაკრავი ხელში უჭირავს.

ანტუანეტა ღმერთო ჩემო, ეტიენი! ეტიენი მოდის! დრო აღარ მრჩება! *(ამთავრებს კაბის შეკვრა-სწორებას)* აღელვებისაგან, ხელები ერთმანეთში მებლანდება! დროზე! მიდი!

ეტიენის ხმა (მარცხენა მხრიდან, ყვირილით) ანტუანეტა! ანტუანეტა!

ანტუანეტა ო-ო-ოს! *(კარს, საიდანაც შემოვიდა ურდულით რაზავს).*

ეტიენის ხმა (უფრო ახლოდან) ანტუანეტა.

ანტუანეტა (წინსაფარს გადაიცმევს, თავსაფარს წაიკრავს) ო-ოს! ღმერთო ჩემო.

ეტიენის ხმა (შუა კარის მიღმა) ანტუანეტა! *(კარს ანჯღრევს).* გეყოფა! კარი გამიღე! არამზადა! დიაცი! ჩაკეტილია! *(ხმა უფრო ყრუდ, მარცხნიდან მოისმის)* დამაცადე!

ანტუანეტა (როგორც იქნა დაამთავრა ჩაცმა) სწრაფად! *(კარების საკეტს ფრთხილად გააღებს და თითის წვერებზე შერბის მარჯვენა პირველ პლანზე მდებარე ოთახში)*

ეტიენი (მეორე მოქმედების ტანსაცმელში, თავზე შლაპით, შუა კარს შემოაღებს) ანტუანეტა, სადა ხარ? სად დაიმალა? ანტუანეტა!

ანტუანეტა (კარის ზღურბლზე გამოჩნდება და ძალიან მშვიდად) რა გაყვირებს ასე გამწარებული?

ეტიენი აბა რას იკეტები?

ანტუანეტა (თითქოს ვერ მიხვდა) რაო?

ეტიენი რას ჩაიკეტე მეთქი. არ გესმის რას გეკითხები?

ანტუანეტა (დამაჯერებელი ტონით) მე? როდის ჩავიკეტე?!

ეტიენი (მისი აპლომბით განცვიფრებული) არა! ერთი ამას დამიხედეთ!
(კარს მივარდება სახელურს ჩამოწევს, კარი მაშინვე იღება. დაბნეული)
რა ხდება?

ანტუანეტა (მაგიდას დაყრდნობილი, გულხელდაკრეფილი, ჭერზე თვალებაპყრობილი, ირონიული ღიმილით, დამცინავი ტონით) კარების გაღებაც დაგვიწყებია.

ეტიენი ალბათ, გაიჭედა. ჰო, კარგი. რა მნიშვნელობა აქვს! ერთი მითხარი, რას აკეთებდი ეხლახან სასტუმროში „მოტრფიალე ფისუნია“?

ანტუანეტა (თითქოს ჩინურად ელაპარაკებიანო) სადაო?

ეტიენი სად და სასტუმროში! „მოტრფიალე ფისუნია“.

ანტუანეტა (ხაზგასმით) რას ნიშნავს ეს?

ეტიენი როგორ თუ, რას ნიშნავს! მაგარი ხარ! აგერ ნახევარი საათის წინ გამოგიჭირე, წაგასწარი და...

ანტუანეტა (ვითომ შეურაცხყოფილი) მე-ე?! წამასწარი?!

ეტიენი დაიხ, შენ!

ანტუანეტა (ძლიან მშვიდად) სახლიდან ფეხი არ მომიცვლია.

ეტიენი (მისი ცინიზმით გაოგნებული) რას ამბობ?

ანტუანეტა – სიმართლეს!

ეტიენი ფეხი არ მომიცვლიაო! ერთი ამას დამიხედეთ! ყველაფერს მოველოდი, თავის მართლებას, რაღაცის მომიზეზემას! მაგრამ იმ... იმ სასტუმროში არ ვყოფილვარო! არა! არა!

ანტუანეტა ტყუილს ხომ არ გეტყვი! რაც არ ყოფილა, არ ყოფილა!

ეტიენი კი მაგრამ შე...შე უბედურო, მე შენ იქ გნახე... აი ამ თვალებით... გნახე!

ანტუანეტა (გულახდილად, ძლიან მშვიდად) ამით რას მიმტკიცებ?

ეტიენი (სულშეხუთული) აჰ-აა!

ანტუანეტა (კატეგორიულად) მნახე, არ მნახე, რა მნიშვნელობა აქვს. მე იქ არ ვყოფილხარ.

ეტიენი ო! ეს ტონი! განა იქ არ წაგასწარი... ნახევრად შიშველს... ინგლისელის ხელებში.

ანტუანეტა მე?

ეტიენი (ანტუანეტას სახეში ახლის) ღიახ შენ! შენ! მისი მოქნეული მუშტიც კი მოხვდა.

ანტუანეტა ინგლისელის ხელებშიო! მე! მე! როგორ უნდა ჩავხვეოდი ინგლისელს? ერთი ინგლისური სიტყვაც არ ვიცი.

ეტიენი (*ყალბი ხითხითით*) ჰა-ჰა-ჰა! ესეც მიზეზი! თითქოს ყველა ენაზე ერთნაირად არ ჟღერდეს რაღაც... მოძრაობა, ძვირფასო, პანტომიმა! ესე იგი, ინგლისელს არ ეხვეოდი?

ანტუანეტა (*ისევ წარბშეუხრელად*) აქედან ფეხი არ მომიცვალა.

ეტიენი ღმერთო..! (*არგუმენტები აღარ ყოფნის. ანტუანეტას გვერდით გაწევს, მარცხნივ გადაინაცვლებს, სიტყვებს კბილებში ცრის*) აქლემო! იდგვაროვანი ქალივით იტყუება! (*ანტუანეტას მოუბრუნდება*) ფეხი არ მოგიცვლია! ეხლავე გავიგებთ, ეხლავე შევამოწმებთ! (*სცენის სიღრმისაკენ გაიწევს*).

ანტუანეტა (*ოდნავ შეწუხებული, მისკენ ერთ-ორ ნაბიჯს გადადგამს*) სად მიდიხარ?

ეტიენი კარისკაცს შევეკითხები.

ანტუანეტა კარისკაცს? ჩვენს კარისკაცს?

ეტიენი— ის მეტყვის, გახვედი თუ არა დღეს სახლიდან (*წასვლას დააპირებს*).

ეს დიალოგი, ძალიან სწრაფი, ძალიან ემოციური ერთმანეთში უნდა იყოს არეული, როგორც ცხარე კამათის დროს

ანტუანეტა (*ეტიენს სახელოზე ჩამოეკიდება; ეტიენი ლაპარაკობს, თან გათავისუფლებას ცდილობს, ანტუანეტა მეორე სახელოში წაავლებს ხელს*). ეტიენ, შენ რა, გაგიჟდი?! ამ სასაცილო ჩხუბში ეხლა კარისკაციც უნდა გარიო? გინდა, რომ დაგცინონ, მასხრად აგიგღონ?

ეტიენი შეგეშინდა?! ვერ განსაზღვრე, რომ შეგამოწმებდი? ჩემი გაცურება მოინდომე... ეხლა ხომ გრძნობ, რომ გამოგიჭირე!...

ანტუანეტა კარგი, ეტიენ, კმარა!

ეტიენი (*ხელს ჰკრავს*) არაფერიც არ კმარა!

ანტუანეტა (*მუჯღუგუნს ჰკრავს, სახელოს ხელს უშვებს*) რაც გინდა ის ქენი! (*გულხელდაკრეფილი, მაგიდასთან ზურგშექცევით მაგრამ მაყურებელთან პირისპირ დგება*).

ეტიენი (*შემოსასვლელისკენ გაქანდება, კარს ღიად ტოვებს, პირდაპირ, კედელზე ჩამოეკიდებულ ტელეფონს მივარდება*) ალო! ბატონი პლუმარი გრძანდებით? კარგად! ერთი მითხარით... ჩემმა შეკითხვამ შეიძლება გაგაკვირვოთ, მაგრამ უნდა ვიცოდე... რომელ საათზე გავიდა ჩემი ცოლი სახლიდან?... (*პაუზა, ანტუანეტას სახეზე აშკარად ეტყობა აღელვება*) რაო? როგორ თუ საერთოდ არ გასულა? (*ანტუანეტას სახე უწყნარდება, შვებით ამოისუნთქავს*) არა, ეს შეუძლებელია! თქვენ, ალბათ, ვერ შეამჩნიეთ, როდის გავიდა... როგორ? წვნიანი თქვენთან ერთად მიირთვა!

(გახარებული ანტუანეტა ოდნავ შესაძინევად შეტრიალდება, ტუჩები ირონიულად დაებრიცება, მისი გამოხედვა დამცინავი ხდება) რაო? კი, კარგად მესმის... ზევით არავინ სადილობდა და ის თქვენთან ქვემოთ ჩამოვიდა? (გაოცებულია) ნუთუ?! რას ამბობთ?!

ანტუანეტა (იგივე პოზაშია, მკერდიდან ხელმოუშორებლად ხუთივე თითს გაშლის და მაყურებელს უჩვენებს, შემდეგ თავით ტელეფონზე მიუთითებს) ხუთი ფრანკი... ეს ყველაფერი ხუთი ფრანკი დამიჯდა!

ეტენი (ერთი მომენტი დადუმებულია) ვერაფერი გამიგია! დაუჯერებელია! კარგი!... გმადლობთ!... და ბოდიშს გიხდით. (ყურმილს დაკიდებს და სალონში ბრუნდება, გაღიზიანებული და გაცხარებული, კარებს ხურავს)

ანტუანეტა (დაცინვით) და... რაო, რა ვითხრა?

ეტენი (უხეშად) თავი დამანებე! (მარცხნივ გადაინაცვლებს, ბრაზმორეული) ჯერ კიდევ საკითხავია, გავგიჟდი, თუ მომელანდა ყველაფერი.

ანტუანეტა (სცენის სიღრმეში მდებარე მარცხენა კარისკენ მიდის) მაინც, როგორ აჩერჩეტებს ადამიანს ეჭვიანობა!

ეტენი (№2, იგივე მიმართულებით) აბა!... კარგი! კმარა! სამზარეულოში! (ზარის ხმა ისმის) ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით!

ანტუანეტა როგორც გენებოთ!

მხრებს აჩერჩავს და გადის. ისევ ზარის ხმა.

ეტენი (ფიქრებს აყოლილი, ზარის ხმას უპასუხებს) მოვდივარ! მოვდივარ! ან ეს ქალია ცინიზმის განსახიერება, ან მე ავაფრინე და თავს უნდა მივხედო (ისევ ზარი) მოვდივარ!

სცენიდან გადის. შემოსასვლელი კარი ხმაურით იღება და იხურება. ისმის რაიმონდას ხმა და ეტიენის პასუხი.

სცენა II

ეტენი, რაიმონდა, ტურნელი.

რაიმონდა (შემოდის ტურნელთან ერთად. ლაპარაკით მიუახლოვდება პატარა ტახტს, ტურნელი სცენის სიღრმეში შუა კარის მარცხენა მხარეს რჩება) კი მაგრამ ზარის ხმა არ გესმოდათ?

ეტენი (პასუხობს, ეტყობა, რომ სხვა რალაცეებზე ფიქრობს) როგორ არა, ქალბატონო, მოვდიოდი!

რაიმონდა (№1) ბატონი? ბატონი არ დაბრუნებულა?

ეტიენი უფ, არა, ქალბატონო
 რაიმონდა კარგი, დაგვტოვეთ.
 ეტიენი დიახ, ქალბატონო (მიდის, ცოლის მისამართით ბუზლუნს
 ავრძელებს) აქლემი!
 ტურნელი (ეტიენი გვერდით ჩაუვლის, ტურნელს ბოლო სიტყვა გაივს
 და) რა თქვით?
 ეტიენი ბატონო? ოჰ, თქვენ არ მოგმართავდით.
 ტურნელი იმედი მაქვს (ეტიენი გადის. ეტყობა დარჩენის სურვილიც არა
 აქვს) ჩემო ძვირფასო მეგობარო, ვინაიდან უკვე სახლში ბრძანდებით, მე...
 რაიმონდა (ტახტის გვერდით შლაპასა და ხელთათმანებს იხდის,
 ტურნელს მოუბრუნდება) ო, არა, არა! ეხლა არ მიმატოვოთ... (შლაპასა
 და ხელთათმანებს იქვე მახლობლად დადებს)
 ტურნელი (სახტად დარჩენილი) მე... ოჰ!
 რაიმონდა (აღვიღზე ვერ ისვენებს) მადლობელი ვარ! არ ვიცი, ჩემი
 ქმარი რა ხასიათზე იქნება. ხომ ნახეთ „მოტრფიალე ფისუნიაში“ მეორედ
 რომ შეგვეფეთა, ლამის დაგვახრჩო. იგივე რომ განმეორდეს...
 ტურნელი (მიუხედავად რაიმონდას აღელვებისა, ძალიან მშვიდად) თქვენ
 ფიქრობთ, რომ დარჩენა აჯობებს?
 რაიმონდა რა თქმა უნდა! კიდევ ერთ შემოტევას მარტო ვერ გავუძლებ.
 ტურნელი (მორჩილად) კეთილი, კეთილი (სცენაზე შემოდის)
 რაიმონდა აღფრთოვანებას ვერ გატყობთ...
 ტურნელი (ენტუზიაზმის გარეშე) ეხლა... იცით...
 რაიმონდა რა თქმა უნდა! ასე! ყველა ერთნაირია: მამაცნი წამოწყებაში და
 მხდალები პასუხისმგებლობის წინაშე.
 ტურნელი ოხ! უპირველეს ყოვლისა, რა პასუხისმგებლობაზე
 მელაპარაკებით! არაფერი მომხდარა ჩვენს...
 რაიმონდა (მისკენ გაემართება) თქვენი ბრალი ხომ არ არის, თუ...
 არაფერი მოხდა. ყოველ შემთხვევაში ჩემმა ქმარმა არ იცის რომ...
 არაფერი მომხდარა! და ვინაიდან ჩვენ იქ გვნახა, სრული უფლება აქვს
 იფიქროს ის... რასაც ფიქრობს კიდევ. მისი განრისხებაც იგივეს არ
 გვიდასტურებს!
 ტურნელი უეჭველად, ეშმაკმა დალახვროს!.. ერთი რამ კი ვერ გამიგია...
 რეაქცია რატომ იყო შენელებული?.. რატომ გაბრაზდა ასე.. ასე
 დაგვიანებით.
 რაიმონდა მართალი ბრძანდებით!
 ტურნელი პირველად რომ გამოჩნდა, საწოლზე... ვისხედით...
 რაიმონდა დიახ, დიახ.

ტურნელი ჩვენი დანახვით არც დიდად გაჯავრებული, არც გაოცებული მეჩვენა. პირიქით, შეიძლება ვთქვათ, კმაყოფილიც კი ჩანდა.

რაიმონდა თანაც როგორი! გვაკოცა კიდეც.

ტურნელი აბა! და უცებ... აი, მოგვიანებით, ლივრეაში გამოწყობილს რომ გადავეყარეთ, როგორ გვეცა, როგორი აღშფოთებული იყო! არა და მსგავს თავგადასავალში, მით უმეტეს ფაქტის წინაშე, რეაქცია სწრაფი უნდა იყოს, ასეთი რამეები განსჯასა და დაფიქრებას არ საჭიროებს.

რაიმონდა მეც ამას არ ვამბობ! ვერაფერი გამიგია (ზარის ხმა) ღმერთო ჩემო, რეკავენ! ალბათ ის არის...

ტურნელი (შეშფოთებული) ასე მალე!.. (კარის გაღების ხმა)

ლუსიენას ხმა ქალბატონი, თუ დაბრუნდა?

კარის დახურვის ხმა.

ეტიენის პასუხი დიახ, მადამ, დიახ.

რაიმონდა არა! ეს ლუსიენაა. (სიღრმეში მღებარე შუაკარისკენ მიდის, ალებს) ოჰ, შემოდი! მოდი, მოდი!

სცენა III

რაიმონდა, ლუსიენა, ტურნელი.

ლუსიენა (რაიმონდას ჩაუვლის, მაგიდისკენ მიემართება) ოო! რაიმონდა! დრამა, რაიმონდა! ტრაგედია!

რაიმონდა (თვალებს ზეცას აღაპყრობს) მე მეუბნები?!

ლუსიენა შეხე, ჩემი ფეხები, აი ასე ცახცახებს (ძუხლებს შეაცახცახებს).

რაიმონდა და ტურნელი (სამძიმარივით) ოჰ! ოჰ!

ლუსიენა (უღონოდ დაეშვება მაგიდასთან მარცხნივ, სკამზე) სახლში დაბრუნება აღარ მინდა. არა და არა! (გადასვლის გარეშე, იგივე ტონით) გამარჯობათ, ბატონო ტურნელ, ბოდოშს გიხდით!

ტურნელი არა უმავს! რა დროს ბოდიშებია!

ლუსიენა (არც უსმენს, ისევ თავისას უბრუნდება) წავალ და ვიცხოვრებ სადმე... ხიდის ქვეშ. ჩემს ველურ ქმარს ვერ დავუბრუნდები. ვერა და ვერა! ძალიან შექმნინდა!

რაიმონდა ხო, მართლა! შენი ქმარი... რა შეშლილივით იყო! ჩვენ რომ დაგვინახა, მე და ტურნელი... ვერ გავიგე რა მოუვიდა... რევოლვერით გამოგვეკიდა თითქოს მოკვლა უნდოდა ჩვენი.

ტურნელი აბა, აბა, ჩვენი! ხომ არ იცით რატომ?

ლუსიენა (წამოდგება) როგორ თქვენც?! თქვენც მისი მსხვერპლი გახდით?

ტურნელი დიას! რა ვულკანია!

ლუსიენა (მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი) ჯერაც გონზე არა ვარ მოსული!.. კიდევ კარგი, შენი ქმარი შემხვდა, მხარში ამომიდგა, იქიდან წამომიყვანა. ის რომ არ ყოფილიყო, გული წამივიდოდა, და... არც მინდა წარმოვიდგინო რა მოხდებოდა.

რაიმონდა ჩემმა ქმარმა...

ლუსიენა პო! ისე, იმანაც კარგად შემაშინა.

რაიმონდა აჰა!

ლუსიენა არ ვიცი გრძნობები (ემოციები) აუვარდა თავში თუ...

რაიმონდა ესე იგი შენც შეამჩნიე?

ლუსიენა შევამჩნიეო! ათი წუთით აღრე ვნახე და წყნარად დამაჯერებლად მელაპარაკა: გამაფრთხილა ჩემი ქმრის თაობაზე და შემევედრა აქაურობას გაეცალეო.. უცებ ტკაცანი! მერე ეს გიჟური დევნა... ჩავრბივართ კიბეზე, მივდივართ კართან... ის უცნაურად მიყურებს და სლოკინით მეკითხება – „ეჰეი, ვინ არის ეს ინდიელი! იცნობთ მას?“ წარმოგიდგენია? “რას ჰქვია ვიცნობ-მეთქი! რა თქმა უნდა ვიცნობ, ჩემი ქმარია და თქვენც მშვენივრად იცნობთ“ ის მპასუხობს: კი მაგრამ, მე თქვენ არ ვიცნობთ! თქვენ ვინა ბრძანდებითო (თამაშობს შეკრთომას) ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! (უნდა ითქვას ღმერჩემო, ღმერჩემო). ჩემს თავს ვეუბნები: მორჩა, შანდებიზმა აურია, ყურადღებით ვაკვირდები, არ იცინის. ახ! ღმერჩემო! და უცებ იმისთანა რამეებს რომავს, ისეთ უთავბოლო რამეებს მახლის სახეში...

რაიმონდა (ტურნელს) აი, აი! როგორც ჩვენ!

ტურნელი როგორც ჩვენ!

ლუსიენა არც ვიცი, რა ვიფიქრო, თითქოს სასტუმროს მსახური იყოს, თითქოს შეშას ეზიდება, თითქოს ლივრეა მოპარეს და... მსგავსი სისულელეები...

რაიმონდა დაუჯერებელია...

ტურნელი დაუჯერებელი.

ლუსიენა და უცებ... არ ვიცი რამ გაუელვა... ღვინის ვაჭართან ჩემი წაყვანა მოინდომა... ჩემი!

რაიმონდა და ტურნელი ო-ოჰ!

ლუსიენა წარმოგიდგენია?! მე ავხტი, შევძახე - კმარა, კმარა შანდებიზ... შანდებიზ! ის მპასუხობს « პოშ! პოშ! »

რაიმონდა (ტურნელს) როგორც ჩვენ: « პოშ, პოშ! »

ტურნელი (სცენის მარცხნივ მოთავსებული პატარა მაგილის მარჯვენა სკამზე ჩამოჯდება) ერთი და იგივეს იმეორებდა.

ლუსიენა ღმერთმანი შიშმა ამიტანა! იქვე მივატოვე შენი ქმარი, მისი მეღვინე და გამოვიქეცი, გამოვიქეცი... აი, ხელავ კიდეც მოვრბივარ... (დავარდება სკამზე, მაგილის მარცხნივ)

რაიმონდა ვერაფერი გამიგია! ვერაფერი გამიგია. ან ჩემს ქმარს გონება აერია, ან... ყველაფერი... ეს... წინასწარ მომზადებული ოინია!

ტურნელი (მოულოდნელად, ხმამაღლა და ბოხი ხმით) სულ ერთია! ორივე ქალი რა?

ტურნელი (საცოდავად) რა დღე გაგვითენდა!

რაიმონდა სულ ესა ხართ... მე ვიფიქრე, რომ თქვენ...

ტურნელი არა.

რაიმონდა რა მშვენიერ მდგომარეობაში აღმოვჩნდით!

ტურნელი აბა!

ლუსიენა ორ ქმარს შორის... ერთ-ერთს რევოლვერით თქვენი ტვინის გახვრეტა უნდოდა.

რაიმონდა მეორე კი თვითონ არის ტვინარეული

ტურნელი ამდენი ტვინიკოსი ერთად!

სამივენი რა კარგ დღეში ვართ!

ზარი ირეკება, ლუსიენა და ტურნელი წამოდგებიან და ინსტიქტურად შუა სცენაზე მდგომ რაიმონდას უახლოვდებიან.

ლუსიენა (თითქმის ხმადაბლა) დარეკეს!

რაიმონდა და ტურნელი (ჩუმად) ჰო!

ტურნელი (ისევე) ალბათ, შანდებიზია!

რაიმონდა (ივე ჩუმად) არა მგონია! გასაღები აქვს

ტურნელი (ისევე) გასაღები ავიწყდებათ ხოლმე

რაიმონდა (ისევე) მართალია

ტურნელი (ზურგით მაყურებლისკენ, ქალებთან პირისპირ) ერთხელაც მახსოვს, ზამთარში, ძლიერ თოვლში...

რაიმონდა (აწყვეტილებს) არა, ჩემო კარგო, არა! გართობის თავი არა მაქვს! სხვა დროს!

ტურნელი (დაბნეული) ჰო კარგი! კარგი, კარგი! (ჯდება იქ, სადაც სცენის დასაწყისში იჯდა)

რაიმონდა (გატანჯული ხმით) ოჰ! უფ! ლა-ლა-ლა!

ლუსიენა აღარ ალებენ?

რაიმონდა აბა რა ვიცი! რადგან დარეკეს, ალბათ...

ტურნელი ვიღაც მოვიდა.

რაიმონდა (უტყუარი ჭეშმარიტების წინ თავს ხრის) უეჭველად.

ტურნელი ბოლოსდაბოლოს...

უკანასკნელ რეპლიკებს კარის გასაღების და დახურვის ხმაური ემთხვევა.

სცენა IV

ივიენი, ეტიენი, პოში

ეტიენი (დაბნეული შემოდის) ქალბატონო, ქალბატონო!

რაიმონდა ვინ დარეკა?

ეტიენი ქალბატონო, ვაიმე!

რაიმონდა რა მოხდა?

ეტიენი ბატონია

ტურნელი (№1)

ლუსიენა (№3) ვაი!

რაიმონდა მერე?

ეტიენი მერე და არ ვიცი ბატონს რა მოუვიდა, გავუღე... შემოვიდა... აი ასე (პოშის სიარულს აჯავრებს) და მკითხა: „აქ ცხოვრობს ბატონი შანდებიზი?“

ყველა რა-ა?

ეტიენი დიახ, ქალბატონო! ეგონა, იხუმრა რომ არ ჩამოვრჩენოდი მეც ხუმრობით ვუპასუხე: „ნა-ნა-ნა, მერწმუნეთ... ბატონი შანდებიზი ნამდვილად აქ ცხოვრობს“, წარბიც არ შეუხრია, ისე მითხრა „მოახსენეთ რომ ლივრეის თაობაზე ვაწუხებ »

ყველანი არა!

ეტიენი დიახ ბატონებო, დიახ!

რაიმონდა არა, კომედია აღარ განმეორდება (ეტიენს მიმართავს, ენერგიულად) ბატონი სად ბრძანდება?

ეტიენი შემოსასვლელში... იცდის.

ტურნელი და ლუსიენა რა?

რაიმონდა (გაოცებისაგან შეხტება) როგორ... იცდის?

ტურნელი და ლუსიენა შემოსასვლელში?!

რაიმონდა ეს უკვე მეტისმეტია!

სხვების თანხლებით კარებისკენ მიემართება, ორივე კარს ენერგიულად აღებს. ტურნელი და რაიმონდა კარის მარცხენა მხრიდან დგანან, ეტიენი და ლუსიენა – მარჯვნივ. შემოსასვლელის სიღრმეში გამოჩნდება პოში, თავზე ქუდით. სკამის კიდეზე ჩამომჯდარი,

მოთმონებით თვინიერად იცდის. პერსონაჟების გამოჩენისთანავე მის აქამდე სერიოზულ სახეს, ღიმილი მოეფინება.

ყველანი (გაოცებისაგან უკან დაიხვეწენ) ოჰ! ვაი!

რაიმონდა ერთი მითხარი, აქ რას აკეთებ?

პოში (წამოდგება, გამოშტერებული, ეტყობა ნასვამიდა) უკაცრავად!

რაიმონდა შენი ადგილი აქ არის შემოსასვლელში? რას ზიხარ აქ მომმარაგებელივით?

პოში (ქუდს ოდნავ იხდის) ქალბატონო!

ყველანი ქალბატონო?!

რაიმონდა ქალბატონო! აბა, შემობრძანდი! (მსუბუქად შედის სალონში).

პოში (კარების ზღურბლს მოადგება) საქმე იმაშია, რომ მე ბატონ მანდებიზს ველოდები.

ტურნელი და ლუსიენა რაო?

რაიმონდა რას ამბობ?

ეტენი აი, ხომ... ხომ გესმით, ქალბატონო.

პოში (ეტენს ხუმრობით ქუდს მიარტყავს) მე თქვენ გიცანით! ხლახან, მოტრფიალე ფისუნიაში არ შემომხვდით?

ეტენი დიახ, ბატონო, დიახ.

პოში ეს თვენა ხართ... რქიანო.

ეტენი (დათრგუნული) ბატონო, ო-ო, ბატონო!

რაიმონდა რას ამბობს?

პოში (რაიმონდას მიუბრუნდება) უიმე! ქალბატონიც! ქალბატონი სასტუმროდან რომელსაც... რომელსაც ვაკოცე (მიუახლოვდება) სალამი, ქალბატონო!

რაიმონდა (შეშინებული ტურნელს მოქაჩავს და თავის თავსა და პოშს შუა ჩააყენებს) ღმერთო ჩემო! ტურნელ, ტურნელ რა მოუვიდა!

ტურნელი (რაიმონდას გასწევს) კარგი, კმარა! ვიქტორ-ემანუელ! ვიქტორ-ემანუელ!

ისევე როგორც რაიმონდა, მარცხნისაკენ გადაინაცვლებს.

პოში (სცენის შუაგულიდან) არა! პოში! პოში!

ლუსიენა (წინ, მარჯვენა მაგიდასთან გამოიწევს) აი! პოშიო! პოშიო! აი.

პოში (ლუსიენასაც ცნობს და ლაპარაკით მისკენ გაემართება) ე-ე! და... და ქალბატონი... რომელმაც ინდიელის გამოჩენისთანავე სასტუმროდან მოკურცხლა! ქალბატონო, მერწმუნეთ, მე! ჯანდაბა! ეს რა თაიგული დამხვდა!

ლუსიენა (ცოტა დაბნეული) დიახ... დიახ... (ჩიხში მოქცეული მაგიდას შემოუვლის და ჩუმად სხვებს ამოეფარება).

პოში (სიცილით, ლამის დაიხრჩოს) კი, მაგრამ ყველა ერთად ცხოვრობთ! ჰი-ჰი-ჰი! რა მაზალოა!

ყველანი (ერთად შეკრულები, შიშით შეჰყურებენ, ყრუდ) ო-ო-ო!

პოში (საერთო განწყობილებას ამჩნევს, სიცილს შეწყვეტს) რა მოგივიდათ?

ყველანი (ცოცხლად) არაფერი, არაფერი, არაფერი.

პოში (თავისთვის) ძალიან სიმპათიურები, ძალიან, მაგრამ ოჯახად გადარეულები ჩანან. (მარჯვნივ გადაინაცვლებს).

რაიმონდა რა მოუვიდა? რა მოუვიდა?

ლუსიენა (ჩუმად რაიმონდას) საცოდავი. გარწმუნებ, ექიმს უნდა აჩვენო.

ეტენი (ამ სცენის მსვლელობის დროს სიღრმეში კარებთან იდგა. ჩამოდის და ჩუმი ხმით) ქალბატონი თუ ინებებს ექიმს გამოვიძახებ.

რაიმონდა რაც გინდათ, ის ქენით.

ეტენი კეთილი ქალბატონო. (უკან ბრუნდება).

პოში (ეტენის მისდევს) მობრძანდებით?

ეტენი დიას ბატონო!

პოში არ დაგავიწყდეთ, ბატონი შანდებიზის გაფრთხილება...

ლუსიენა (რაიმონდას) გესმის!

ეტენი (პოშს) დიას, ბატონო, დიას. (გადის, კარებსაც გაიხურავს)

ტურნელი რატომ ისულებს თავს?

რაიმონდა შეუძლებელია. ნამდვილად წინასწარ ჩაწყობილი ფანდია.

პოში (დანარჩენებს მოუბრუნდება და სიტუაციის ახსნას ცდილობს) ყველაფერი იმის ბრალია, რომ ჩემი ლივრეა ჩამოკიდებული დამრჩა... ასე არ არის?

ლუსიენა, ტურნელი (წინააღმდეგობას არ უწევს) დიას, დიას!

რაიმონდა (ტურნელს ჩაუვლის პირდაპირ, პოშს მიაღვება და ავტორიტარულად) ეხლა კი კმარა! ეხლა კი კმარა!

პოში (გაშტერებული პირლია დარჩა) ჰა?

რაიმონდა (მტკიცედ, გარკვევით) თუ ავადა ხარ, გვითხარი და გიმკურნალებთ! თუ ეს წინასწარ მოფიქრებული ფანდია, გაფრთხილებ, მორჩი სისულებებს!

პოში (ისევ გაოცებული) ვაი!

რაიმონდა ხომ ავიხსენით რაც მოხდა, როგორც ორჯერ ორი რომ ოთხია ისე დაგიმტკიცეთ, რომ ჩემსა და ბატონ ტურნელს შორის არაფერი მომხდარა! ქალბატონი ჰომენიდესიც აქ არის და ჩემს სიმართლეს დაგიდასტურებს.

ლუსიენა ნამდვილად.

რაიმონდა უნდა იკმარო! თუ მაინც გგონია რომ... როგორც გინდა ისე მოიქეცი. ბატონი ტურნელი აქ არის და მზადაა ყველაფერზე პასუხი გაგცეს.

ასე ლაპარაკით სახელოში ხელი წაავლო ტურნელს, რომელიც ამ დროს ლუსიენას ელაპარაკებოდა და მოულოდნელად პოშისკენ უბიძგა.

ტურნელი (მოძრაობაში) მე – ე?

პოში (ტურნელის თავი მუცელში ხვდება, ხელით მარცხნივ მოისვრის) ოჰო!

რაიმონდა სწორედ თქვენ! (ისევ პოშს) უკვე სულ ერთია გჯერა ჩვენი, თუ არ გჯერა. ისე მაინც მოიქეცი, როგორც... სიტუაციას შეეფერება, შეეშვი თეატრს და იდიოტის თამაშს.

პოში მე?

რაიმონდა რას გავს ეს! ეხლახან ყველაფრის გჯეროდა, გვეხვეოდი გვეფერებოდი და გვკოცნიდი... ათი წუთის მერე ყელში სწვდი ბატონ ტურნელს.

პოში (ტურნელს მიუბრუნდება) მე თქვენ... ყელში გწვდით?

ტურნელი დიახ.

რაიმონდა ბოლოს და ბოლოს რას გავს ეს! გჯერა ჩვენი, ჰო თუ არა!

პოში ბარემაც!

რაიმონდა მაშ, მოდი გვაკოცე კიდევ ერთხელ და მოვრჩეთ.

პოში ათჯერეც გააკოცებ.

ყველანი მშვენიერია

პოში ხელის გულით ტუჩებს მოიწმენდს და რაიმონდას საკოცნელად გაიწევს.

რაიმონდა (პოში ლოყაზე საკოცნელად ემზადება, რაიმონდა მოულოდნელად ხელს კრავს) არა.

ტურნელი (წონასწორობა დაკარგული პოში ტურნელს ფეხზე დაეცემა, ტურნელი სიმწრისაგან წამოიყვირებს) ვაი!

ყველანი რა მოხდა?

რაიმონდა (აღშფოთებული) შენ რა დალიე?!

პოში ჰა?

რაიმონდა ღვინის სუნი აგდის

პოში მე?

რაიმონდა (პოშს ნიკაპზე ხელს წაავლებს და მოახლოვებული ტურნელისკენ მიაბრუნებს მის სახეს) აი, უსუნე, ჩემო ძვირფასო, უსუნე!

ტურნელი (ასფიქსიაში ჩავარდნილი უკან დაიხევს) ფუუუ!

რაიმონდა ხედავთ!

ტურნელი ფუ-უფ! ღვინით სავსე კასრი.

რაიმონდა შენ დალიე?! შენ სმაც დაგიწყია!

პოში რაო? ვსვამო? ამას სმა ჰქვია?! სამი თუ ოთხი ლიტრი დავლიე სისხლის მოძრაობის ასაჩქარებლად... თქვენც ასე მოიქცეოდით. ამის გამო ამბის ატეხვა იქნება...

რაიმონდა (ბრუნდება) ხომ გითხარით! მთვრალია, გალეწილი მთვრალი.

ყველანი (შოკირებული) ო-ო!

პოში (ბრმასავით მისდევს რაიმონდას) მე-ე? რას ამბობთ!... სულაც არა!... იცით, ჩემო ქალბატონო!

რაიმონდა (ხელით იშორებს) წადით, ბატონო, წადით და სხვაგან მოინელეთ თქვენი სიმთვრალე!

პოში რაო?

ტურნელი შენ! შენ! ვიქტორ-ემანუელ

პოში (ტურნელს სახეში) პო-ში, თქვენის ნებართვით პო-ში! პო-ში! (რამდენჯერმე იმეორებს თავის სახელს და ყოველი ში-თ ტურნელს ღვინის სურნელში ახვევს).

ტურნელი (შეწუხებულია ღვინის სუნით, ორივე ხელით იგერიებს) ეი, პოშ, რადგან ასე გირჩევნია!

ლუსიენა (პოშთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად სწრაფად მარჯვნივ გადაინაცვლებს) ოხ!

პოში (წონასწორობას ძლივს ინარჩუნებს) დიახ, ასე მირჩევნია! ასე მირჩევნია! (თავისთვის) ასეა, და რა ვქნა! (ბუტბუტით) თუ ასე გაგრძელდა, გავცოფდები...

რაიმონდა სირცხვილია.

სცენა V

ივიკენი, ფინაში, ეტიენი.

ეტიენი (სირბილით) აი, ექიმიც, მადამ, ახალი ხაზიდან ყველანი-ახ!

ფინაში (რაიმონდასთან მიიღებს) რა მოხდა? ეტიენმა მითხრა, რომ ჩემთან რეკავდა? (მეგობრულად ხელით ესაღმება პოშს) გამარჯობა შანდებიზ.

პოში (თავს აქეთ-იქით ტრიალებს) სად არის შანდებიზი?

ფინაში (რაიმონდასკენ მიბრუნებულ ფინაში თავაზიანი ღიმილით ეპასუხება პოშის „ხუმრობას“) ჰა-ჰა! ძალიან სასაცილოა (ისევ რაიმონდას) რაშია საქმე?

რაიმონდა (პოშზე მიუთითებს) საქმე იმაშია, რომ ბატონი გალექილი მთვრალი გახლავთ.

ფინაში (გაოცებისაგან შეკრთება) კარგი, ერთი? ისა?

ეტენი (ასევე გაკვირვებული) რაო, ბატონო?

ტურნელი და ლუსინა დიახ, დიახ.

პოში მე?

რაიმონდა უსუნეთ, ერთი უსუნეთ!

ფინაში (პოშს უახლოვდება) ვნახოთ! არა, შეუძლებელია!... თქვენ ნასვამი ხართ?

პოში მე? (დამცინავათ აიჩივებს მხრებს) ფუჰ!

ფინაში (პოშის ამოსუნთქვა სულს შეუხუთავს, უკან იხევს) ოჰ!

პოში მასხრობაა და სხვა არაფერი!

ფინაში (რაიმონდას, პოში ჰყავს მხედველობაში) ოჰ-ოჰ-ოჰ! ძალიანაც მაგრა!

რაიმონდა აი! ხომ ხედავთ!

ეტენი (პატარა ტახტს უახლოვდება, შეშფოთებული) ოჰ! ბატონო!

პოში რა იყო?

ფინაში ჩემო საბრალო მეგობარო! ასეთი რა დაგალევიან, რომ ამ დღეში აღმოჩნდით?

პოში შენც? შე-ენც? (ფინაშისკენ გაიწევა) ერთი, მითხარი, ჩემო კაცუნა...

ფინაში (უკან იწევა) კაცუნაო?!

პოში არ გეყოფო ჩემი დაცინვა? თქვენზე მთვრალი არცა ვარ...

ფინაში (ცდილობს დაამშვიდოს) კარგი! დაწყნარდი, დაწყნარდი!

პოში (ფინაშს წინ გაუვლის, თითოეულ პერსონაჟს, მიმართავს თითო ფრაზით. ისიც უკან დახევით ეთანხმებიან დიახ!... დიახ!... დიახ!... ამასობაში შეშფოთებული პოში სცენის მარცხენა მხარეს გადაინაცვლებს). დიახ, ეს სიმართლეა! ვინ გადაწყვიტა ჩემი მოსვლისთანავე გასულელება? მე თქვენ არ გიცნობთ! რა გინდათ ჩემგან? ბატონო შანდებისზის სანახავად მოვედი! ჰოდა, ბატონო შანდებისზის ნახვა მინდა! მორჩა და გათავდა!

ქულს თავზე დაიხურავს და გაცოფებული სცენაზე დააბიჯებს, ჯერ ზევიდან ქვევით, მერე ქვევიდან ზევით, ტახტის თავთან ირიბად, მაგრამ ერთ ხაზზე ჩამწკრივებული პერსონაჟები გამტყერებულები შეჰყურებენ

პოშს №1 ეტიენი- №2 ფინაშის გვერდით რეიმონდა-№3 ფინაშთან, მერე
ლუსიენა-№4 ტურნელი-№5.

ფინაში (თვალებს არ უჯერებს) ვაი-მე! ვაიმე!

რაიმონდა (ფინაშს) ხომ ხედავთ!

ლუსიენა საღი გონების ერთი პატარა გაელვება და მერე ფრუტ
აღარაფერი!

ტურნელი შუა დღის მერე სულ ასეა...

ფინაში რა კარგად არის!

ყველა პოშს შეჰყურებს სასოწარკვეთილი თავის ქნევით
პოში (ხედავს, რომ ყველა თვალი მისკენ არის მიპყრობილი) ჰოდა რა?
რა მოხდა? რას მიყურებთ? მე კარგი ბიჭი ვარ, მაგრამ ჩემს გოგრას
რომ დასცინიან...

ფინაში მართალი ხარ ჩემო მეგობარო.

ყველანი დიას, დიას!

პოში ნუთუ?! (წამოდგება სცენას ბურტყუნით ჩაივლის)

რაიმონდა (ფინაშს) წარმოგიდგენიათ? არა, წარმოგიდგენიათ, რა ხდება.

ტურნელი აბა, აბა.

გაბრაზებული პოში მაგიდის მარჯვენა მხარეს სკამზე ჩამოჯდება.

ლუსიენა და ეტიენი (დამწუხრებულები) ოჰ!

ფინაში (დიალოგი, რომელიც ამ რეპლიკას მოსდევს, ჩურჩულით მიდის.
პოშს თვალს არ აშორებენ) გონზე ვერ მოვსულვარ თუ გახსოვთ, ადრე
ჰქონია მსგავსი მოვლენები.

რაიმონდა არასდროს! არა, ეტიენ?

ეტიენი (მათ უკან დგას ზემოდან დაჰყურებს ორივეს) არასდროს!

ფინაში საქმე იმაშია, რომ ეს ჰალუცინაციები საკუთარი თავის
დავიწყებამდე მისული ამნეზია მხოლოდ გამოუსწორებელი ლოთობის
შემთხვევაში შემხვედრია.

ყველანი რას ამბობთ?

ფინაში ამის შემდეგ მხოლოდ delirium tremeng მოდის, თეთრი ციებ-
ცხელება.

ყველანი სიბრაღურით შეჰყურებენ პოშს, ო-ო-ო! გაღიზიანებული
პოში ქუდს მოიხდის და გამეტებით ურტყავს მაგიდას ყველა კრთება. ვაი!
რაიმონდა კი, მაგრამ ეს ხომ უაზრობაა! ჭამის დროს ერთად ერთ
პატარა ჭიქას სვამს...

ტურნელი და იმასაც სანახევროდ...

ეტიენი სწორია! დატოვებულ ნახევარს მე ვამთავრებ ხოლმე რომ არ
გაფუჭდეს.

ლუსიენა მართლაც ერთი მომცრო ჭიქაა სადილ-ვანშამზე...

ფინაში ასეა, ასე. მაგრამ ხანდახან მცირედიც საკმარისია. ლოთობა რაოდენობაზე კი არა, უფრო იდიოსინკრაზიაზეა დამოკიდებული.

ტურნელი სწორია!

ყველა ტურნელის გარდა რაზეო?

ფინაში იდიოსინკრაზიაზე!

ტურნელი დიას! (*მიმართავს ფინაშს, კმაყოფილია თავისი უპირატესობით*) არ იციან! (*სხვათა რიგს გამოეყოფა, მაყურებლისკენ ზურგშექცევით დადგება და ხსნის*) ეს ნიშნავს პიროვნების მეტ-ნაკლებ მიდრეკილებას, ან განწყობას... იდიოტიზმისაკენ.

ფინაში (*აქამდე თავის დაკვრით ეთანხმებოდა ტურნელი. უცებ მოჭწრის*) რაა? არა, კაცო, არა!

ტურნელი (*გაკვირვებული*) მე კი ვიფიქრე... (*ისევ №2 ადგილს იკავებს*)

ფინაში იდიოსინკრაზია არის ცალკეული პიროვნების კონკრეტულ მოვლენაზე რეაგირების უნარი. ამგვარად, ვიღაც სამ-ოთხ ლიტრას, როგორც არაფერს ისე მიირთმევს ყოველდღე, სხვა კი ერთ მომცრო ჭიქას დალევს და ლოთდება.

პოში (*ერთხანს მათ შეჰყურებს, მერე მოულოდნელად წინ გადმოიხრება და თავისათვის ჩაილაპარაკებს*) ნაგვები! ისევ მასხრად მიგდებენ.

ფინაში რა თქმა უნდა, საშიშროება სწორედ მეორე კატეგორიას ელის! თავს არ უფრთხილდება! პატარა ჭიქა ჭამის დროს! რა მოხდა მერე! არც არაფერი სანამ... სანამ ერთ დღეს კრიზისი არ დაიწყება... და აი! აი შედეგიც!

ყველა (*ისევ ერთად, მჭიდროდ დგანან, ოდნავ მოხრილი მუხლებში და პოშს სიბრაღულით შეჰყურებენ*) ვაა!

პოში (*პაუზის შემდეგ*) აი, თქვენ! მწკრივო! კარგა ერთობით?

ყველა რა-ა?

პოში (*ქუდს თავზე დაიხურავს, წამოდგება*) მშვენივრად გესმით, რასაც ვამბობ! ჰოდა, მორჩით, თორემ ეს მასხრობა ცუდად დამთავრდება.

ფინაში (*მისკენ გაემართება*) რა მოხდა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რაშია საქმე?

პოში ეხლავე გაიგებთ, რომ იდიოტი არა ვარ!

ფინაში (*ცდილობს დაამშვიდოს*) კაი! კაი! (*სხვებს მიმართავს*) ხელავთ. ღიზიანდება!... ესეც ერთერთი გამოვლინებაა!

პოში (*ფინაშისკენ წაიწევს*) რაო?

ფინაში არაფერი, ჩემო კარგო, არაფერი. აბა ერთი ხელი გამომიწოდე.

პოში (*გაკვირვებული*) ხელიო?

ფინაში (*ხელს გამოწევს, ხუთივე თითი გაშლილი აქვს*) ჰო, აი ასე!

პოში (მექანიკურად დაემორჩილება) რატომ? (გაწვდილი ხელი შესამჩნევად უკანკალებს).

რაიმონდა ოჰ! როგორ უკანკალებს!

ყველანი ოჰ!

ფინაში (ხელს მაჯაზე წაავლებს) აი, აი ხედავთ?! ხედავთ, ალკოჰოლური ტრემორი, ანუ კანკალი ყველაზე მეტად მახასიათებელი სიმპტომია.

პოში (ბრაზიანად შეტოკდება) უ-უხ-ხ-უხ!

ყველანი (შიშით შეკრთებიან) ვაი!

პოში (ფეხების ბაკუნით რაიმონდასა და ფინაშს შორის გაირბენს, ფინაში უკან დაიხვეს) საკმარისია! მომბეზრდა! კმარა!

ყველანი (ასევე უკან გაიწევიან) ოჰ! ღმერთო ჩემო!

ფინაში (პოშის დაწყენარებას ცდილობს) დამშვიდდი, ჩემო კარგო, აბა, ასეთი რა მოხდა?

პოში (რაიმონდას) თქვენ გინდათ გავგიჟდე? გავბრაზდე?! გავცოფდე?!

ყველანი არა! არა!

რაიმონდა ძვირფასო, კმარა, დაამშვიდდი.

პოში (რაიმონდას მიუტრიალდება და სახეში ახლის) თქვენ კი! მომწყდით თავიდან.

რაიმონდა (უკან დაიხვეს, შემკრთალი) რაო, რა მოთხრა?

ტურნელი (რეპლიკის მოწოდებისას ხელს შეაშველებს რაიმონდას. დანარჩენები მათ მოძრაობას იმეორებენ და მარცხნივ გადაინაცვლებენ) არაფერი, არაფერი!... ყურადღებას ნუ მიაქვევთ! ასეთ დროს კაცებს გონება ეკარგებათ... მოდით, აქეთ მობრძანდით! ნუ გააღიზიანებთ!

რაიმონდა (სცენის სიღრმიდან) ეს უკვე მეტისმეტია! ლოთობა არ იკმარა! როგორ გამიბედა, მომწ... რაო, რა მოთხრა?

ფინაში (ყველას მარცხენა კარისკენ უბიძგებს) ძალიან აგზნებულია! აბა როგორ გინდათ? დამტოვეთ მარტო... ეტიენტან ერთად, იქნებ ლოგინში ჩავაწვინო.

რაიმონდა (გასვლისას) ჰო, ჰო დაწვეს, თორემ უკვე აღარ ვიცი...

ფინაში აუცილებლად, აუცილებლად! მიბრძანდით, ტურნელ! (ლუსიენას) ქალბატონო, ბოდიშს მოგიხდით.

ლუსიენა რას ბრძანებთ, ექიმო! რა უბედურებაა, ამ ასაკში...

ტურნელი ნუ იტყვით! ისე მახსოვს, ერთხელ სულ მცირეწლოვანი ლოთი შემხვდა, თორმეტი წლისა იყო... ზაფხული იდგა და...

რაიმონდა არა, ეხლა არა! სხვა დროს გაგვართეთ თქვენი ამბები გადიან. (ეტიენი, რომელიც ყველას წინ მიუძღვოდა გასაცვილებლად, სცენის სიღრმეში, ცენტრალური კარის მარჯვნივ დგას.

სცენა VI

პოში, ფინაში, ეტიენი.

ფინაში (*პოშისკენ გაემართება. ეს უკანასკნელი ნერვიულად დააბიჯებს სცენაზე*) ეხლა კი, ჩემო მეგობარო!

პოში მაგარი ხარ! კიდევ კარგი მიაბრძანე ყველანი, თორემ მაგათი საქმე ცუდად წავიდოდა.

ფინაში ეშმაკმა დალახვროს! მოგიხვდი და იმიტომ გავისტუმრე.

პოში არა, მაინც ვინ ყოფილან? ეს რა ხალხი ყოფილა? ცოტა გაბურღულები ხომ არ არიან?

ფინაში (*თავაზიანად*) გაბურღულები! გაბურღულები!

პოში (*მოახლოეულ ეტიენს*) რას ვამბობდი?! ჰო გაბურღულები!

ეტიენი (*ფინაშივით თავაზიანად*) ნამდვილად თავგაბურღულები არიან.

პოში კი მაგრამ ვერ გამაფრთხილეთ, ვერ მანიშნეთ!... ჩუმად უნდა გეთქვათ-ფრთხილად, შერეკილები არიან! (*მიმართავს ფინაშს, რომელმაც ღრო იხელთა და, მაჯისცემის დასათვლელად, ხელი მოკიდა*) ხელი რატომ წამავლეთ?!

ფინაში (*მარჯვენა ხელით საათი ამოიღო*) ისე, ისე... მეგობრულად!

პოში (*უდარდელად*) ჰოო! (*თავის სათქმელს უბრუნდება*) ასე აღარ გავცეცხლდებოდი! (*სიცილით*) ეგეთებთან არაფერი მეშლება. თავქარიანებს მათსავე ენაზე უნდა ეჭიკჭიკო.

ფინაში (*საათს ჯიბეში იღებს*) რა უცნაურია! მაჯისცემა თითქმის არა გაქვთ.

პოში რაო?

ფინაში მაჯისცემა თითქმის... (*ეტიენს მიმართავს*) სულ არა აქვს მაჯისცემა.

პოში (*მხიარულად*) აბა საიდან მექნება. დღეს ჩემი მაჯა არ მიცემია და... (*კმაყოფილი ხითხითით მარჯვენა მხარეს გადაინაცვლებს*).

ფინაში (*ნაძალადევი თავაზიანობით იცინის*) ძალიან სასაცილოა, ძალიან! (*ეტიენს ხელს ჰკრავს, ჩუმად გადაულაპარაკებს*) იცინეთ, თქვენც იცინეთ!

ეტიენი მე-ეც? კარგი (*ცოტა უხერხულად იცინის*)

პოში (*ეტიენზე მიუთითებს*) ეს ლაქიაც როგორ გაერთო.

ფინაში (*№2 გადადის*) აბა, აბა, აბა! (*უცებ ძალიან სერიოზულად*) კარგად ვიმხიარულებთ, ეხლა კი ცოტა ჭკუას მოუხმეთ.

პოში რა-ა?

ფინაში აუცილებლად! მე, თქვენი მეგობარი ვარ... (უყოყმანოდ და კატეგორიულად) თქვენ მე კარგად მიცნობთ.

პოში არა!

ფინაში (ცოტა დაბნეული) ჰო-ო მაშ კარგი... მე ექიმი ვარ, კარგი ექიმი. მე ვმკურნალობ... ავადმყოფებს... ვავას ვუშუშებ, ნახარშებს ვასმევ, დიეტას ვუნიშნავ... კარგი ექიმი!

პოში გეყო რაღა, ჭკუასუსტი კი არა ვარ! ვიცი, ექიმი ხარ!

ფინაში ასე არ ჯობია!

პოში (თავისთვის) ნეტავ რატომ ისულელებს თავს?!

ფინაში (დინჯად, ჩაფიქრებით) გიყურებთ, გაკვირდებით და... ვგრძნობ, ვგრძნობ, რომ დაღლილი ბრძანდებით.

პოში (გაკვირვებული) ვინ? მე-ე?

ფინაში დიას, დიას, თქვენ დაღლილი ხართ (ეტენს მიმართავს) დაღლილია!

ეტენი (მხარს აუბავს) დაღლილია!

პოში დაღლილი? ჯანდაბას! როგორ არ ვიქნები დაღლილი. დილის ხუთ საათზე ავდექი, სასტუმრო გამოვგავე, პარკეტი ავაპრიალე, შემა ამოვზიდე...

ფინაში რა თქმა უნდა...

ეტენი რა თქმა უნდა!

ეტენი და ფინაში (ერთმანეთს გადახედავენ, თავს მწუხარეთ აქეთ-იქით გადააქნევენ) უფ-ფ!

ფინაში ჰოდა, გაიხადეთ და ლოგინში მოისვენეთ!..

პოში მე! არა, არა!

ფინაში (კვლავ ეთანხმება) კეთილი, მაშინ ეს ქურთუკი მაინც გაიხადეთ. რაღაც უხერხულად გრძნობთ თავს. ეტენი ხალათს მოგართმევთ... ძალიან კარგ, საშინაო ხალათს!

პოში კი მაგრამ, ჩემი ლივრეა?

ფინაში აუცილებლად, აუცილებლად. ხალათი ისე, ვიდრე ლივრეას ჩაიცმევდეთ (ეტენს ანიშნებს) არა, ეტენ?!

ეტენი დიას, ბატონო ექიმო. (წამოიწევა, მავიდას შემოუვლის და მარჯვენა ოთახში შედის).

ფინაში (სარგებლობს, რომ პოშმა მზერა გააყოლა ეტენს, ზურგიდან მარცხენა ხელს სხეულზე შემოახვეს და მავრად დაიჭერს, პოშის მარჯვენა მხარეზე შემოდებული მარჯვენა თავისუფალი ხელით მისი საძინებელი ოთახისკენ მიუთითებს) იქით! ეხლა იქით! (ასე ლაპარაკით

და ჯიკავ-ჯიკავით, ოთახისკენ გაისტუმრებს) იმ ოთახში მშვენიერი საწოლია...

პოში რას მტუმბავს ეს კაცი, სად მეჩქარება?

ფინაში იქ მოისვენებთ...

პოში ზღვის ავადმყოფობას დამმართებს...

ფინაში და კარგ ნანას გამოაცხობთ...

პოში (ძობრუნდა) მე? კი მაგრამ! გადაირიეთ? და... და... ბატონი შანდებიზი?

ფინაში ბატონი შანდებიზი? (ხელებს აღაპყრობს, თავისთვის ჩაილაპარაკებს) ო, ღმერთო! (პოშს მიმართავს) თუ დაგტუქსათ, მოდიტ და მე მითხარით!

პოში (დაეთანხმა) მაშ კარგი!

ეტენი (ხალათი მოაქვს) აი, თქვენი ხალათიც!

ფინაში აბა! გაიხადეთ ქურთუკი!

პოში (ეტენისა და ფინაშს სურღუკის გახდას ანებებს) კარგი! არაფერს ვამბობ, მაგრამ რასაც გინდათ იმას მაკეთებინებთ!...

ფინაში ცომივით რბილი ხართ! (ჩააცმევენ ხალათს) რაღას იტყვით? ხომ კარგია?!

პოში (ხალათის ქმარს შეიკრავს) ოჰ, ლორდ-მერის მეეტლეს არ დავემსგავსე?!

ფინაში (ეტენი ამ დროს სურთუკს მაგიდის მარჯვნივ, სკამზე გადაკიდებს) აი, ხომ ხედავთ!

პოში ლივრეაზე უფრო რბილი არ ყოფილა!

ფინაში აბა რა გეგონათ! ეხლა კი რაღაც გუმანით ვხვდები, რომ წყურვილმა შეგაწუხათ!

პოში (მხიარულად) ძაან ეშმაკის ფეხი ყოფილა თქვენი გუმანი!

ფინაში პოდა, ახლა რაღაცას დაგალევიან... შეიძლება ძალიან არ მოგეწონოს, მაგრამ მაინც უნდა დალიოთ.

პოში ჭაჭაა?

ფინაში წააგავს, წააგავს!

პოში (მარჯვნივ გაიწევა) მოსულა! არ მეშინია!

ფინაში ჩინებულია! ჩინებული (ეტენს, რომელიც იქვე ტრიალებს, ჩუმად გადაულაპარაკებს) ნიშადური თუ გაქვთ სადმე?

ეტენი დიახ, ბატონო.

პოში (არ ესმის, რას ამბობენ) აი ბედი! ბედიც ამას ჰქვია! (მაგიდას მარცხენა მხრიდან მოუჯდება)

ფინაში ათი წვეთი ჩავაწვეთოთ ერთ ჭიქა წყალში.

ეტენი დიახ, ბატონო!

ფინაში ხოლო როცა გამოფნიზლდება, თქვენ მას მისცემთ... (ეტიენს პირისპირ ელაპარაკება) მოიცათ გეთაყვა, რეცეპტს გამოგიწერთ. (მარჯვნივ მოდის) საწერი კალამი თუ არის სადმე?

ეტიენი (პატარა ყუთს მიუთითებს, რომელიც ფანჯრის რაფასთან დგას) აი იქ, იმ პატარა მაგიდაში!

ფინაში (იქით გაემართება) ჰო, მაგრამ, ჯერ წაიყვანეთ... წაიყვანეთ და დააწვინეთ!

ეტიენი დიახ, ბატონო ექიმო (სიყვარულით მიმართავს პოშს) მობრძანდით ბატონო! თუ ინებებთ, ბატონო, აი ასე, ხელი მომკიდეთ!

პოში (გულაჩუყებული, წამოდგება და ხელს ჩაჰკიდებს) რა კეთილი ყოფილხართ, რა კარგი გულის პატრონი!

ეტიენი (ხელკავით მიჰყავს მარჯვენა ოთახისაკენ) ბატონი პატივს მღებს.

პოში ნამდვილად. ისე, მაგრა მადარდებს შენი ამბავი, რქები რომ დაგადგეს.

ეტიენი მე-ე?

პოში თვითონ არ შემომჩივლეთ!

ეტიენი (პოშს წინ გაატარებს) კი მაგრამ, თურმე არ ვყოფილვარ რქიანი. თურმე კონსიერჟთან ერთად სუპს მიირთმევედა.

პოში (№1, გასვლისას) ჰო-ო! თუ მხოლოდ ამას მიირთმევედა, კეთილი და პატიოსანი!

გადიან.*

სცენა VII

ფინაში, მერე კამილი, შემდეგ ანტუანეტა და ეტიენი.

ფინაში (ვიდრე ეტიენს ესაუბრებოდა, მოიტანა საწერი მოწყობილობა და დივანის წინ გახსნა. თვითონ მაყურებლის პირის პირ, მაგრამ დივანსა და საწერი მოწყობილობის უკან დგება). ჟანდაბა! რა სუნია! ქალაღლია სუნამოთი გაჟღენთილი! (თქვა და სხვირთან მიიტანა იისფერი ქალაღლი, რომელიც ლუსიენმა წინა მოქმედებაში იხმარა თავისი წერილის პირველი ვარიანტისთვის როგორც კი ქალაღლი მიიტანა, თუ არა ცხვირთან

* როგორც კი სცენიდან გავა მსახიობი პოშის კოსტუმს (ჟილეტსა და შარვალს) გაიხდის, რადგან მომდევნო სცენის შემდეგ საამისო დრო აღარ ექნება. ჟილეტსა და შარვალს გაიხდის თუ არა, ჩაიცმევს ლივრეას და ზემოდან ხალათს შემოიცვამს. ყელზე ისევ პოშის შარფი უნდა ეკეთოს. შანდებიზის შარვალი განსაკუთრებული ფერისა არ უნდა იყოს. იმ პატარა ნაწილით, რომელიც ხალათის ქვეშ გამოჩნდება, მაყურებელი ვერავინ მიხვდება, მსახიობს რა აცვია.

დაწერილი პირველი გვერდი მაყურებელის თვალთახედვის არეში აღმოჩნდება) ჰო, სუნამოა! კინალამ დამივარდა (დაწერილ ფურცელს სხვა ქაღალდებში შეაცურებს, მერე საწერ მოწყობილობას მოუვლის, მაყურებლისკენ ზურგით ჯდება და საწერად ემზადება. როგორც კი რეცეპტის გამოსაწერად კალამს მოიმარჯვებს, შემოსასვლელი კარების დახურვის ხმა ისმის) შემოსასვლელი კარი დაკეტეს!.. კამილი უნდა იყოს.

კამილი სცენაზე შემოდის.

კამილი (ფინაშს შეამჩნევ სულმოუთქმელად აქოშინებული მიმართავს) თქვენ! ო, ექიმო, თქვენი სასტუმრო დიდხანს მესსომება! იქ ამბები მოხდა! იქ ამბები დატრიალდა!

ფინაში (ზის, კამილის აჩქარებული ლაპარაკიდან სიტყვა ვერ გაიგო) რაო? რაო? ასე ჩქარა ნუ ლაპარაკობ.

კამილი რომ იცოდეთ, რა დატრიალდა!

ფინაში ხიდი ჩაიდეთ პირში, დალახვროს ემმაკმა! ტყუილა მოგიტანე!

კამილი დავკარგე, ჩემი ხიდი, დავკარგე!

ფინაში როგორ?

კამილი სილა გამაწნა ინგლისელმა, ჰაერში ამომატრიალა და ჩემი ხიდიც ზედ მიაყოლა. (მიმიკას იშველიებს)

ფინაში (ძლივს გაიგო) ინგლისელმა ყბაში სილა გითავაზა!

კამილი აბა! მარტო ეს რომ ყოფილიყო... რაღაც კოშმარი გადავიტანე!.. თანაც ვინ არ შემხვდა იმ სასტუმროში! ტურნელი! რაიმონდა! შანდებიზი... ზურგით შემას ეზიდებოდა! მითხარით ერთი, რატომ ეზიდებოდა შემას? ქალბატონი ჰომენიდესიც იქ იყო, მისი ქმარი კი მოსაკლავად დასდევდა! პაფ! პაფ! ყველაფერი ვნახე, ყველაფერი ვიგეძე! ო-ო! რა ტრაგედიაა! ღმერთო ჩემო! რა ტრაგედიაა! (მარჯვენა მაგიდის მარცხენა სკამზე უღონოდ დაეშვება)

ანტუანეტა (მარცხნიდან შემოდის) ქალბატონმა გამომავაზნა, ექიმს შეეკითხე ბატონი როგორ არისო!

ფინაში ბატონი? უკეთ! უთხარით, რომ უკეთ არის. (წამოდგება) ან მოიცადეთ! მე თვითონ ვეახლები.

კამილი რა მოხდა?

ფინაში (ადის) არაფერი, შანდაბიზი ვერ არის კარგად.

კამილი (თავს გადააქნევს) გასაგებია!

ეტინი (შანდაბაზის ოთახიდან გამოდის) ბატონი წავიდა (მარჯვენა მხარეს გაემართება)

ფინაში შესანიშნავია.

ეტენი (გაივლის და მაგიდიდან პოშის მიერ დატოვებულ ქუდს აიღებს) სალამო მშვიდობისა, ბატონო კამილ!

კამილი გამარჯობა, ეტენ.

ფინაში (სიღრმიდან, ანტუანეტას გვერდითაა) მიდით, ეტენ, ნიშადური მოამზადეთ, სანამ მე ქალბატონს მოვინახულებ.

ეტენი კეთილი, ბატონო.

ეტენი შუა კარიდან გადის და კარი ორივე მხარეს ღიად ტოვებს. ფინაში და ანტუანეტა მარცხნივ, სიღრმიდან გადიან.

სცენა VIII

კამილი, მერე პოში.

კამილი როგორ დავიღალე! როგორ გამოვიფიტე! (წამოდგება, წინ გაივლის) საცოდავი ბუმბულივით ვარ, რომელიც საშინელმა ციკლონმა აატრიალა... (მარჯვენა წინა კარზე აკაკუნებენ, კამილი იგივე მოშვებული ინტონაციით ეხმიანება) მობრძანდით! გონება მეკარგება!

პოში (შემოდის ხალათში გახვეული) ბოდიშს მოგიხდით!

კამილი ვიქტორ-ემანუელ!

პოში (ხუმრობით, მრისხანე ხმით) შეხე, ეს ის ბატონი არ არის, რომელიც დღეს სასტუმრო „მოტრფიალე ფისუნიაში“ შეგვხვდა?

კამილი (დატუქსვის შიშით ჩუმად, თავისთვის) ჯანდაბა!..

პოში ერთი მათთაგანი!

კამილი (თავისთვის) ეტყობა მიცნო! (მიდის პოშთან და პირისპირ უდგება) ახლავე მოგიყვები... იქ თუ ვიყავი საბაბიც მქონდა... შესანიშნავი საბაბი. ამას წინათ მითხრეს, რომ ერთი ადამიანი...

პოში (რაც კამილმა ლაპარაკი დაიწყო, გაოცებისაგან გაშეშდა, პირი დაალო და შეუმჩნეველად დაიხარა კიდეც, რომ კარგად დაინახოს რა ხდება მისი მუსაუბრის ხახაში) ნეტა, რა არის ამ პირში?

კამილი (შეცბა) რა?

პოში ჩაახველე, ბიჭო, ჩაახველე!

კამილი (დაბნეული) არაფერი არა მაქვს... პირში. (ისევ თავის სათქმელს უბრუნდება) ამას გეუბნებოდი. სასტუმროში იმიტომ წავედი, რომ ერთ კაცს... დაზღვევა უნდოდა!

პოში (ლაპარაკს არ აცლის) რას ამბობ? სულ ფეხზე მკიდა.

კამილი (შეცბა) რა-ა!

პოში ეგეები მე არ მეხება. წყურვილით დავიხრჩვი კაცი. შემპირდნენ დასალევს მოგიტანთო და დაავიწყდათ.

კამილი ვინ შეგპირდა? (წარმოთქვამს ი-ე-იპა)

პოში (მექანიკურად იბეორებს, როგორც ადამიანი, რომელმაც ვერა გაივლო რა) ი-ე-პა?

კამილი (ხმამალლა, ცდილობს უკეთ გამოთქვას) ი-ე-პა? (იგივე გამოსდის).

პოში ვინ შემპირდა?! ი-ე-პა თქვი-და! ვინ და ექიმი!

კამილი (დაფაცურდება) დაავიწყდა, რის თქმა უნდა, ახლავე წავალ.

პოში დიდი მადლობა! მწყურია და ამიტომ გაწუხებთ, პირი გამიშრა.

კამილი რა თქმა უნდა. გავრბივარ.

პოში გმადლობთ!

პოში ოთახში შედის და კარს მოხურავს. სცენიდან გასული მსახიობი იმწამსვე იხდის ხალათსა და ჩუსტებს. ვარცხნილობას მოიწესრიგებს, კოსტუმერი ქუდს მიაწოდებს, დაიხურავს; ყველაფერს მოძრაობაში აკეთებს, რადგან დროზე მოვიდეს ვესტიბიულის დეკორაციის მომიჯნავე კულისებში და სცენაზე ვესტიბიულის მარცხენა კიდიდან გავიდეს. სცენაზე შემოსვლა კამილის მონოლოგის დამთავრებამდე უნდა მოასწროს. კამილის პატარა მონოლოგი მხოლოდ იმისთვისაა ჩართული, რომ მსახიობმა გადაცმა მოასწროს.

კამილი (მაგიდის წინ დგას) უყურე ამას! მეგონა გამლანძღავდა... მაგრამ ძალიანაც მშვიდად მიიღო ყველაფერი. მაინც რა უცნაურია! მე გონებაშეზღუდული მეგონა... თურმე როგორ თავისუფლად აზროვებებს!

შემოსასვლელი კარის ვალების და დახურვის ხმა ისმის. ეტიენის მიერ ღიად დატოვებულ შუაკართან გამოჩნდება მარცხნიდან მომავალი შანდებიზი, რომელიც გასაღების შეკვრას იღებს ჯიბეში.

სცენა IX

კამილი, შანდებიზი.

კამილი (შანდებიზის გამოჩენისთანავე გიჟივით შეჰყვირებს, მან ხომ ახლახან ნახა ოთახში შემავალი პოში) ა-ა-ა-ა!

შანდებიზი (პირდაპირ შემოაბიჯებს, კამილის ყვირილზე შებრუნდება) რაშია საქმე?

კამილი (შეშინებულია, აღარ იცის საით გაიხედოს, თითს ხან შანდებიზისკენ იშვერს, ხან მარჯვნივ მდებარე კარისკენ, სადაც ახლახან პოში შეევიდა) ღმერთო ჩემო! იქ! იქ! და აქ! აქ!

შანდებიზი (მაგიდის უკან ოდნავ მარცხნივ) რა იყო?

კამილი (დარეტიანებული, ხან მაგიდას, ხან სკამებს ეფეთება) – ღმერთო! გავეგიჟდი! ვგიჟდები!

შანდებიზი (ორ ნაბიჯს მისკენ გადადგავს) კამილ, მოიცა!

კამილი არ მომეკარო! გიჟი ვარ! გიჟი ვარ! (პირდაპირ კარში გაუჩინარდება.)

შანდებიზი (გაოცებული) ამან, მგონი, ყველას გვაჯობა! მაინც რა ტრიალებს ღღეს ჰაერში! ოჰ! ის სასტუმრო! არა, არა კომშიარია! (შეამჩნევს მარჯვნივ სკამზე გადაკიდებულ თავის ქურთუკს) ჩემი ქურთუკი! ნეტავ, ვინ მოიტანა! ღროა მოვიშორო ეს ლივრეა. (ლაპარაკისას, იხდის ლივრეას. დებს მაგიდაზე, ქუდსაც მოიხდის და თავის ქურთუკს ჩაიცმევს) ისე, როგორი იყო ამ ტანსაცმლით ქუჩაში გასვლა! კარისკაცმა ვერც მიცნო, შემოშვება არ უნდოდა, უკანა კიბით მიბრძანდიო!

კამილი (გიჟივით მირბის ვესტიბულში მარჯვნიდან მარცხნივ, საპირისპირო მხრიდან მომავალ ეტიენს შეეჩეხება) ეტიენ გავეგიჟდი, გავეგიჟდი! (გაეცლება და მარცხენა მხრიდან გადის ყვირილით: გავეგიჟდი, ეტიენი გაშტერებული უყურებს მიმავალ კამილს).

შანდებიზი აღარ გათავდა ეს დავიდარება?!

სცენა X

შანდებიზი, ეტიენი, ფინაში, რაიმონდა, ტორნელი, ლუსიენა, კამილი.

ეტიენი (ჩამოდის) რა მოუვიდა ბატონ კამილს? რა მოუვიდა ბატონ კამილს?

შანდებიზი მეც გაკვირვებული ვარ, ეტიენ!

ეტიენი (თავისი სახელის გაგონებაზე მობრუნდება) უი! ბატონი უკვე მცნობს?

შანდებიზი რას მიქვია მცნობს! თქვენ, ალბათ, ხუმრობთ! რატომ არ უნდა გცნობდეთ?!

ეტიენი (ცოცხლად) აბა რა ვიცი, ბატონო, აბა რა ვიცი!

ამასობაში, მარცხნიდან კამილი გამოჩნდება. უკან ფინაში, რაიმონდა, ტორნელი და ლუსიენა მოსდევან.

კამილი მე თქვენ გეუბნებით გაორებულია! გაორებული! აქ! და იქ!

ყველანი რა მოხდა? რა ამბავია?

კამილი (ისევ გარბის სცენის სიღრმისკენ) ვგიჟდები, ღმერთო, ვცოფდები!
(ვესტიბიულის მარჯვენა მხარეს გაუჩინარდება)

ყველა რა მოუვიდა?

რაიმონდა (ქმარს უახლოვდება) ჩვენა ვართ, ჩემო კარგო, გვინდოდა
გაგვეგო...

შანდებიზი (რაიმონდას დანახვაზე შეკრთება) თქვენ! თქვენ აქ,
ქალბატონო?! (შეამჩნევს ტურნელს, რომელიც დივანთან
გადმონაცვლებს) ტურნელიც თქვენთანაა!!

ტურნელი

) ერთად რაო?!

რაიმონდა

შანდებიზი (ტურნელს საყელოში წვდება, კარგად დაატრიალებს და სულ
კინწისკერით წაათრევს სცენის მარჯვენა მხარეს) რას აკეთებთ, ჰა? რას
აკეთებდით, იმ... იმ საეჭვო რეპუტაციის სახლში, რომ შეგისწარით
ორივეს?

ყველანი ო-ოხ!

რაიმონდა ისევ დაიწყო!

ტურნელი (ისევ შანდებიზის კლანჭებშია) მომიტევე, მაგრამ უკვე მესამედ
გიხსნით.

შანდებიზი (მუჯღუგუნით და ხელის კვრით, სცენის მარჯვენა მხარეს
მიათრევს) მიხსნით რას? რას მიხსნით? ფიქრობთ, კიდე ავიტან
გამასხრებას, დაცინვას! აქედან მომშორდით! (ინსტიქტურად ყველა
შანდებიზის მოძრაობას აჰყვება, მაგრამ საპირისპირო მხარეს. მგვარად,
პერსონაჟები სცენის მარცხენა მხარეს შეჯგუფდებიან.)

რაიმონდა ძვირფასო!

შანდებიზი (მათკენ გაიწევა) აქედან მომშორდით!

ლუსიენა ბატონო შანდებიზ, თავი შეიკავეთ!

შანდებიზი ძალიან გთხოვთ, ქალბატონო! (დანარჩენებს) წადით-მეთქი
აქედან! თქვენი დანახვაც აღარ მინდა! (გაცეცხლებული სცენაზე
დააბიჯებს)

ფინაში (ყველას მარცხენა ოთახისკენ მიაცილებს) წადით, წადით
აქედან! ნუ გააღიზიანებთ, კრიზისშია. დაბრუნდით როცა დამშვიდდება.

რაიმონდა (ემორჩილება) ახ კრიზისი! კრიზისი! მომბეზრდა, მომბეზრდა
ყველაფერი! (გადის ლუსიენასთან ერთად)

ფინაში გთხოვთ! (ტურნელს) ტურნელ, გთხოვთ!

ტურნელი (დანარჩენებს მისდევს) სულ გასულელდა! ორი ერთნაირი აზრი არ გააჩნია.

ეტენი შუაგულიდან გაღის და კარების ორივე მხარეს გაიხურავს.
ფინაში (როცა ყველას გაისტუმრებს, შანდებიზს მოუბრუნდება) ეხლა კი, ჩემო კარგო შანდებიზ, მითხარი რაშია საქმე?

შანდებიზი (მაგიდის წინ, მარჯვენე დგას) ბოდიშს მოგიხდით, ჩემო ფინაში, გრძნობებს ავეყვი, განრისხება ვერ დავიოკე.

ფინაში არა უშავს. მშვენიერი გამოსავალია, თუ გშველით.

შანდებიზი (კვლავ ნერვიულად) დავწყნარდები, ეხლავე დავწყნარდები.

ფინაში რა თქმა უნდა! გამოკეთაბასაც გატყობთ... უკვე ხალხსაც ცნობთ!.. იცით ვინა ხართ!

შანდებიზი (გაოცებული შეჰყურებს) რაო?

ფინაში უკეთა ხართ! უკეთ!

შანდებიზი როგორ თუ ხალხს ვცნობ, როგორ თუ ვიცი ვინა ვარ? არა! ეხლა თქვენც იმათ აჰყევით...

ფინაში ვერ გავიგე...

შანდებიზი რა ხრიკებს მიწყობთ? როდის იყო, ხალხს ვერ ვცნობდი და მავიწყდებოდა ვინა ვარ?!

ფინაში სულ სხვა რამის თქმა მინდოდა... მე...

შანდებიზი შეიძლება ავხირდე და გრძნობებს ავეყვი, მაგრამ გონება, კარგად იცით, არასდროს მიბნელებს.

ფინაში (წინააღმდეგობის გაწევა არ უნდა, სწრაფად ეთანხმება) ვხედავ! მშვენივრად ვხედავ.

შანდებიზი (კმაყოფილი) ჰოდა ასე!

ფინაში დიახ, დიახ, დიახ, დიახ... მაგრამ მაინც, თქვენს ადგილას, ცოტა ხანი კიდევ ვიწვებოდი ლოგინში.

შანდებიზი (როგორც წინა რეპლიკის დროს, გაკვირვებული შეჰყურებს) რაო?

ფინაში რაში დაგჭირდათ ისევ ქურთუკის ჩაცმა?

შანდებიზი რა მაგარი ხართ! იმიტომ რომ მსახურის ტანსაცმლით სეირნობა მომბეზრდა! (მაგიდას მარჯვენა მხრიდან აუვლის).

ფინაში მსა... (თვალებს ზეცას მიპყრობს) მსახურისო? ოჰ!

შანდებიზი თქვენ ფიქრობთ, კარგია, ლაქიად ყოფნა?

ფინაში (თავისთვის) უი-უი-უი!

შანდებიზი (მაგიდას ახლა მარცხნიდან ჩამოუვლის) დიახ, ჩემო ძვირფასო, მე - ლივრეაში! მე! და ლივრეა!

ფინაში (თავისთვის) აკვიატებული აზრიც სახეზეა.

შანდებიზი იმ თქვენ „მოტრფიალე ფისუნიაში“ ყველა ფერის და ჯურის ლაქია შემომეფეთა!

ფინაში თქვენ იქ წახვედით?

შანდებიზი აბა, რა!

ფინაში იქაურობას არ უნდა გაჰკარებოდი და...

შანდებიზი (სათივით ლაპარაკობს, ტიკ-ტაკ-ტიკ-ტაკ) დიანაც! ვიყავი! რა არ გადამხდა! რა არ გადავიტანე! შეხურება იქ! გატყეპა აქ! პატრონი გიჟი! ლივრეა ჩამომაცვეს! ოთახში ჩამკეტეს! სახურავებით გამოვიპარე! კინალამ კისერი მოვიტეხე!.. და როგორც საჩუქარი ჰომენიდესი! ჰომენი-დე-სი! ყველაფერი! მე თქვენ გეუბნებით, ყველაფერი ვიგემე!

ფინაში (თავისთვის, გულაჩუყებულად) რა მძიმეაა, ღმერთო, რა ავადაა!..

შანდებიზი რა დამავიწყებს! (მაჯვნივ გაივლის).

სცენა XI

იგვიენი, ეტიენი.

ეტიენი (სინით ჭიქა წყალი და ნიშადურის ფლაკონი შემოაქვს) აი, მოვიტანე!

შანდებიზი (ეტიენს მიუბრუნდება) რაშია საქმე, ეტიენ?

ეტიენი (ფინაშისკენ გაემართება) არაფერი, ბატონო. ექიმმა რაღაც მთხოვა.

ფინაში (შანდებიზს) ჰო, ჰო, მე ვთხოვე.

შანდებიზი კეთილი. (მოშორდება. შცენას, მარჯვნიდან, ბოლომდე ჩაივლის)

ფინაში (მიმართავს ეტიენს, რომელიც მას სინს გაუწვდის) გმადლობთ! (იღებს ნიშადურის ფლაკონს და მომღვენო რეპლიკების თანხლებით, წვეთებს ითვლის)

ეტიენი (ჩუმად ექიმს) ბატონი ექიმი კმაყოფილი უნდა ბრძანდებოდეს? (ნიშადურის სუნით სანახევროდ დამხრჩვალად ეტიენი ბოლო სიტყვებს პირმიბრუნებული წარმოთქვავს).

ფინაში (ცხვირგაწეული წვეთებს ითვლის) ორი... სამი... კმაყოფილი?

ეტიენი ბატონი უკეთ არის.

ფინაში (ითვლის) ...არა, ვაი რომ, არა!

ეტიენი (ისევ) როგორ თუ არა?

ფინაში არა! ექვსი... შვიდი... ბოღვა! ბოღვა! რვა... ცხრა... ათი...

შანდებიზი (მაგიდასთან მარცხნიდან მივა) შეუძლოდა ხარ, ექიმო?

ფინაში არა! (უახლოვდება მარჯვენა ხელის მსუბუქი, წრიული მოძრაობით ჭიქას არწევს, რომ მიქსტურა შეაზავოს. ჭიქის სუნის გამო საკმაო მანძილით აქვს გაწეული ცხვირიდან) – აი, ეს დალიეთ!

შანდებიზი მე-ე?

ფინაში აბა! ამდენი ემოციების შემდეგ, ცოტა ძალას შეგმატებთ.

შანდებიზი უარს არ ვამბობ! წელანდელმა განრისხებამ მართლაც ცუდად იმოქმედა... (ჭიქას აიღებს)

ფინაში ასეც ვიცოდი. (შანდებიზის მოძრაობას შეაჩერებს, ხელს ჭიქას წააფარებს, რათა შანდებიზი დაღვევის დროს სუნა არ შეაწუხოს) ერთი ყლუპით გადაკარით! ცოტა ძლიერია.

შანდებიზი (უღარდელად) არა უშავს! (მოსვამს ჭიქიდან, სითხე ჯერ ისევ პირში უნდა ჰქონდეს დაგუბებული, რომ ჭიქას სასწრაფოდ მაგიდაზე დადებს, ყველას გასწევს და გიჟივით ფანჯარას მივარდება)

ფინაში (უკან მისდევს) ხომ გაგაფრთხილეთ! არც ისე ცუდია! გადაყლაპეთ, გადაყლაპეთ!

შანდებიზი (ფანჯარას სასწრაფოდ აღებს და პირში დაგუბებულ წამალს გადააფრთხებს) ფუ-უფ!

ეტენი და ფინაში (გაწბილებულები) ოხ!

შანდებიზი (განრისხებული) რას გავს ეს? ვერ ვიტან უკბილო ხუმრობას!

ფინაში შანდებიზ, მოიცა.

შანდებიზი (წინ ჩაუვლის, ხელს კრავს) აქედან დამეკარგე! წადი... ძაღლო! (ლაპარაკით პირდაპირ სცენის სიღრმისკენ მიდის)

ფინაში (მისდევს) სად მიდიხართ?

შანდებიზი პირში წყლის გამოსავლებად. თუ გგონიათ, რომ სასიამოვნო გემო ღამრჩა... (გადის)

ეტენი ვილაცამ ზარი ღარეკა (გადის)

ფინაში (მაგიდასთან, შეწუხებული, შანდებიზის მიერ მიტოვებულ ჭიქას ათვალიერებს) ყველაფერი გადმოაფრთხა! არც დაუღევია!

ფერაიონის ხმა ბატონი შანდებიზი, თუ შეიძლება!

ეტენის ხმა აქეთ მობრძანდით, ბატონო

ფინაში (ეტენის მიერ ნახევრად ღიად დატოვებულ კარში გაიხედავს) ვაი, ფერაიონ! ესლა გვაკლდა!

ფერაიონის ხმა ბატონო ექიმო!

ფინაში შემოდი, შემოდი (მარცხნივ გაიწევა)

იგივენი, ფერაიონი, ანტუანეტა.

ფერაიონი (*შემოდის, ეტიენი შემოუძღვება*) უკაცრავად!

ფინაში (*ღივანზე ჯდება*) უკვე დაზღვევისთვის მოხვედით?!

ფერაიონი არა, ბატონო ექიმო, ჯერ ვერ გავბედავდი!.. ამ დღეებში შემოვივლი დასაზღვევად. მოვედი, რათა ერთი ნივთი, რომელიც ჩემს სასტუმროში ვიპოვნე პატრონს ჩავაბარო. ვფიქრობ ბატონი კაბილ შანდებიზისა უნდა იყოს! (ჯიბიდან კაბილის ხიდს ამოიღებს)

ეტიენი (*ფერაიონის გვერდით დგას*) ვიცნობ ამ ნივთს! მე ვიპოვე!

ფერაიონი მართლა? (*ესალმება*) ბატონო!

ეტიენი (*თავს აცნობს*) ეტიენი, ბატონ შანდებიზის მსახური.

ფერაიონი (*უმაღლ გაუცვივდება ინტონაცია*) მოხარული ვარ!

ფინაში (*ერთ ხანს თვალმიშტერებული დაჰყურებს ნივთს, რომელიც ფერაიონს ხელში უჭირავს*). შენე რა ყოფილა! ერთი მაჩვენეთ! (*ფერაიონი ხიდს გადასცემს*) რა თქმა უნდა კამილის ხიდი! აი თურმე, როგორ ადვილად კარგავს... ქალაქში! რას გავს ეს! როგორ გაიგეთ, რომ მას ეკუთვნოდა?

ფერაიონი სახელი და მისამართი ზედ აწერია.

ფინაში უყურე შენ! „კამილ შანდებიზი, 35 ბულვარი მალზერბი“. რა კარგად მოუფიქრებია!

ფერაიონი სავიზიტო ბარათის მაგივრობასაც წევს! (*ხელით სავიზიტო ბარათს მოხატავს*)

ფინაში ძალიან გაეხარდება! მომეცით, დავუბრუნებ.

ანტუანეტა (*სცენის შუაგულიდან გამოჩნდება, გაგიჟებული*) ბატონო ექიმო! ბატონო ექიმო! ვერ გავიგე ბატონ კამილს რა მოუვიდა? სააბაზანო ოთახში ვნახე... შიშველი!... შხაპს იღებდა!

ფინაში კარგი ერთი! იმას რაღა დაემართა?

ფერაიონი რა დროს შხაპია?

ფინაში სიგიჟეა! (*ფერაიონს*) აი, რას აკეთებს თქვენი ბატონი კამილი! ხომ გინდოდათ მისი ნახვა! შხაპს იღებსო! რა მნიშვნელობა აქვს, სად ნახავთ! (*ანტუანეტას მიუბრუნდება*) სად არის? სააბაზანო ოთახი სად არის?

ანტუანეტა (*ვესტიბიულის მარჯვენა მხარეზე მიუთითებს*) აქეთ, ბატონო!

ფინაში (*გადის ანტუანეტასთან ერთად*) რა დაემართათ, რა მოუვიდათ ამ საღამოს? თანაც ყვეელას!

ფერაიონი (*ფინაშისა და ანტუანეტას წასვლის შემდეგ, შუა კარის მარცხნივ აღმოჩნდება, ეტიენი მარჯვნივ დგას. ფერაიონი ლაპარაკით*

გაემართება მარჯვენა მაგიდის მიმართულებით) რა უაზრობაა, ამ დროს
შხაპის მიღება (შანდებიზის მიერ დატოვებულ ლივრეასა და ქუდს
შეამჩნევს) თვალი მატყუებს თუ მართლა პოშის ლივრეაა! (ხელში
აიღებს) მისი ქუდიც? ნამდვილად მისია!.. კი მაგრამ აქ როგორ მოხვდა/?
(მიმართავს ეტიენს, რომელიც უახლოვდება) ჩემი მსახური ყოფილა
თქვენთან?

ეტიენი თქვენი მსახური? არა! რატომ უნდა მოსულიყო?

ფერაიონი ვერაფერი გამიგია!

სცენა XIII

იგივენი, შანდებიზი.

შანდებიზი (მარჯვენა მოშორებული კარიდან შემოდის და პირდაპირ
სცენის მარჯვენა მხარეს მიემართება) რა საშინელი გემო მაქვს!

ფერაიონი (შანდებიზის დანახვისას შეხტება) პოში?! პოშს აქ რა უნდა?
(მის დასაჭერად გაქანდება)

შანდებიზი (შეშინებული) გიჟი! გიჟი ჩემს სახლში! (გაქცევას ცდილობს,
ფერაიონს მისი დაჭერა უნდა. ორივენი მაგიდის აქეთ იქით მირბი-
მორბიან)

ფერაიონი შე ცხოველო, შენა, აქ რას აკეთებ? (როგორც იქნა ხელს
წაავლებს)

შანდებიზი ა-ა-ა-ა-ა!

ფერაიონი (ბზრიალასავით დაატრიალებს) აჰა! ჩემი ლივრეით ქალაქში
დაწანწალებ.

შანდებიზი ა-ა-ა!

ეტიენი (მათ შორის ჩადგება და გაშველებას ცდილობს) ბატონო! რას
აკეთებთ?

ფერაიონი (ეტიენს, შანდებიზთან გამალებულ ბრძოლაშია) თავი
დამანებეთ! მომშორდით!

შანდებიზი (ეტიენის დახმარებით თავი დააღწია ფერაიონს. ეტიენს
ეხვეწება) არ გაუშვა! არ გაუშვა! (თავქუდმოგლეჯილი გარბის)

ფერაიონი (უკვე ეტიენს ებრძვის) თავი დამანებეთ, რას ჩამაცივდეთ!
(ხელს ჰკრავს და მოისვრის).

ეტიენი (ისევ მისკენ მოემართება) კი მაგრამ ეს ბატონი შანდებიზია, ჩემი
პატრონი.

ვესტიბიულიდან კარის ხმაურით დაკეტვის ხმა ისმის.
ფერაიონი (ისევ ხელს კრავს) რაო! თქვენი პატრონიო! ჩემი მსახურია!..
კარგად ვიცი. (გადის, პოშის ლივრეა და ქული თან მიაქვს).
ეტენი (მისდევს) არაფერიც, არაფერიც!

სცენა XIV

შანდებიზი, მერე ეტენი და ჰომენიდესი, მერე პოში, მერე
ტურნელი, რაიმონდა და ლუსიენა.

შანდებიზი (ოდნავ გაღებული კარიდან, თავს ფრთხილად გამოყოფს) ის..
ის წავიდა? კიდევ კარგი, გასასვლელი კარის გაჯახუნება მოვიფიქრე
იმას ეგონა, რომ კიბით გავიპარე და უკან დამედევნა. (შვებით
ამოიხუნთქს) როგორც იქნა! წავიდა! (ამასობაში ვესტიბიულიდან
აღელვებული ლაპარაკი ისმის.)

ეტენის ხმა კი მაგრამ, ბატონო, ხომ უნდა მოვახსენო!

ჰომენიდესის ხმა მით შევა, შევალ მე გეუბნები, შევალ!

შანდებიზი რა ამბავია!

ძლიერი დარტყმით კარი მოულოდნელად იღება.

ჰომენიდესი (ხელში პისტოლეტებიანი ყუთი უჭირავს) აი! ის! (ეტენი
აღარ ჩაერევა და გადის.)

შანდებიზი (კუთხეში გამომწყვდეული) ჰომენიდესი! (გასვლას
დააპირებს)

ჰომენიდესი (მისკენ მიიწევს და კატეგორიული ტონით) დარჩით!

შანდებიზი (ვედრებით) ჩემო კარგო!

ომენიდესი (თვალებს აბრიალებს, მზერით ანადგურებს) აღარ მეგობრობა!
ბასტა! (პისტოლეტების ყუთს დივანის წინ პატარა სკამზე უხეშად
დააგდებს, მერე) აჰა! გამეპარე! მაგრამ გპოვე, იმათები რომ არა, ვინც
დამიჭირეს და პოლიციის კომისაროსთან წამიღეს, მით გაჩვენებდი
რევოლვერო რა არის. კომისარო ფიცი გამომართვა არ ისროლო, მით
ლაშარე, ნო ლაჩარი, ვიყავი და ვთქვი მტკიცედ არა, არ ვისვრი
რევოლვერო! (სინანულით ამოიხრებს) promesso – პირობა ვეცი,
არა მივეცი.

შანდებიზი (დაწყენარებული) მართლა?... ყოჩაღ კომისარო!

ჰომენიდესი ...და მაშინ (პისტოლეტების კოლოფს ამოიღებს)

პისტოლეტო მოვიტანე.

„შანდებიზი (შიშით უკან გადახტება) რა-ა?

ჰომენიდესი (ამშვიდებს) ნურაფრის გეშინია! მით არ მოგკლავს. უკვე არ მოკალი, ალ მომენტო დე..., როგორ უნდა თქვა ფრანგულად?... ლა ფრაგრანტე დელიტო?... ხო-სი! ბოროტმოქმედების ადვილზე...

შანდებიზი (შიშნარევი ყოყმანით) გასაგებია, გასაგებია.

ჰომენიდესი ეხლა ეს მკვლელობა არის. მით არ მინდა!

შანდებიზი (უახლოვდება, იმედმოცემული) მეც ასე მგონია!

ჰომენიდესი ვუალა ორი პისტოლეტო! ერთი დატენილია, მეორე - ნო, არა.

შანდებიზი (დიდი ინტერესით) მშვენიერია! მე პირველი მირჩევნია.

ჰომენიდესი (გაურკვეველი ღმუილი აღმოხდება. შანდებიზი უკან გადახტება) ბურღბ... (უცებ დაწყნარდება და კოლოფიდან ცარცის ნატეხს ამოიღებს) მით ვიღებ ცარცი, მით აკეთებს რონდო - წრე შენს გულზე (ცარცით გულმკერდის მარცხნივ სწრაფად მიუხაზავს წრეს).

შანდებიზი ო, მოიცათ! (წრის წაშლას ცდილობს)

ჰომენიდესი (თავის მკერდზე მონიშნავს წრე) მით იგივეს აკეთებს!

შანდებიზი (თავისთვის) ადრე ნამდვილად მკერავი იყო.

ჰომენიდესი (ცარცი ადვილზე დადო და პისტოლეტები აიღო) ვიღებთ პისტოლეტო, ერთი მეორეს წრეში ვღებთ და... ბახ! ბახ! ვინც ტყვიას მიიღებს ბასტა! მკვდარია...

შანდებიზი და... და მეორე?

ჰომენიდესი (ისეთი ღრიალით შეხტება, რომ შანდებიზს შიშით ააკანკალებს) უ-ხ! (უცებ მშვიდად და ზრდილობიანად) ეს არის ჩვენებური ღუელი!

შანდებიზი (ეტყობა ასეთი ორთაბრძოლა დიდად არ მოსწონს) ჰოო?! აბა რა ვიცო!

ჰომენიდესი (ძალიან თავაზიანად, ორივე პისტოლეტი ერთ ხელში უჭირავს და შანდებიზს ასარჩევად სთავაზობს) აბა! აიღეთ პისტოლეტო!

შანდებიზი რაა?!

ჰომენიდესი (ძალდატანებით და ბრძანების კილოზე) აიღეთ პისტოლეტო! მით ამბობს!

შანდებიზი (წინ ფრთხილი მოძრაობით ჩაუვლის) მაღლობას მოგახსენებთ! სადილ-ვახშამს შორის არასდროს არაფერს არ ვიღებ.

ჰომენიდესი (მრისხანეთ) აიღეთ! თორე, თორე მკვლელობას გავაკეთებ!

შანდებიზი (რწმუნდება, რომ ჰომენიდესი აღარ ხუმრობს) თქვენ... ეს სერიოზულად ბრძანეთ?! ღმერთო ძლიერო! მიშველეთ! მიშველეთ! (კურდღელივით მოჰკურცხლავს შუა კარისაკენ და გაუჩინარდება)

ჰომენიდესი (უკან მისდევს) შანდებიზ! მოიცა! მოიცა! (ისიც გადის)

შანდებიზის ხმა (ზარივით, მარცხნიდან ისმის) მიშველეთ! მიშველეთ!

ჰომენიდესის ხმა (შანდებიზის ხმას მისდევს) მოიცა! მოიცა!

შანდებიზის ხმა (ისევე, მარცხნიდან) მიშველეთ! მიშველეთ! (შანდებიზი იგივე მარცხენა კარიდან გამოჩნდება, გიჟივით გადაჰკვეთს სცენას და წინა პლანზე მდებარე მარჯვენა ოთახში შეიჭრება, თავის საძინებელში შესვლისთანავე მისი გაოგნებული ყვირილი ისმის) ვა-ა-ა-ი! (გიჟივით უკან გამოვარდება) მე!..მე!.. მე იქ ვწევარ ჩემს ლოგინში! მოჩვენებებია ამ სახლში, მოჩვენებები!

ჰომენიდესის ხმა სად არის ის უბედური?! მიზერაბილე!*

შანდებიზი (იცნობს მის ხმას) ვაი! (სიღრმეში მდებარე კართან მიიჭრება, გადის და კარს ხურავს).

ჰომენიდესი (მარცხნიდან გამოჩნდება, შანდებიზს შეამჩნევს და იმ კარს მიეჭრება, საიდანაც ეს უკანასკნელი გავიდა) მოიცა! მოიცა! (ცხვირით დახურულ კარს ეხლება და ამაოდ ეჯავჯვურება)

შანდებიზის ხმა (მარჯვენა კარისაკენ გადაინაცვლებს) მიშველეთ! მიშველეთ!

ჰომენიდესი (ახლა მარჯვენა კარს მიეჭრება, ეს კარიც ჩაკეტილი ხვდება) გააღე! გააღე!

შანდებიზის ხმა (მარჯვნიდან მარცხნისაკენ გადაინაცვლებით ისმის სცენის მიღმა) მიშველეთ! მიშველეთ!

ჰომენიდესი (ახლა მარცხენა კარს მიეჭრება. ისიც ჩაკეტილია). გამიღე! საცოდავო! გააღე! (კარს ამაოდ ეჯავჯვურება)

პოში (წინა პლანზე, მარჯვენა ოთახის კარში გამოჩნდება ხალათში გახვეული და ნამძინარევი) რა ამბავია! კაცს ვეღარ დაუძინია!

ჰომენიდესი (პოშის დანახვისთანავე კარს ხელს უშვებს, მისკენ გაქანდება, პისტოლეტები ისევ ცალ ხელში უჭირავს) აი, შენ! შენ აქა ხარ! მიზერაბილე! აიღე პისტოლეტო!...

პოში (შეკრთება) ღმერთო! წითელკანიანი! ინდიელი! გიჟი!

ჰომენიდესი (მისკენ, ე.ი. სცენის მარჯვნიდან გადაინაცვლებს) მით შენ მოგკლავს!

პოში (მარჯვნიდან სცენის სიღრმისკენ მოკურცხლავს) რას ამბობს? ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! (მარჯვენა კარს მიასკდება, კარი ჩაკეტილია).

* ამ მომენტში სცენის რეჟისორი სიღრმის კართან ახლოს უნდა იდგას. როგორც კი შანდებიზის როლის შემსრულებელი ყვირილით „მიშველეთ, მიშველეთ“ სცენიდან გავა, რეჟისორმა ხმით მსახიობს უნდა მიბადოს და მის მაგივრად იყვიროს „მიშველეთ“ ჯერ მარჯვენა კარის მიღმა, რომელიც მას ხელით უჭირავს და ამ კარზე მომდგარ ჰომენიდესს არ უღებს; შე შედეგ ასევე ყვირილით, მარცხენა კარისკენ უნდა გაიქცეს და ეხლა ის კარი დაიჭიროს სცენის მიღმიდან, რათა ჰომენიდესი არ შეუშვას. ეს ფარული თამაში საჭიროა მაყურებლის მოსატყუებლად, რომელსაც შანდებიზი მარცხენა კარზე მიმდგარი უნდა მოეჩვენოს. ამასობაში მსახიობმა სწრაფად უნდა შემოიცვას ხალათი და პოშის კაშნეც ყელზე უნდა მოიხვიოს. ამის შემდეგ მსახიობი მითითებული ადგილიდან უნდა შემოვიდეს სცენაზე.

ჰომენიდესი (ფეხდაფეხ მისდევს) მიო დაიჭირა! სად გაიქცევი?!

პოში (დანარჩენ კარებს ეჯახეგურება, ორივე კარი დაკეტილი ხვდება) ვაი! ვაი! ვაი, ვაი, ვაი! (ყვირილით მიეჭრება ფანჯარას, რომელიც შანდებიზმა წინა სცენაში ღია დატოვა. სხვა გამოსავალი აღარ აქვს) ო-ო-ო-ხ! (ფანჯრიდან გადახტება).

ჰომენიდესი (ფანჯარას სწორედ იმ დროს უახლოვდება, როცა პოში ხტება. შიშს, შეძრწუნებას ვერ მალავს) საწყალი! თავი მოიკლა! (გადაიხედავს) არა! არაფერი! გადარჩა!.. მიო მოვკლავ! (ეს ორი საპირისპირო რეპლიკა ყოველგვარი გადასვლის გარეშე ერთმანეთს მოსდევს, ამის შემდეგ ჰომენიდესი მარჯვნივ გადაინაცვლებს) ღიახ! მიო მოვკლავ! (ეტყობა სისხლი უღულს, პერანგის საყელოს ხელით მონთავისუფლებს) აუჰ! მწყურია! (მარჯვნივ, მაგიდაზე შანდებიზის მიერ დატოვებულ ნახევრად სავსე ჭიქას შეამჩნევს, ხარბად მოიყუდებს. ერთი ყლუპიც არ გადასვლია, ჩერდება, აღარ იცის ჭიქა სად დადოს და, რაც მთავარია, როგორ გადმოაფურთხოს სითხე. ფანჯარასთან მოიჭრება და გამაღებით ზიზლით იფურთხება). ფუჰ! (თითქოს ზეცას მიმართავს) რა სადაგლობას სვამენ ამ სახლში! ფუჰ! (ჰაერს ყნოსავს, მოძრაობს და სწორედ იქ აღმოჩნდება, სადაც ფინაშმა საწერი მოწყობილობა დატოვა გახსნილი) სუნია? რა სუნია? წერილის სუნი! ჩემი ცოლის სუნი! (ერთერთ ფურცელს იღებს, სწორედ იმას, რომელიც ლუსიენამ პირველ მოქმედებაში დატოვა) ეი! ლესკრიტურე, არა, ხელწერა ჩემი ცოლის! (კითხულობს) „ბატონო! მე თქვენ იმ დღეს პალე-რუაიალში გნახეთ“ პერრ! ქმრის წერილის კოპიო... ასლი... მე ჯიბეში რომ მაქვს... (ლაპარაკისას წერილს ჯიბიდან ამოიღებს და ორ ფურცელს ერთმანეთს ადარებს) პორკე? – რატომ? პორკე? – აჰ?! მაღამ შანდებიზის ქალაღლებში! ო-ო! მიო უნდა ვიცოდე! მიო უნდა გავიგო! მიო გაიგებს! (სიღრმეში, მარცხენა კარს მიეჭრება და მუშტებს დაუშენს) გააღეთ! გააღეთ!

ტურნელი (კარებში გამოჩნდება) რაშია საქმე?!

ჰომენიდესი (საყელოში ხელს წაავლებს ლაზათიანად დაატრიალებს) ლე ტურნელი! ლე ტურნელი იტყვის! მითხარი!

ტურნელი ჯანდაბა! ეს კოვბოი აქ ყოფილა!

ჰომენიდესი ესე წერილი.

ტურნელი ხელი გამიშვი, მე შენ გეუბნები!

რაიმონდა (მარცხნიდან, სიღრმეში გამოჩნდება და წინა პლანზე მიემართება №1) რაშია საქმე?

ჰომენიდესი (ტურნელს მოულოდნელად ხელს უშვებს. ეს უკანასკნელი წონასწორობას კარგავს. ჰომენიდესი რაიმონდასკენ გაემართება) არა, თქვენს, თქვენს! ეს წერილი თქვენს ქაღალდებში ვპოვე!
 რაიმონდა (იცნობს წერილს, ოდნავ შემკრთალი) რაო?! ახლა, ჩემს ქაღალდებში იქექებით, არა?
 ჰომენიდესი რა მნიშვნელობა აქვს სად... იქექები? (შეკავებული ბოლძით) პორკე? რატომ ჩემი ცოლის ხელი – ესკრიტურე?...
 რაიმონდა (ორ ცეცხლს შუა) აჰა!
 ჰომენიდესი თქვენთან აცხობს სასიყვარულო წერილებს?
 რაიმონდა დიახაც ჩემთან! თქვენ ყველაფერს ყირამალა ხედავთ. არა და ამით... თქვენი ცოლის სრული უმანკოება დასტურდება!
 ჰომენიდესი კომო?! რაო?!
 რაიმონდა როგორ, თუ კომო! როგორ ფიქრობთ, თქვენს ცოლსა და ჩემს ქმარს შორის რაიმე... ინტრიგა რომ ყოფილიყო ჩემს საქაღალდეში...
 ტურნელი (რაიმონდას წინადადებას ამთავრებს) აღმოაჩენდით დამადასტურებელ საბუთს?
 ჰომენიდესი (გამოჭერილი) მაშ, აბა რა? კე? კე?
 რაიმონდა კე! კე! აი, თქვენი ცოლი. აი, თქვენი ცოლი, ჰკითხეთ, მას ჰკითხეთ! (ლუსიენა მარცხნივ დივანის თავთან ჩერდება)
 ჰომენიდესი (ლუსიენასთან მიიღებს) ქალბატონო! ერთი მითხარით...
 ლუსიენა (მოულოდნელობისაგან უკან დაიხვეს) ჩემი ქმარი!
 ჰომენიდესი (ხელით შეაჩერებს და ლაპარაკით №2 მიჰყავს) არა, მით გვედრები, დარჩი! ერთი სიტყვა და... მით დაწყნარდება... ესე წერილი ესე წერილი!
 ლუსიენა (განცვიფრებული შეჰყურებს წერილს, რომელიც მის ქმარს ხელში უჭირავს) კი მაგრამ როგორ?...
 ჰომენიდესი ვიპოვე, ვიპოვე! პორკე - რატომ?
 ლუსიენა (რაიმონდას შეჰყურებს) ეს საიდუმლო სხვას ეკუთვნის!
 რაიმონდა მიდი, ლუსიენა! მიეცი ამ რეზუსის გასაღები მისი... მისი გონების დასამშვიდებლად.
 ჰომენიდესი (ვედრებით) ჰო, ჰო!
 ლუსიენა (რაიმონდას) უფლებას მაძლევ?
 რაიმონდა (გულგრილად) მიდი, მიდი!
 ლუსიენა რა გაიწყობა! (თავის ქმარს) ნამდვილი ოტელო ბრძანდებით! ვერაფერი გაიგეთ, არა? (რაიმონდას მიმართავს, თან თავის ქმარს მიუთითებს) ახ! კეტონტო! (ჰომენიდესს) რაიმონდა კრეია ტენერ მოტივო დე ღუდარ დე ლა ფიდელიდად დე სუ მარიტო.
 ჰომენიდესი (სწრაფად) კომო?

ლუსიენა ენტონსეს პარა პრობარლო დესიდიო დარლე უნა ჩიტა გალანტე... ალლა კუალ ელა ტამბიენ ასისტირია.

ჰომენიდესი (*მოუთმენლად, ინტერესით*) პერო ლა კარტა! ლა კარტა!

ლუსიენა ესპერო, ომბრე! (*სწრაფად მშვიდდება და მკაფიოდ, ასო ი-ზე მახვილით, აგრძელებს თხრობას*). სი ელა უბიესე ესკრიტო ლა კასტა ა სუ მარიდო, ესტე უბიერა რაკონპოჩილო სუ ესკრიტურა.

ჰომენიდესი (*თვალებში იმედის ნაპერწკალი გაუჩნდება, სიმართლე იკვეთება*) დესპუეს, დესპუეს!

ლუსიენა ენტონსეს ელე მე ა ენკარგადო დე ესკრიბირ ენ სუ ლუგარ.

ჰომენიდესი (*არ იჯერებს, გაკვირვებული*) ნო! ეს ვერდად? (*რაიმონდას მიმართავს*) ეს ვერდად?

რაიმონდა (*მისთვის უცნობ ენაზე დასმული კითხვით დაბნეული*) რაო?

ჰომენიდესი ეს ვერდად ტო კე ლა დიჩე?

რაიმონდა ნამდვილად ვერდად, ნამდვილად! (*თავისთვის*) რას ვკარგავ?

ჰომენიდესი ო-ო! სენიორა, სენიორა! კუანდო პიენსო კე მე ე მეტიდო ტანტას იდეას ენ ლა კაბეცა!

რაიმონდა (*კომიკური რევერანსებით*) ოჰ! არაფრის, არაფრის! მართლაც არაფერია საბოდიშო!

ჰომენიდესი (*ლუსიენას*) კე სტუპილო! ესტუპილო სოი! (*მიმართავს ტურნელს, თანაც მეტი დამაჯერებლობისთვის "ბრუტო"-ს ყოველ წამოდახებაზე გულში მჯიღს იცემს*). ნო სოი მას კე უნ ბრუტო! უნ ბრუტო! უნ ბრუტო! (*წარმოთქვით « ბრუ-უტო »*).

ტურნელი (*ჰომენიდესის მსგავსად ისიც მჯიღს იკრავს გულზე*) თავი მოვიკალით ამის მტკიცებით, თავი მოვიკალით.

ჰომენიდესი (*აღარ უსმენს. ლუსიენას მიუბრუნდება. ემოციურად*) ა, კერიდა! პერდონამე მის ესტუპიდესეს.

ლუსიენა ტე პარდონო, პერო ნო ვუელვას ა ასერლო.

ჰომენიდესი (*დივანისკენ გაიწევა ლუსიენასთან ერთად*) კერიდა მია! ო-ო! იო ტე კიერო!

ხელიხელ ჩაკიდებული დივანზე ჩამოსხდებიან.

რაიმონდა (*ტურნელს მიუბრუნდება, ხელით ჰომენიდესს და ლუსიენას უჩვენებს*) რა კარგად, რა სწრაფად გაუგევედ ერთმანეთს... ესპანურად!

ამასობაში მარჯვენა კარი სიღრმეში გაიღება. შემოდინ ფინაში, კამილი და შანდებიზი. მათი შემოსვლა ძალიან სწრაფი უნდა იყოს.

სცენა XV

იგივენი, შანდებიზი, ფინაში, კამილი.

ფინაში (სიღრმიდან პირდაპირ სცენის შუა გულისკენ მოაბიჯებს. გვერდით კამილი მოყვება და ფეხებში ექიმს ებლანდება) გეყოთ, ბავშვებო, ჭკუას მოუხმეთ, რამ დაგიკარგათ გონება?

კამილი (საბანაო ხალათში, გაუგებრად, რადგან ხიდი არა აქვს) გეუბნებით, რომ ის ერთდროულად ვნახე... აქ და იქ. (შემოსასვლელზე და მარჯვენა წინა ოთახზე მიუთითებს).

შანდებიზი (მარჯვნიდან, ასევე პირდაპირ სცენის შუაგულისკენ) მე კი... მე ჩემს თავთან პირისპირ აღვმოჩნდი; აი ამ ოთახში, ჩემს საკუთარ საწოლში.

ფინაში (სკეპტიკურად) ოი!

ჰომენიდესი (დივანზე ზის) კე! კე!

შანდებიზი (მის დანახვისთანავე შეჩერდებოდა, შეტრიალდება და გასაქცევად ეშხადება) ჰომენიდესი! ისევ აქ არის!

ჰომენიდესი (ხელით შეაჩერებს) მოიცა! ნუ გეშინია! მით მშვიდი ვარ... მით ვიცი ახლა კე წერილის უტორე... პალე-რუაილის ქალი ჩემი ცოლი არ არის, წერილის ავტორი თქვენი ცოლია.

შანდებიზი (რაიმონდას) შე-ენ?

რაიმონდა (დვას მაგიდის მარცხენა მხრიდან) მეორმოცედ გეუბნებით ერთი და იგივეს. (მაგიდას ჩაუვლის)

შანდებიზი მე მეუბნებით?

ტურნელი (მაგიდის მარჯვენა მხრიდან) რა თქმა უნდა! ერთმანეთს ვეხვევით ვკოცნით და მერე თითქოს არაფერიო, ისევ თავიდან იწყება. (მარჯვენა მხრიდან უკან იხევს და რაიმონდას გვერდით დგება კარადასთან, რომელიც ორ კარს შუაა მოქცეული).

ჰომენიდესი როს გავიფიქრებ, კე ამის გამო მით თქვენ ფანჯრიდან ქვევით სკუპ!

შანდებიზი სკუპ? მე-ე?

ყველანი ფანჯრიდან?

ჰომენიდესი კე ორივეს იგივე ემოციონე გვქონდა!

შანდებიზი მე! მე! ფანჯრიდან გადამაგდეთ? სკუპ?

ჰომენიდესი ნატურალე! მით თქვენ სკუპ! აქედან მოდიოდით (მიუთითებს წინა პლანის მარჯვენა ოთახს) და ჰოპ! სკუპ! ფანჯრიდან!

შანდებიზი (ორი ნახტომით მარჯვნივ გადაინაცვლებს) აი! ისიც! ისიც! ჩვენ ყველანი ჰალუცინაციის მსხვერპლი გავხდით . ის ვინც თქვენ

ფანჯრიდან გადამხტარი ნახეთ, ის, ვინც მე მგავდა... იგივეა, ვინც მე ვნახე... ჩემთან... ჩემს ოთახში...

კამილი და მე რომ ვნახე აქ და იქ!

შანდებიზი (აღვილიდან არ იძვრის, მარჯვენა მხარეს) რა თქმა უნდა! ყველაფერი კი მტკიცდება იმით, რომ მე ფანჯრიდან არ გადავმხტარვარ!

ჰომენიდესი რაებს ამბობთ?

ფინაში (თავზე წაივლებს ხელს) ოხ-ოხო! ეს უკვე მეტის მეტია, ეს უკვე მეტის მეტია.


ტურნელი ფერია! ზღაპარი! სასწაული!

სცენა XVI

იგივენი, ეტიენი ფერაიონს შემოიყვანს.

ფერაიონი (პოშის ხალათით ხელში) ბოდიშს მოგიხდით, ქალბატონებო და ბატონებო...

შანდებიზი გიჟი! გიჟი მოვიდა! (შეშინებული, ახლო მდებარე მაგიდის ქვეშ დაიმალება)

ერთად  **ფინაში და კამილი** ფერაიონი!
რაიმონდა „მოტრფიალე ფისუნიას” მეპატრონე
ტურნელი სასტუმროს პატრონი!

ფერაიონი ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ეხლახან, ქუჩაში ჩემი სასტუმროს მსახური ლამის თავზე დამეცა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ფანჯრიდან გადმოხტა... და

ყველანი რაო?

ტურნელი, კამილი, ჰომენიდესი სასტუმროს მსახური იყო!

ფერაიონი და ეს ტანსაცმელი სადღაც მიჰქონდა (უჩვენებს ხალათს)

რაიმონდა (მაგიდას მარცხნიდან მიუახლოვდა) ეს ხომ ჩემი ქმრის ხალათია! (მიუბრუნდება, და მანძაღე, თითქოს, იქვე მყოფ შანდებიზს მიმართავს) ეს ხომ შენი... შეხე! გაქრა! სად არის? (ეძახის) ვიქტორ-ემანუელ! ვიქტორ-ემანუელ! (სცენას შემოუვლის, მარჯვენა კარს აღებს და ეძახის)

ყველანი ვიქტორ-ემანუელ!

ეტიენი მარჯვენა კარს აღებს, ტურნელი მარჯვნივ ოთახის კარს

ფერაიონი (მაგიდის ქვეშ, შიშით დაპატარავებულ შანდებიზს დაინახავს)
პოში, ისევ პოში! (საყელოზე ხალს წაავლებს და გამოათრევს)

ყველანი როგორ თუ პოში?

შანდებიზი (ფერაიონის ხელებში, საცოდავად) ვაი, ვააი!

ფერაიონი (კარგად შეანჯღრევს, წიხლსაც უთავაზებს) ო-ო! საზიზღარი!
ცხოველი! ღორი!

ყველანი ა-ა-ა!

რაიმონდა (შუაში ჩაუდგება) ბატონო! ეს... ეს ჩემი ქმარია!

ფერაიონი (გაოცებული, უკან დაიხვეს) რაო?!

შანდებიზი აკვიატებული აქვს, როგორც კი დამინახავს, მირტყავს.

ფერაიონი თქვენი ქმარი?! ეს?!

რაიმონდა დიახ, ეს ბატონი შანდებიზია.

ფერაიონი შეუძლებელია! ეს?! ეს?! ეს ხომ ჩემი მსახურის ჩემი პოშის
სრული ორეულია!

ყველანი პოშისო?!

ფერაიონი დიახ, აი იმის ახლა რომ ფანჯრიდან ისკუპა!

ყველანი (გაოცებულნი) არა!

შანდებიზი ყველაფერს მივხვდი! კაცი, რომელიც ახლახან ჩამს საწოლში
ვნახე და ჩემი თავი მეგონა, პოში იყო!

ყველანი პოში?!

რაიმონდა ის კაცი სასტუმროში ხელში ღვინის კათხით რომ ვნახეთ...

ტურნელი რომელსაც ვეხვეოდით და ვკოცნიდით...

ყველანი (ერთად) პოში იყო!

ლუსიენა ღვინის ვაჭართან რომ მიმართევდა!

კამილი შეშა, რომ ჰქონდა ზურგზე მოკიდებული!

ყველანი პოში იყო!

შანდებიზი პოში! პოში! ყველგან პოში! დალახვროს ეშმაკმა! ვნანობ,
რომ გაგვექცა. სიამოვნებით შევხვდებოდი ჩემს ორეულს.

ფერაიონი არის ამის საშუალება, ბატონო! მობრძანდით სასტუმროში
„მოტრფიალე ფისუნია“.

შანდებიზი მე? სასტუმროში? თანაც, „ფისუნიაში“ რა კარგი სანახავი
ვიქნები!

რაიმონდა (ცბიერად) იმ უცნობი ქალბატონის, მშვენიერი ქალბატონის
გულისთვისაც არ წახვალ.

შანდებიზი ჰო, დამცინე, დამცინე! ამ სამარცხვინო მახეში, როგორ
გამაბი?

რაიმონდა ბოდიშს გიხდი. შევცდი! აბა რა მექნა? შენს ერთგულებაში
ეჭვი შემეპარა.

შანდებიზი ჩემს ერთგულებაში?! რატომ, ღმერთო ძლიერო, რატომ?
რაიმონდა იმიტომ, რომ... უფ! იმიტომ, რომ... (ყურში უჩურჩულებს)
შანდებიზი არა!!! ამ სისულელისთვის.
რაიმონდა რა-ა?! დიახაც, ამ სისულელისთვის!
შანდებიზი კარგი ერთი!
რაიმონდა კი, ბატონო, გეათანხმები, მაგრამ... ამან ეჭვის ჭია გამიჩინა...
შანდებიზი ო, წყეულო ჭია, გასწი აქედან. (გამომწვევად) კარგი! კარგი!
(ჩუმად) დღეს საღამოს... გავსრისავ ამ ჭიას...
რაიმონდა (ირონიულად) შე-ენ?
შანდებიზი (გაუბედავად, ყოყოობის გარეშე) ყოველ შემთხვევაში...
შევეცდები...
კამილი (მწკრივიდან გამოდის, მაყურებელს ზურგს შეაქცევს, ვიდრე
ფარდა დაეშვება ყველას მიმართავს). ერთი მომისმინეთ! თუ დამიჯერებთ
მე...
ყველანი (ერთსულოვნად) ო, არა, ხვალ! ხვალ!

ფარდა